პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

23 მაისი **ოთხშაბათი** 2012 №120 (13 726) ფასი 80 თეთრი



## ტყავაძე ჩემპიონს არ ცნობს!

### მეტალურგის დირექტორმა კოპაიას ძველი ამბები გაუხსენა

↳2



ტომასმა 26 ქულა და 9 მოხსნა დააგროვა

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## 35 ქულით

### არმია წინაა: 2-1

↳12

## ჭკუასელი სამუშიამ შეცვალა

*U 19. ელიტრაუნდი*

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ხორვატიაში გუშინ ჩავიდა და ზაგრების გარეუბანში დაბინავდა. იქვე იმყოფებიან ჩვენი ელიტრაუნდელი მეტოქეებიც - მასპინძელი ხორვატია, ბოსნია და ავსტრია.

ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, მთავარმა მწვრთნელმა **ოთარ კორღალიძემ** გამგზავრებამდე იძულებითი ცვლილება განახორციელა: ბოლო ვარჯიშზე დაშავებული **ნიკა ჭკუასელის** ნაცვლად, ხორვატიაში „ზესტაფონის“ თავდამსხმელი **გურამ სამუშია** გაემგზავრა. ნაკრებს შეუერთდნენ არნემის "ვიტესის" წევრები, **გიორგი ჭანტურია** და **ვაკო ყაზაიშვილი**, დანიური "ორჰუსის" თავდამსხმელ **დავით სხირტლაძეს** კი 24-ში ელიან.

ქართულ დელეგაციას ხორვატიაში წვიმიანი ამინდი დახვდა. ამის მიუხედავად, კორღალიძემ ფეხბურთელები გუშინ საღამოს სასტუმროს ტერიტორიაზე მდებარე მოედანზე სრული დატვირთვით ავარჯიშა.

19-წლამდელთა ელიტრაუნდის პირველ მატჩამდე, ჩვენი გუნდი ერთჯერად ვარჯიშებს ჩაატარებს. საქართველოს ნაკრები პირველ შეხვედრას 25 მაისს, ბოსნიას წინააღმდეგ თბილისის დროით 18:30 წუთზე გამართავს.

**მერაბ მამულაშვილი**



გურამ სამუშია

## მიუნხენში დიდ ტრანსფერებს გეგმავენ

### პისარო, ჯეკო, ჰიოვედესი, ხავი მარტინესი...

↳9

## ჟოზე 2016!

### მადრიდში კიდევ 4 წლით



↳8



### ოფიციალურად

## ვილია ევროზე არ მიდის

"ბარსელონას" თავდამსხმელი **დავიდ ვილია** ევრო 2012-ს ტრავმის გამო გამოტოვებს, - წერს ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდი.

კატალონიური გრანდის სამედიცინო შტაბმა გადაწყვიტა, რომ 30 წლის ფორვარდს ფიზიკური მდგომარეობა არ მისცემს ევროპის ჩემპიონატისთვის სრულად მომზადების საშუალებას. გუშინ, "ბარსას" მესვეურებმა ამის შესახებ ესპანეთის ნაკრების დამრიგებელს **ვისენტე დელ ბოსკეს** აცნობეს.

ქართული ფეხბურთი

ინტერვიუ

# ტყავაძე არ ცნობს!

ეროვნული ბიბლიოთეკა




**ეროვნული** ჩემპიონატი ისე დასრულდა, რომ ჩემპიონის გამოსავლენად ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის სხდომა გახდა საჭირო – თუ მანამდე გათამაშების ცხრილს რუსთავის "მეტალურგი" ლიდერობდა, ალმასკომმა ჩემპიონობა "ზესტაფონს" დაუმტკიცა.

ჩვენი რესპონდენტი "მეტალურგის" მმართველი დირექტორი ბუბა ტყავაძე გახლავთ და ვფიქრობთ, მისი განცხადებები საკმაოდ საინტერესოა...

**- რას მოიმოქმედებს " მეტალურგი" – შეეგუება ალმასკომის ვერდიქტს თუ იბრძოლებს ამ გადაწყვეტილების შესაცვლელად?**

> ალმასკომის სხდომის ოქმი რომ მოვითხოვე, ფედერაციის პრეზიდენტმა დომენტი სიჭინავამ მითხრა, თუ "ზესტაფონი" ერთ კვირაში არ დაამტკიცებს ამ ბრალდებას, უმაღლესი ლიგიდან გაირიცხება, ამის იურიდიული საფუძველი არსებობსო.

- მთელი სეზონის განმავლობაში "მეტალურგი" ერთ მუშტად შეკრული კლუბი იყო, ძალიან დიდი შრომა ჩაიდო და წინააღმდეგობებიც ერთად გადავლახეთ. მიზანსაც მივაღწიეთ – საქართველოს ჰყავს ჩემპიონი "მეტალურგი", თუმცა ამ ტიტულის წართმევა უნდათ.

**- ყრილობის შემდეგ ალმასკომი ფეხბურთის ფედერაციის უმაღლესი ორგანოა და სწორედ ალმასკომმა დაუმტკიცა ჩემპიონობა "ზესტაფონს" – რისი იმედი გაქვთ?**

- მე ვთვლი, რომ ჩემპიონობა საბოლოოდ წართმეული არ არის, უფლება არ მაქვს, უმოქმედოდ ვიყო და ყველანაირად ვეცდები ჩვენი სიმართლის დამტკიცებას. ალმასკომს ჯერაც არ გადმოუცია "მეტალურგისთვის" სხდომის ოქმი, არ ვიცი რატომ, ასე გვითხრეს, ოქმი ჯერ მზად არ არისო. ოქმის ჩაბარებიდან ერთი კვირის ვადაში შეგვიძლია აპელაციის შეტანა. ჩვენმა იურისტებმა უკვე დაიწყეს ამ საკითხზე მუშაობა. როგორც ვიცი, ფედერაციამ უეფას 31 მაისამდე უნდა აცნობოს ჩემპიონის ვინაობა და ჩვენც მანამდე უნდა გავასაჩივროთ ალმასკომის გადაწყვეტილება.

**- ამ ისტორიას იურიდიულის გარდა მორალური მხარე აქვს და ალბათ არავისთვის არ უნდა იყოს სადავო, რომ მორალურად "მეტალურგი" დაზარალდა...**

> ახლა საკითხავი ის არის, რა დონეზეა მათი პასუხისმგებლობა და აქვთ თუ არა მორალური უფლება, რომ ასე მშვიდად განაგრძონ მუშაობა დაკავებულ თანამდებობაზე?

- მორალურ მხარეს რაც შეეხება, ყველას უნდა გავახსენო ის, რომ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტიდან დაწყებული, ფედერაციის სხვა მაღალჩინოსნებით დამთავრებული ლიად აცხადებდნენ, დებულებაში არანაირი გაუგებრობა არ არის, თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში ჩემპიონი "მეტალურგი" იქნებაო. ახლა საკითხავი ის არის, რა დონეზეა მათი პასუხისმგებლობა და აქვთ თუ არა მორალური უფლება, რომ ასე მშვიდად განაგრძონ მუშაობა დაკავებულ თანამდებობაზე?

**- ალმასკომის სხდომამდე "ზესტაფონის" პრეზიდენტმა ილია კოკაიამ განაცხადა, "მერანი" – "მეტალურგი" გარიგებული იყო, ბუბა ტყავაძე კი ქართული ფეხბურთიდან უნდა მოიკვეთოსო – რა კომენტარს გააკეთებდით ამ ყველაფერზე?**

- ცილისწამება კანონით ისჯება და "მეტალურგის" მხრიდან აუცილებლად იქნება შესაბამისი რეაქცია. აქ მეორე ფაქტორსაც უნდა გავუსვათ ხაზი – ალმასკომის სხდომის ოქმი რომ მოვითხოვე, ფედერაციის პრეზიდენტმა დომენტი სიჭინავამ მითხრა, თუ "ზესტაფონი" ერთ კვირაში არ დაამტკიცებს ამ ბრალდებას, უმაღლესი ლიგიდან გაირიცხება, ამის იურიდიული საფუძველი არსებობსო. ვფიქრობ, კანონიერი იქნება თუ მოვითხოვ ასეთ რამეს – ან კოკაიამ დაამტკიცოს ეს ბრალდება, ან ფედერაციის პრეზიდენტმა სიტყვა შეასრულოს.

**- იურიდიული საკითხების გარდა ადამიანური ურთიერთობებიც ბევრ რამეს განაპირობებს. როცა "ზესტაფონმა" უჩა ლობჟანიძე "დნიპროში" გაყიდა, დაიწერა და ითქვა, "ზესტაფონმა" ამ ტრანსფერში ორი მილიონი ევრო აიღოო. ლობჟანიძე მანამდე თბილისის "დინამოს" ფეხბურთელი იყო და ამ ტრანსფერიდან გარკვეული თანხა ეკუთვნოდა, მაშინ თქვენ იყავით "დინამოს" მმართველი დირექტორი და იქნებ გვითხრათ, მიიღო კუთვნილი თანხა "დინამომ"?**

- იმ პერიოდში დავუკავშირდი "დნიპროს" და უკრაინელებმა მაცნობეს, ლობჟანიძეში ამდენი თანხა არ გადაგვიხდიაო. საჩივარი შევიტანეთ ფიფაში, საქმე უკვე დაძრული იყო, მაგრამ მერე წამოვედი "დინამოდან" და არ ვფლობ ინფორმაციას, თუ როგორ დასრულდა ეს ამბავი. რა თანხადაც უნდა გაყიდულიყო ლობჟანიძე, მის ყოფილ კლუბებზე სოლიდარობის 5 პროცენტი უნდა გადანაწილებულიყო. ალბათ ყველა დამეთანხმება, თუ ლობჟანიძის ტრანსფერი მართლა ორი მილიონი ევრო დაჯდა, ამ თანხის ხუთი პროცენტი უმნიშვნელო თანხა არც ერთი ქართული კლუბისთვის არ იქნებოდა. იყო სხვა შემთხვევაც – "ზესტაფონმა" "დინამოდან" გიორგი კაჭკაჭიშვილი რომ წაიყვანა, საკომპენსაციო თანხას ვითხოვდით, ზუსტად არ მახსოვს, ერთ თუ ორ ათას დოლარზე იყო ლაპარაკი, მაგრამ კოკაიას ამის გადახდაც კი არ უნდოდა, საქმის კურსში ჩავაყენეთ ფეხბურთის ფედერაცია, საიდანაც დაგვიდასტურეს, საკომპენსაცია თანხა ამ ფეხბურთელში მართლა გეკუთვნითო...

**- ბუბა ტყავაძე "დინამოში" ბრუნდება – დაგვიდასტურებთ ამ ინფორმაციას? კულუარებში ისიც კი გავიგეთ, კოკაია შეხვდა "დინამოს" პრეზიდენტს რომან ფიფიას და ურჩია, ტყავაძე კლუბში არ აიყვანოო...**

- დასამალი არაფერია, "დინამოდან" მართლაც მივიღე შემოთავაზება, ხოლო კოკაია რატომ ურჩევდა ფიფიას ტყავაძის "დინამოში" არდაბრუნებას, ლობჟანიძის და კაჭკაჭიშვილის ისტორიებიდანაც ჩანს. ეტყობა კოკაიას არ ესიამოვნება, თუ "დინამო" ამ თანხებს მოჰკითხავს. ერთხელაც მსურს გითხრათ, რომ არ ვიცი, ეს თანხები "დინამომ" უკვე მიიღო თუ არა. "დინამოში" დაბრუნებაზე ვფიქრობ, თუმცა ჯერ იმით ვარ დაკავებული, რომ რუსთავის "მეტალურგის" ინტერესებს ბოლომდე ვიცავ.

> ვფიქრობ, გულშემატკივარმა სიმართლე დამოუკიდებელი ჟურნალისტისგან უნდა შეიტყოს, სიმპათია არაობიექტურობაში არ უნდა გადაიზარდოს. შესაძლოა, ჩემმა ნათქვამმა ბევრი ჟურნალისტის გულისწყრომა გამოიწვიოს, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას...



**- ისევ ალმასკომის გადაწყვეტილებას დავუბრუნდეთ. გავრცელდა ინფორმაცია, რომ კოკაიას ხელისუფლებაში ჰყავს სერიოზული ლობი, სხვანაირად ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა საკუთარ თავს უხერხულ სიტუაციაში არ ჩააყენებდაო. ეთანხმებით ამ ვერსიას?**

- კითხვა საინტერესო და დასაფიქრებელია. რა თქმა უნდა, ძალიან დიდი გაკვირვება გამოიწვია იმან, რომ ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ ასე სწრაფად, ორ დღეში შეიცვალა პოზიცია. იყო თუ არა ზემოქმედება ხელისუფლებიდან ალმასკომზე, ამის დამადასტურებელი ფაქტები მე არ მაქვს და შესაბამისად კომენტარს ვერ გავაკეთებ. ფეხბურთი პოლიტიკის მიღმა უნდა დარჩეს, ფეხბურთი სპორტია და მეტი არაფერი.

**- თუ ფედერაციის პრეზიდენტის მომავალი არჩევნების დროს რომელიმე კლუბის ხელმძღვანელი იქნებით, ისევ ამ პოზიციაზე დარჩებით და ამ პრინციპით იმოქმედებთ?**

- ამ პოზიციას ყოველთვის დავაფიქსირებ და დავუჭერ მხარს.

**- ბუბა ტყავაძეს თავისებური ურთიერთობა აქვს ჟურნალისტებთან. მიგაჩნიათ, რომ ჩვენი მასმედია კარგად აშუქებს ქართულ ფეხბურთში მიმდინარე მოვლენებს?**

> "დინამოდან" მართლაც მივიღე შემოთავაზება, ხოლო კოკაია რატომ ურჩევდა ფიფიას ტყავაძის "დინამოში" არდაბრუნებას, ლობჟანიძის და კაჭკაჭიშვილის ისტორიებიდანაც ჩანს ეტყობა კოკაიას არ ესიამოვნება, თუ "დინამო" ამ თანხებს მოჰკითხავს.

- ხშირად გაიგებ ჟურნალისტებისგან, რომ ქართული ფეხბურთი არის ჩაკეტილი წრე, ჩაკეტილი სამყარო, სადაც ღიად და გულწრფელად არავინ არაფერს ამბობს. მსურს დავსვა კითხვა, თვითონ ჟურნალისტებიც ხომ არ იმყოფებიან იმავე სიტუაციაში? ხშირად ჟურნალისტების მხრიდანაც ხომ არ იმალება სიმართლე?

**- კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

- "ზესტაფონის" მატჩებს მეტწილად ალეკო კაკაურიძე მიმოიხილავს, არადა ყველამ იცის, თუ როგორ დაუფარავად ქომაგობს ეს ჟურნალისტი "ზესტაფონს" თამაშის დროსაც კი. ასეთ დროს ობიექტური იქნება მატჩის საგაზეთო რეპორტაჟი? ვფიქრობ, გულშემატკივარმა სიმართლე დამოუკიდებელი ჟურნალისტისგან უნდა შეიტყოს, სიმპათია არაობიექტურობაში არ უნდა გადაიზარდოს. შესაძლოა, ჩემმა ნათქვამმა ბევრი ჟურნალისტის გულისწყრომა გამოიწვიოს, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას...

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვლენის კვალდაკვალ

# მწვრთნელთა უმრავლესობა 16 გუნდს ემხრობა

## დებულება შეცდომით იყო შედგენილი

**საქართველოს ჩემპიონატის მონაწილე რამდენიმე კლუბის მთავარ მწვრთნელს სამი აქტუალური შეკითხვა დავუსვით და ვფიქრობთ, მათი მოსაზრებების გაცნობა მკითხველისთვის უინტერესო არ უნდა იყოს.**

შეკითხვები ასეთია:

1. "ზესტაფონის" ჩემპიონად გამოცხადებით მიიღო თუ არა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ სამართლიანი გადაწყვეტილება?

2. რატომ გახდა სადავო ეს საკითხი?

3. უმაღლესი ლიგის როგორი სისტემითა და კლუბების რა რაოდენობით გამართვას ემხრობით?

*ბუნებრივია, "ზესტაფონის" თავკაც გიორგი ჭიაბრიშვილისთვის პირველი შეკითხვა არ დაგვისვამს.*

### გიორგი ჯიაბრიშვილი
*(ზესტაფონი)*

2. დებულება ისე იყო შედგენილი, რომ ჩემპიონის ვინაობა სადავო გახდა, მაგრამ კომპეტენტურმა სპეციალისტებმა სიმართლე მაინც გამოავლინეს.

3. მე მწვრთნელი ვარ და ჩემპიონატის სისტემის შედგენა ჩემს კომპეტენციაში არ შედის, თუმცა იმის თქმა კი დანამდვილებით შემიძლია, რომ გასული სეზონი, როცა ჩემპიონატი ათი გუნდის მონაწილეობით და ოთხ წრედ გაიმართა, გაცილებით გამართულად და სამართლიან ვითარებაში ჩატარდა, ვიდრე ამჟამინდელი.

### გია გეგუჩაძე
*(ტორპედო)*

1. ჩემი მხრიდან ამაზე საუბარი ცოტა უხერხულია, არ მინდა, ვინმემ მიკერძოებაში ჩამომართვას, მაგრამ ფაქტია, რომ "ზესტაფონი" ღირსეული ჩემპიონია.

2. ალბათ, ყოველივე ეს იმან გამოიწვია, რომ დოკუმენტი არ იყო გამართულად ფორმულირებული.



3. უპირველეს ყოვლისა, გუნდების ორ ნაწილად დაყოფა არ უნდა ხდებოდეს. 12 გუნდი და ორი წრე 22 ტურია, რაც ძალიან ცოტაა; 12 გუნდი და 3 წრე 33 ტურია, მაგრამ ამ შემთხვევაში სამართლიანობის პრინციპი ირღვევა, რადგან კონკურენტთან ორ მატჩს სტუმრად ატარებ, ერთს კი შინ, ანაც პირიქით; ოთხი წრე და 44 ტური მეტისმეტია, ასე რომ, 16 გუნდი და ორი წრე იდეალური იქნებოდა, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესლიგელები შესაბამის მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ და გუნდები შუა სეზონში არ დაიშლებიან.



### თემურ შალამბერიძე
*(დილა)*

1. დებულება ზედმიწევნით არ წამიკითხავს და ამიტომ დაზუსტებით ვერ გეტყვით, რატომ მიიღო ალმასკომმა ამგვარი გადაწყვეტილება. მე ის ვიცი, რომ უეფას ოფიციალურ ვებგვერდზე ლიდერადაც და შემდგომში ჩემპიონადაც "ზესტაფონი" იყო მოხსენიებული. ამ კლუბმა მართლაც საჩემპიონო სეზონი ჩაატარა.

2. ერთი პატარა ლაფსუსი და ამხელა აურზაური წარმოიქმნა. კანონი მცირედ უზუსტობასაც კი არ გპატიობს და ეს ლაფსუსი "ზესტაფონმა" სათავისოდ გამოიყენა.

3. უმაღლეს ლიგაში იმდენმა კლუბმა უნდა ითამაშოს, რამდენსაც ნორმალური ინფრასტრუქტურა და საარსებო პირობები ექნება.



### ელგუჯა ქომეთიანი
*(ბაია)*

1. არა მგონია, ალმასკომი შემცდარიყო. "ზესტაფონი" ღირსეული ჩემპიონია, მაგრამ თანაგრძნობას "მეტალურგიც" იმსახურებს. ამ კლუბის წევრებს ხომ ეგონათ, რომ ლიდერები იყვნენ და ამის მიხედვით იხელმძღვანელეს.

2. ფაქტია, რომ დებულების შედგენისას შეცდომა იყო დაშვებული.

3. 16 გუნდი და ორი წრე კარგი იქნებოდა, მაგრამ დღეისთვის ამის შესაძლებლობა არ გვაქვს. ალბათ, ამ ეტაპზე ოპტიმალური 12-გუნდიანი და სამწრიანი ჩემპიონატი იქნებოდა.

### მალხაზ ჟვანია
*(მერანი)*

1. ალბათ, ალმასკომმა სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო.

2. ფაქტია, რომ დებულების შედგენისას რაღაც ვერ გაითვალისწინეს და ამგვარი გაუგებრობაც იმიტომ მოხდა.

3. სჯობს, უმაღლეს ლიგაში 16-მა გუნდმა ორ წრედ ითამაშოს. ასე თავის გამოჩენის შესაძლებლობა მეტ ფეხბურთელსა და მწვრთნელს მიეცემა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ინტერვიუ



**"ზესტაფონს" 26 მაისს საქართველოს თასის ფინალი ელოდება და, შესაბამისად, გუნდის მიერ ჩატარებულ სეზონსაც სწორედ ამის შემდეგ შევაფასებთ. თუმცა მაინც საჭიროდ მივიჩნიეთ, მცირე ინტერვიუში საქართველოს ჩემპიონის მთავარი მწვრთნელის, გიორგი ჭიაბრიშვილის მოსაზრებები შემოგვეთავაზებინა. მასთან უფრო ვრცელ ინტერვიუს თასის ფინალის შემდეგ შემოგთავაზებთ, გუშინდელი საუბარი კი, რა თქმა უნდა, სფფ-ის ალმასკომის გადაწყვეტილებით დავიწყეთ.**

## გიორგი ჭიაბრიშვილი:
# სამართალმა იზეიმა!

**– როგორი ემოციებით შეხვდით ალმასკომის გადაწყვეტილებას?**

– საქართველოს ჩემპიონობა "ზესტაფონს" ეკუთვნოდა და, ბუნებრივია, ბედნიერები ვართ, სამართალმა რომ იზეიმა. ალმასკომში კომპეტენტური პირები შედიან, მათ დებულება სწორად გაიაზრეს და შესაბამისი გადაწყვეტილებაც მიიღეს. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ჩვენს ზეიმს ხიბლი მოაკლდა. გვინდოდა, ტიტული ზესტაფონში, საკუთარი გულშემატკივრების წინაშე გვეზეიმა, მაგრამ ეს სასიხარულო ამბავი მაშინ შევიტყვეთ, როცა უკვე დაქსაქსულები ვიყავით. არა უშავს, საჩემპიონო ზეიმს მაინც მოვაწყობთ, თუმცა ჯერ არ ვიცით, როდის.

**– თასის ფინალისთვის როგორ მოემზადებით?**

– თუ "ზესტაფონს" ფინალამდე დააჯილდოვებენ, ზესტაფონში ჩავალთ, სადაც საჩემპიონო ზეიმს მოვაწყობთ და თასის ფინალისთვის მზადებას ჩვენს ბაზაზე შევუდგებით, თუ არადა, მგზავრობაში დროს არ დავკარგავთ და ფინალისწინა შეკრებას თბილისში გავივლით. ზესტაფონში კი თუნდაც ფინალის შემდეგ მაინც ჩავალთ და იმედი გვაქვს, ერთბაშად ორი ტიტულის მოგებასაც ვიზეიმებთ.

**– როგორი განწყობით შეხვდებით ფინალს?**

– განწყობა საუკეთესო გვექნება. ჩემპიონები ვართ და შევეცდებით, დუბლიც შევასრულოთ. ფინალში ერთმანეთს ორი ძლიერი გუნდი დაუპირისპირდება და დარწმუნებული ვარ, მაყურებელი სამართლიან და ლამაზ ბრძოლას იხილავს. ბედნიერი ვარ, რომ მეტოქის სათადარიგოთა სკამზე ჩემს ორ მეგობარსა და თანამოაზრეს, თემურ შალამბერიძესა და გია ცეცაძეს დავინახავ.

**– "ზესტაფონისთვის" კარგია თუ ცუდი, ჩემპიონობა ასეთ ნერვულ ვითარებაში რომ მოიპოვა?**

– იმის მიუხედავად, რომ უარყოფითი ემოციებიც განვიცადეთ, საერთო ჯამში ყოველივე ეს ჩვენთვის სასარგებლო გამოდგა. ჩემპიონატი ტრადიციული ფორმატით რომ ჩატარებულიყო, ოქროს მედლებს სეზონის დასრულებამდე საკმაო ხნით ადრე გავინაღდებდით და სათამაშო რიტმიდან ამოვვარდებოდით, რაც ევროთასებზე ცუდ სამსახურს გაგვიწევდა, ახლა კი დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ევროსეზონს სრულ მზადყოფნაში შევხვდებით.

**ლევან ჯანეზაშვილი**

დილა

## რევაზ ბარაბაძე:
# იმედი დამიბრუნდა

26 მაისს საქართველოს თასის ფინალში გორის "დილა" "ზესტაფონს" შეეცილება. "დილას" თავდამსხმელი **რევაზ ბარაბაძე** მძიმე მატჩის მოლოდინშია: *"შანსებს 50/50-ზე ვაფასებ. "ზესტაფონი" ძლიერი გუნდია, მაგრამ "დილაც" შეთამაშდა და ფინალში ჩვენი შანსებიც გაიზარდა. შედარებაც არ შეიძლება იმასთან, რა მდგომარეობაშიც მეორე ეტაპის დასაწყისში ვიყავით. სხვათა შორის, ფეხბურთელების ტრავმები და დისკვალიფიკაციებიც ხელს გვიშლიდა და სასურველი შემადგენლობით ვერ ვთამაშობდით, ხან ვინ გვაკლდა და ხან - ვინ. მართალია, ჩემპიონატის ბოლო ორი შეხვედრა წავაგეთ, მაგრამ ფინალი წელიწადში ერთხელ იმართება და სეზონის საუკეთესო თამაში უნდა ვაჩვენოთ".*

საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების ყოფილი თავდამსხმელი მძიმე ტრავმებმა დატანჯა და ორი წელი გოლი არ ჰქონდა გატანილი. ბოლოს ეს სიხარული 2010 წლის 3 მარტს განიცადა, როდესაც საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა "მიხეილ მესხზე" ესტონეთის ნაკრები დაამარცხა, პირველად სტუმრები სწორედ მან დაამწუხრა.

და აი, 24 წლის ფორვარდმა უგოლო სერია მარტვილში "მერანთან" შეხვედრისას შეწყვიტა, როდესაც მასპინძლებს გადამწყვეტი გოლი გაუტანა. ცხადია, ამხელა პაუზის შემდეგ, რეზო ძველებურად ეფექტურად ველარ თამაშობს, მაგრამ ფორმის აღდგენის იმედი აქვს.

*"ესტონეთთან შეხვედრის შემდეგ არაერთი პრობლემა შემექმნა, რამდენიმე ტრავმა, ოპერაცია, ნერვიულობა და იმედგაცრუება გადავიტანე. ამიტომ, მოედანზე დაბრუნების შემდეგ პირველი გოლი პატარა ბავშვივით გამიხარდა და საკუთარი ძალების რწმენა დამიბრუნდა. იმედია, ახლა მაინც მოვახერხებ ფორმის აღდგენას და "დილას" დახმარებას. გუნდს თასის მოპოვებაში უნდა შევეშველო"* – ამბობს ბარაბაძე.

**მერაბ მამულაშვილი**



რევაზ ბარაბაძე (ბურთით)

ალიარება

# ფიფამ კოსოვოს ნება დართო

## რა მოხდება აფხაზეთ-სამაჩაბლოს შემთხვევაში?

გუშინ ფიფამ თავის ოფიციალურ ვებგვერდზე უმნიშვნელოვანესი პრესრელიზი გაავრცელა: *"22 მაისს ბუდაპეშტში მიმდინარე სხდომაზე, ფიფას აღმასრულებელმა კომიტეტმა, ორგანიზაციის დებულების 79-ე მუხლის თანახმად, მის წევრ ქვეყნებს ნება დართო, რომ კოსოვოს ნაკრებთან საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრები ჩაატარონ".*

ფიფას დებულების 79-ე მუხლში ვკითხულობთ: *"ფიფას წერილობითი თანხმობის გარეშე, კონფედერაციის ასოცირებული წევრების ფეხბურთელებსა და გუნდებს ეკრძალებათ თამაში და კონტაქტი იმ ფეხბურთელებთან და გუნდებთან, რომლებიც არ არიან კონფედერაციის წევრები".*

კოსოვომ სერბეთისგან გამოყოფა და დამოუკიდებლობა 2008 წელს გამოაცხადა. მაგრამ ადრე ფიფა კოსოვოს აღიარებას ერიდებოდა, რადგან ის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი არ არის. ასევე იქცეოდა უეფაც.

ფიფას გუშინდელი გადაწყვეტილება ხომ არ არის სიგნალი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკებისთვის? ამ კითხვით აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, **მურად ანჯაფარიძეს** მივმართეთ.



მურად ანჯაფარიძე

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

*"არა მგონია, რომ კოსოვოში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მსგავსი ვითარება იყოს. ჩვენს შემთხვევაში, სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობა მხოლოდ ორიოდე გაუგებარმა სახელმწიფომ და რუსეთმა აღიარეს, კოსოვო კი 50-ზე მეტმა ქვეყანამ. ამას გარდა, საერთაშორისო ორგანიზაციები კოსოვოსთან სხვადასხვა მიამრთულებით თანამშრომლობენ. ალბათ, ეს გაითვალისწინა ფიფამ და ამიტომაც დართო ბალკანელებს ამხანაგური მატჩების ჩატარების უფლება. როგორც ვიცი, კოსოვოს ნაკრებმა ადრე შვეიცარიულ კლუბთანაც ითამაშა.*

*მესმის, ჩვენს შემთხვევაშიც გარკვეული საფრთხე არსებობს, მაგრამ არა მგონია, რომ ფიფამ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს იგივე უფლება დართოს, რადგან მათ საერთაშორისო ორგანიზაციები არც სცნობენ და არც თანამშრომლობენ.*

*სხვათა შორის, ჯერ კიდევ მერაბ ჟორდანიას პრეზიდენტობის პერიოდში ამ საკითხზე რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტს კოლოსკოვს ველაპარაკეთ და სწორედ მან გვითხრა, წარმოუდგენელია, რომ ისინი ფიფაში მიიღონ"* – ამბობს ანჯაფარიძე.

**მერაბ მამულაშვილი**

ქართული ფეხბურთი

ლეგიონერები

# გიორგი ლომაია აზერბაიჯანის საუკეთესო ფეხბურთელია!

აზერბაიჯანულ ვებგვერდზე „აზერიფუტბოლი" დასრულდა გამოკითხვა, თუ ვინ იქნებოდა 2011/12 წლების სეზონში აზერბაიჯანის საუკეთესო ფეხბურთელი. ჩვენთვის სასიხარულო უნდა იყოს, რომ ამ გამოკითხვაში გაიმარჯვა ბაქოს „ინტერის" 32 წლის მეკარემ **გიორგი ლომაიამ,** რომელმაც 180 ხმა (31%) მოაგროვა და უკან ჩამოიტოვა ლენქორანის „ხაზარის" კაპიტანი **რახიდ ამირგულიევი** (143 ხმა) და ბაქოს „ნეფთჩის" უზბეკი ლეგიონერი, აზერბაიჯანის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი **ბახოდირ ნასიმოვი** (87 ხმა).

დაგვეთანხმებით, რომ მართლაც იშვიათია შემთხვევა, როცა საუკეთესო ფეხბურთელის გამოკითხვაში მეკარე იმარჯვებს; თუმცა, 32 წლის გიორგი ლომაიას იმდენად წარმატებული სეზონი ჰქონდა, რომ აზერბაიჯანის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელობა, წესითა და რიგით, არც უნდა გაკვირვებოდა ვინმეს. გასულ სეზონში ლომაიამ 29 მატჩი ჩაატარა აზერბაიჯანულ პრემიერლიგაში და 18 ბურთი გაუშვა, რაც მართლაც მშვენიერი შედეგია (ლომაიამ მხოლოდ სამი მატჩი გამოტოვა და ისიც დისკვალიფიკაციის გამო).



გიორგი ლომაია

...თბილისის „კოდაკო", თბილისის „დინამო", თბილისის „ლოკომოტივი", თბილისის „მერანი-91", რუსთავის „ოლიმპი", მოსკოვის „სპარტაკი", „ხიმკი", ვლადივოსტოკის „ლუჩ-ენერგია", იენის „კარლ ცაისი", ლვოვის „კარპატი" — 2009 წლამდე ლომაია ამ გუნდების ღირსებას იცავდა; 2009 წლის ზაფხულიდან კი ბაქოს „ინტერშია" და ამ გუნდთან ერთად აზერბაიჯანის ჩემპიონიც გახდა (2010 წელს) და „თანამეგობრობის თასის" გამარჯვებულიც (21011 წელს). იმასაც შეგახსენებთ, რომ 1998 წლიდან 2010 წლამდე გიორგი ლომაია საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ასპარეზობდა და 45 მატჩი ჩაატარა.

**გია გაგოშიძე**

# ცხადაძე სეზონის აღმოჩენაა



ბაჩანა ცხადაძე

აზერბაიჯანული ინტერნეტგამოცემა "აზერისპორტი" ბაქოს "ინტერის" მთავარ მწვრთნელს, **კახა ცხადაძესა** და ამ გუნდის ქართველ ფეხბურთელებს დიდად არ წყალობს. სწორედ ამიტომ იყო გასაოცარი, როდესაც გამოცემამ "ინტერის" დახასიათებისას "საყვარელი" მწვრთნელის შვილი, **ბაჩანა ცხადაძე** დააფასა.

*"ჩვენი აზრით, ბაჩანა ცხადაძე წლის აღმოჩენაა. კლუბის საუკეთესო ბომბარდირმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა იმაში, "ინტერმა" ბრინჯაოს მედალი რომ მოიპოვა. მან მთლიანად გაამართლა მთავარი მწვრთნელისა და მამის, კახა ცხადაძის იმედები. დასრულებული სეზონი ბაჩანასთვის მნიშვნელოვანი იყო, რადგან უნდა დაემტკიცებინა, რომ გუნდში მამის გამო არ ათამაშებდნენ. და მან ეს შესძლო"* – წერს გამოცემა.

აქვე ვიტყვით, რომ ბაჩანა კლუბის საუკეთესო და ყველაზე სასარგებლო მოთამაშეც გახდა – ჩემპიონატში 7 გოლი გაიტანა, 3 საგოლე გადაცემა გააკეთა და ნომინაციაში "გოლი+პასი" ბაქოს "ინტერის" ფეხბურთელებში პირველი ადგილი დაიკავა.

აზერბაიჯანის პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტმა **რამინ მუსაევმა** კი "აზერისპორტთან" და გაზეთ "ზერკალოსთან" ინტერვიუში თქვა, რომ რამდენიმე ფეხბურთელი მოსწონს, განსაკუთრებით კი "ინტერის" ქართველი თავდამსხმელი ცხადაძე აღნიშნა.

**მერაბ მამულაშვილი**

# ვინ არის ნუგზარ კვირტია?

აზერბაიჯანში დამთავრდა სეზონი, დაიწყო მიდი-მოდი და ჩანს, რომ მომდევნო სეზონში ბაქოს "ინტერი" ქართველი ფეხბურთელების მასობრივი დისლოკაციის ადგილი იქნება.

როგორც ცნობილია, სეზონის დასრულების შემდეგ აგდამის "ყარაბახთან" კონტრაქტი აღარ გააგრძელა აზერბაიჯანის ჩემპიონატის ერთ-ერთმა საუკეთესო თავდამსხმელმა **გიორგი ადამიამ**. "აზერიფუტბოლის" ცნობით, ეს გუნდის ხელმძღვანელობისთვის დიდი შოკი იყო. უკვე ვწერდით, რომ ადამიას "ინტერში" გადასვლა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია.

იყო ალბათობა, კახა ცხადაძის გუნდში გადასულიყო კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელი **ნუგზარ კვირტია**. 27 წლის ნახევარმცველი ბოლოს ბაქოს აზალ-ში თამაშობდა, მაგრამ სეზონის დასრულების შემდეგ, მთავარ მწვრთნელთან **ვაგიფ სადიგოვთან** კონფლიქტის გამო, კლუბთან კონტრაქტი გაწყვიტა. სადიგოვი "სუმგაითთან" ქართველის თამაშით უკმაყოფილო დარჩა, მაგრამ ფეხბურთელმა მისი შენიშვნა იწყინა და აზალ-ი დატოვა.

მაშინვე გაჩნდა ინფორმაცია, რომ კვირტიას ცხადაძე "ინტერში" იწვევდა. ამავე დროს, ქართველი ნახევარმცველით "რავანიც" დაინტერესდა, მაგრამ საბოლოოდ მან ქართველ მწვრთნელთან მუშაობა ამჯობინა, მაგრამ არა ცხადაძესთან, არამედ ზაქათალას "სიმურგში" **გიორგი ჩიხრაძესთან**.

აზერბაიჯანული გამოცემა "ექსტრატაიმის" ცნობით, უახლოეს დღეებში ოფიციალურად დადასტურდება ტრანსფერი ფეხბურთელთან, რომელსაც აზერბაიჯანული მედია ჩემპიონატში მოასპარეზე ერთ-ერთ ყველაზე კაშკაშა ქართველს უწოდებს.

ამასობაში ევროპის ლიგაში გასულმა "ინტერმა" ქართველ მოთამაშეებთან კონტრაქტები გაახანგრძლივა. **გიორგი ლომაიამ, ილია კანდელაკმა** და **ბაჩანა ცხადაძემ** ერთწლიანი ხელშეკრულებები გააფორმეს. **ვალერი აბრამიძეს** კონტრაქტი კი მომავალ წელს უმთავრდება.

ნუგზარ კვირტია ქართველი გულშემატკივრისთვის უცნობი მოთამაშეა. ის თბილისშია დაბადებული, მაგრამ რუსეთშია გაზრდილი და მოსკოვის საფეხბურთო სკოლაში ვარჯიშობდა. 14 წლისა საქართველოში ჩამოვიდა და 1999-2000 წლებში თბილისის "დინამოს" დუბლებში გამოდიოდა. 2001 წელს მოსკოვში დაბრუნდა და "ხიმკიში" ჩაირიცხა, მერე იყო კრასნოგორსკის "ზორკი" (2004–2006), "რიაზანი" (2007), "ზელენოგრადი" (2008) და "ზნამია ტრუდა" (2009), აზალ-ში კი 2009 წლის შემოდგომაზე ჩაირიცხა.

**მერაბ მამულაშვილი**



ნუგზარ კვირტია (№10)



შოთა არველაძე

ფრაგმენტები შოთა არველაძის ავტობიოგრაფიული წიგნიდან

ჯუმ ინ... ბიბლიოთეკა

# ტრაბზონი 1995-1996 – გოლის მეფე

გაგრძელება. დასაწყისი: ლელო №110 (13716)

„ბეშიქთაშთან" საშინაო მატჩის დროს მარჯვენა მუხლში უცნაური ტკივილი ვიგრძენი და შეცვლა ვითხოვე... საავადმყოფოში წავედი და სურათი გადავიღე. ექიმებმა მენისკის დაზიანება დამიდგინეს და ექიმ ბლენტ ზერენთან გამგზავნეს იზმირში... მან ოპერაცია გამიკეთა და რამდენიმე კვირით თამაში ამიკრძალა. მოჩქარეს — მოუგვიანდესო... ეს ანდაზა კი გამეგო, მაგრამ ზუსტად რას გულისხმობდა, ალბათ არ ვიცოდი... კიჭა, ჯემალი და დათო, ჩემი პირად ექიმი, სულ მაფრთხილებდნენ, — ნუ ჩქარობ, ნუ ხარ სულსწრაფი, ცოტა კიდევ მოითმინე და მერე ითამაშეო. მე კი არავისი მესმოდა... — ოთხი კვირა — საუკუნედ მეჩვენა და პირდაპირ მოედანზე გავვარდი... თან საქართველოს ნაკრებს რამდენიმე დღეში ინგლისის ნაკრებთან უწევდა თბილისში თამაში და იმის დაშვებაც კი არ მინდოდა, რომ მათ უჩემოდ უნდა ეთამაშათ. მით უმეტეს, რომ ამ ციკლის პირველი მატჩი იტალიასთან, ტრავმის გამო, უკვე გამოტოვებული მქონდა.

არავის დავუჯერე, ოთხი კვირის თავზე „ტრაბზონში", „ქოჯაელისპორთან" სათამაშოდ გამოვედი და 76 წუთი ვითამაშე. ამის შემდეგ აჩისთან ერთად თბილისში წავედი, ფეხი ისე გამისივდა, რომ 20-22 წლის ბიჭებს ეს გუნდი უნდა დაგვემარცხებინა! არც სპორტულმა პრესამ დაგვინდო, **ჩივაძეს** კინაღამ ინფარქტი დაემართა და გადადგა... მე „ტრაბზონში" დავბრუნდი... შემდეგ ორი თვე მუხლის მორჩენას მოვანდომე და მხოლოდ საზამთრო შეკრებაზე შევუერთდი გუნდს.

ანტალიაში გატარებული დღეებისგან არაფრით განსხვავებულ ერთ მშვენიერ დღეს ჩემი და აჩის ოთახის კარები გაიღო და **გოჩა ჯამარაული** შემოვიდა, რომელიც მანამდე თბილისის „დინამოში" თამაშობდა... ის, რომ „ტრაბზონსპორთან" გააფორმა კონტრაქტი, სწორედ მისგან შევიტყვეთ. ეს გარიგება გასაიდუმლოებული იყო და ამიტომ, არაფერი ვიცოდით.

ქართველების რიცხვი ოთხამდე გაიზარდა და ჩვენც მეტად გავხალისდით!.. ბევრს ვიცინოდით და ვხუმრობდით, ყველაზე მეტს **გიორგი ნემსაძეზე.** თურქები იმასაც კი გვეუბნებოდნენ, რა გინდათ ამ წესიერი ადამიანისგან, რას ერჩით, რა დაგიშავათო?! მაგრამ ასეთი ურთიერთობა ჯერ კიდევ „დინამოდან" მოდიოდა და ტრადიცია „ტრაბზონშიც" გაგრძელდა.

თურქეთში ლეგიონერთა რაოდენობა ლიმიტირებული იყო; გუნდს მოედანზე მხოლოდ სამი უცხოელის გაყვანა შეეძლო და „ჯამარას" მოსვლის შემდეგ ქართველები ერთმანეთის კონკურენტები გავხდით. გულახდილად ვიტყვი, ეს კონკურენცია მე არ მეხებოდა, მაგრამ ჩვენი ურთიერთობა, რა თქმა უნდა, ისევ ისეთივე მეგობრული დარჩა, როგორიც ადრე იყო.



ქართველები ტრაბზონში. მარცხნიდან: არჩილ არველაძე, შოთა არველაძე, გიორგი ნემსაძე, გოჩა ჯამარაული

ფოტო წიგნიდან „ჯუმინ..."

მეორე წრე „გენჩლერბირლიგი" 4:1 — გამარჯვებით დავიწყეთ, გულშემატკივრმა „ჯამარა" კარგად მიიღო. მეც, ტრავმის შემდეგ, საკმაოდ კარგად გამოვიყურებოდი და გოლიც გავიტანე. მე, „ჯამარამ" და ნემსაძემ სრულად ვითამაშეთ. აჩი კი ჯერ მზად არ იყო. თებერვალში კლუბის კონგრესი გაიმართა და „ტრაბზონის" ახალი პრეზიდენტი აირჩიეს, — გავლენიანი და მდიდარი ფიგურა, — **მეჰმედ ალი ილმაზი**. კლუბის დირექტორატიც შეიცვალა... წავიდა ფარუკ ოზაკი, ქენან ისკანდერი და რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ქართველებისთვის, ჯაფერ ხაზაროღლუ, რომელიც ყოველთვის და ყველაფერში გვერდში გვედგა. სრულიად უცხო ხალხი მოვიდა, სხვადასხვა ქალაქებიდან და ყველაფერი თავდაყირა დააყენეს.

პირველივე მარცხის შემდეგ სტამბულში, „ბეშიქთაშთან" — რომელიც 3:0-ით დამთავრდა, კლუბის პრეზიდენტმა შენოლ გიუნეში დაითხოვა. ახლაც მახსოვს გიუნეშის გამოსათხოვარი კრება, მისი აცრემლებული თვალები, მეც ძალიან გამიჭირდა... მან პირველმა მაზიარა პროფესიონალიზმს, ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ სახელი გამეთქვა და დიდი ფეხბურთი მეთამაშა... სიტყვის დასრულების შემდეგ მივედი და გადავეხვიე... ორივეს თვალები ცრემლებით გვქონდა სავსე...

(ამ ნაწილის ბოლოში ტექსტი წინა სვეტიდან:) ველარ დავდიოდა. საქართველო კი ერთ-ერთ მსოფლიო გრანდს მასპინძლობდა და საგანგებოდ ემზადებოდა. არ ვიცი რატომ, მაგრამ ყველას ეგონა, რომ მოვიგებდით. ბიზნესმენებმა სხვადასხვა პრიზებიც კი დააწესეს, — მანქანის ჩათვლით, რომელიც იმას შეხვდებოდა, ვინც ინგლისელების კარში პირველ გოლს გაიტანდა! ჩემი თამაში დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა, ფეხი ვერაფრით დავაცხრეთ, ძალიან ვნერვიულობდი, მეგონა ამ თამაშის გამოტოვებით მთელ ჩემს გუნდს ვღალატობდი და ამავე დროს ვფიქრობდი, რომ ჩვენს თაობას, კარიერაში, ყველაზე მნიშვნელოვნი მატჩი გველოდა. ერთის მხრივ, ალბათ კარგია ასეთი მიდგომა, მაგრამ ძალიან შევცდი. თამაშის წინ სამი გამაყუჩებელი ნემსი გავიკეთე, 58-ე წუთზე შემცვალეს, ისე ვითამაშე, როგორც ყველამ, — **გიო ქინქლაძის** გარდა... მხოლოდ გიომ შეძლო კლასის ჩვენება!

0:2-ით დავმარცხდით. საოცარი გუნდი ჰყავდათ, — ფიზიკურად და ტაქტიკურად ძალიან ძლიერი, ხოლო შემსრულებლები, მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო: **სიმენი, კემპბელი, ადამსი, პოლ გასკოინი, დევიდ ბექჰემი, ფერდინანდი, ალან შირერი, ნიკი ბატი, იან რაითი, ტედი შერინგემი** და ბევრი სხვა... ამ შემადგენლობის მიუხედავად, გულშემატკივარმა ისეთი ამბავი მოაწყო სტადიონზე, რომ ასეთი ლანძღვა-გინება და ამისთანა გადარევა, ვერც მე და ვერც სტაჟიანმა გულშემატკივარმა ვერ გაიხსენა... მოკლედ, ჩათვალეს,

გაგრძელება იქნება

ინტერვიუ. ლუის სუარესი

# არ ღირს ჩემი გაბრაზება

**ნამყვანმა ესპანურმა გამოცემა "მარკამ" ლუის სუარესი მკითხველს სოციალურ ქსელში შეახვედრა – ფანები ურუგვაელ ვარსკვლავს შეკითხვებს ტვიტერზე უსვამდნენ.**

**- შეაფასეთ "ლივერპულის" მიერ განვლილი სეზონის შედეგები.**

- თუკი გლობალურად შევხედავთ, ჩვენ უზარმაზარი სამუშაო გავწიეთ. ორი სათასო ტურნირის ფინალში გავედით, მაგრამ ჩემპიონატში იმ შედეგებს ვერ მივაღწიეთ, რასაც ვგეგმავდით. თუმცა ამაშიც არის დადებითი მხარე, რადგან მიღებული გამოცდილება მომავალში გამოგვადგება. მთავარია, რომ გუნდში უკვე ჩამოყალიბდა ოპტიმალური შემადგენლობა. ჩემპიონთა ლიგაში ვერ მოვხვდით, მაგრამ ამის წყალობით დასვენების მეტი საშუალება გვექნება და ჩემპიონატზე მეტად კონცენტრაციას შევძლებთ. დარწმუნებული ვარ, ასეთი ჩავარდნა აღარ გვექნება.

**- გუნდს და საკუთარ თავს როგორ შეაფასებდით?**

- "ლივერპულს" 10-დან 10 ქულას დავუწერდი იმის გამო, რა მხარდაჭერასაც ვგრძნობდი მისგან, მისი გულშემატკივრებისთვის, რომლებიც ყოველთვის ჩვენ გვერდით არიან. მადლობელი ვარ, პრემიერლიგაში თამაშის შანსი რომ მომეცა. მე რა შეფასებას ვიმსახურებ, მოდი, ამაზე სხვებმა იმსჯელონ.

**- საფეხბურთო ოჯახიდან ხართ. მამა და ძმები ხშირად ხომ არ ცდილობენ რჩევის მოცემას?**

- არა, რადგან იციან ვინ ვარ და რა ხასიათიც მაქვს. არ ღირს მოედანზე ჩემი გაბრაზება, ისედაც ბევრი არ მჭირდება თავზე კონტროლის დასაკარგად.

**- სუარესი მოედანზე და მის მიღმა ორი განსხვავებული ადამიანია?**

- დიახ და თანაც როგორ! თამაშის დროს ბევრს ვყვირი, ვაპროტესტებ, სახლში კიდევ წყნარი ადამიანი ვარ, რომლის გაბრაზება წარმოუდგენელია.

**- ინგლისამდე ჰოლანდიაში თამაშობდით. სად გრძნობდით თავს უკეთესად?**

- ვერ გეტყვით, რადგან ამსტერდამშიც ბედნიერი ვიყავი და აქაც ასე ვარ. უბრალოდ იმას ვიტყვი, რომ განსხვავებული ქვეყნებია და ცხოვრების წესიც სხვადასხვაა.

**- ვინ არის თქვენთვის დალგლიში?**

- ერთ-ერთი ის ადამიანი, ვისი მადლობელიც ვიქნები სულ.

**- შეიძლება ითქვას, რომ თქვენი მომავლისთვის მან მყარი ფუნდამენტი ჩაყარა?**

- ეს არის მწვრთნელი, ვინც მე ძალიან ბევრი რამ მასწავლა. იმედია, მასთან კავშირს შევინარჩუნებ.

**- თქვენი აზრით, "სიტის" ჩემპიონობა სამართლიანი იყო?**

- ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლა ძალიან დაძაბული იყო. "ქალაქელებმა" დაამტკიცეს, რომ ყველაზე უიმედო სიტუაციაშიც არ ღირს ხელების ჩამოშვება.

**- ამბობენ, რომ ესპანური პრიმერა თქვენ დიდი ინტერესით გაკვირდებათ. თავად რას ფიქრობთ მასზე?**

- ინგლისის პრემიერლიგა და ლა ლიგა ერთნაირად მომხიბლავი ჩემპიონატებია. მართალია მათში განსხვავებულ ფეხბურთს თამაშობენ, მაგრამ ორივე საინტერესოა. ვფიქრობ, პრემიერლიგაში უფრო თანაბარი ძალის გუნდები თამაშობენ.

**- ყველაზე მეტად რომელმა ფეხბურთელმა და გუნდმა გაგაკვირვათ?**

- იაია ტურემ თავი ერთ-ერთ უდიდეს ფეხბურთელად წარმოაჩინა, "სუონსიმ", რომელსაც ყველაზე მომხიბლავი გუნდი შემიძლია ვუწოდო. ვგულისხმობ მისი ყოველი ფეხბურთელის დამოკიდებულებას თამაშის მიმართ, ბურთის მიმართ.



**- ოქროს ბურთს ვის გადასცემდით?**

- ლეო მესის 50-გოლიანი ისტორიული შედეგია, მაგრამ მე კრიშტიანო რონალდოს დავასახელებდი. "რეალის" გაჩემპიონებაში მისი ღვაწლი განუზომელია.

**- ინგლისური ფეხბურთი რითი განსხვავდება ჰოლანდიურისგან?**

- განსხვავება დიდია. კუნძულზე ყველაფერი უფრო ათლეტურ მანერაში კეთდება. "აიაქსმა" და ჰოლანდიურმა ფეხბურთმა კი ის მასწავლა, რომ დეტალებს ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციო, რაც ხანდახან შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი გამოდგეს.

**- რა უფრო გხიბლავთ, "შრომითი" ფეხბურთი "ბარსასგან" თუ "რეალის" ელვისებური შეტევები?**

- ორივე ესპანურ გრანდს თამაშის თავისი მანერა აქვს. მათში ამას მწვრთნელები ნერგავენ. "ბარსაც" და "რეალიც" ლამაზ ფეხბურთს თამაშობენ. მე მათ სიამოვნებით ვუყურებ ტელევიზორში.

**- რომლის შემადგენლობაში ითამაშებდით?**

- არ გეტყვით. მე უბრალოდ ფეხბურთის თამაში მიყვარს სადაც არ უნდა ვირიცხებოდე.

**- ხმებს თუ დავუჯერებთ, ხან ერთ კლუბში გადადიხართ, ხან – მეორეში. გქონიათ მათთან მოლაპარაკება?**

- გულზე ხელს დაიდებ და გეტყვით, რომ არასოდეს არც ერთი ამ კლუბისგან წინადადება არ მიმიღია.

**- "ბარსელონასთან" ლუის სუარესს იმიტომაც ხომ არ გაუჭირდება ურთიერთობის დაჭერა, რომ თქვენი აგენტი პეპ გვარდიოლას ძმაა?**

- არ მგონია, ვინმემ ამას ყურადღება მიაქციოს. მნიშვნელოვანია მხოლოდ ფეხბურთელის დონე, რადგან მოედანზე გასვლა აგენტს კი არა ფეხბურთელს უწევს.

ვარსკვლავი

# ტერის დასცინიან







ჩემპიონთა ლიგის ფინალის დაჯილდოების ცერემონიალის შემდეგ **ჯონ ტერი** და მისი ემოციები გულშემატკივართა მხრიდან დაცინვის საფუძველი გახდა. შეგახსენებთ, რომ 1/2-ფინალში "ბარსელონასთან" გაძევების წყალობით 31 წლის კაპიტანი დისკვალიფიცირებული გახლდათ და **ფრენკ ლემპარდის** ნაცვლად (ლონდონელთა კაპიტანი ფინალში) თასი სწორედ მან აღმართა. ფანები მეორე დღესვე შეუდგნენ ფოტოკოლაჟების დამზადებას, სადაც ფეხბურთელი, მაგალითად, მთვარეზე **ნილ არმსტრონგის** გვერდით ჩანს, ბუკინგემის სასახლის აივანზე ქორწილისას პრინც **უილიამსა** და პრინცესა **კეიტ მიდლტონი** უმშვენებს გვერდს, **ლეონარდო და ვინჩის** "საიდუმლო სერობაში" მაგიდას **იესო ქრისტეს** მაგივრად უზის, ჩაქუჩით ხელში ბერლინის კედელს ანგრევს, 1966 წლის მსოფლიოს თასს **ბობი მურის** ნაცვლად აღმართავს, **ნელსონ მანდელასთან** ერთად სამხრეთაფრიკულ აპარტეიდულ რეჟიმს ებრძვის, ამერიკელ საზღვაო ქვეითებთან ერთად ივო ძიმაზე დროშის აღმართვის ცერემონიალში მონაწილეობს, ჩინურ ჯავშანტექნიკას მიუძღვება პეკინის ტიანმენის მოედანზე, ცოცხლად ატყვევებს **ოსამა ბინ ლადენს** და ასე შემდეგ. კოლაჟების ჩამოთვლა ძალზე შორს წაგვიყვანს.

ალსანიშნავია, რომ "ტერის დაცინვის კამპანიას" სოციალურ ქსელებში პოპულარული ადამიანებიც შეუერთდნენ, მაგალითად ავტორიტეტული ჟურნალისტი **პირს მორგანი**, ინგლისის კრიკეტის ნაკრების კაპიტანი **მაიკლ ვოგანი** და ასე შემდეგ.

ამბები

## სუპერთასი 31 აგვისტოს

ევროპის სუპერთასის მატჩს "ჩელსისა" და "ატლეტიკოს" შორის 31 აგვისტოს მონაკოს "ლუი II" უკანასკნელად უმასპინძლებს. გუნდებს აქვთ შანსი, რომ "იუვენტუსის", "ანდერლეხტისა" და "ვალენსიის" დარად ეს ტიტული მეორედ მოიპოვონ. 2013 წელს ტიტულის მფლობელი კი უკვე პრაღის "ედენზე" გაირკვევა. აღნიშნული გადაწყვეტილება უეფას აღმასრულებელმა კომიტეტმა შარშან ივნისში მიიღო.

## აზარი ეშმაკებისკენ იხრება

"ლილისა" და ბელგიის ნაკრების 21 წლის სუპერვარსკვლავმა **ედენ აზარმა** დიდი ხნის წინ განაცხადა, სეზონის დასრულების შემდეგ სათამაშოდ პრემიერლიგაში წასვლას ვაპირებო. მისით პრაქტიკულად ყველა შეძლებული ინგლისური კლუბი დაინტერესდა. ფეხბურთელმა მერე დააზუსტა, რომ საცხოვრებლად მანჩესტერში მიდის. შესაბამისად, ცხადი გახდა, რომ ის ან "იუნაიტედს" ეტყოდა "ჰოს", ან "სიტის". "დეილი მეილის" მტკიცებით, ფეხბურთელის სიმპათიები სერ **ალექს ფერგიუსონის** გუნდისკენ უფრო იხრება, რადგან ის "ქალაქელთა" შემადგენლობაში არსებულ ჯოჯოხეთურ კონკურენციას გაურბის.

## უკან ტოტენჰემში

**ემანუელ ადებაიორს** სეზონის დასრულებისთანავე ჩამოერთვა ტოტენჰემელის სტატუსი და ისევ "მანჩესტერ სიტის" ფეხბურთელად გადაიქცა. ემანუელისთვის ცხადია, რომ "ეტიჰადზე" მას დიდი მომავალი არ აქვს, ამიტომაც "ტოტენჰემში" დაბრუნებას ლამობს. ტოგოელის აგენტმა უკვე წამოიწყო მოლაპარაკებები, რათა "სიტი" ფეხბურთელის ჩრდილო ლონდონში გაშვებაზე დაითანხმოს და თანაც არა იჯარით, არამედ სრულფასოვანი კონტრაქტით. ინფორმაცია მოლაპარაკებათა პროცესის დაწყების თაობაზე ადებაიორმა თავად გაავრცელა "ტვიტერის" წყალობით. "მომეწონა ის დრო, რაც "უაით ჰარტ ლეინზე" გავატარე. კლუბის ხელმძღვანელობასთან ერთად უკვე ჩავერთეთ მოლაპარაკებებში," – დაწერა ადებაიორმა. "სიტისთან" ადებაიორის ხელშეკრულებას ვადა 2014 წლის ივნისში გასდის.

## დეშამი: მარსელში ვრჩები

"მარსელმა" საშინელი სეზონი ჩაატარა. ლიგა 1-ის საბოლოო ცხრილში ზღვისპირელებმა მე-10 ადგილი დაიკავეს. სიტუაციას ვერც ის აფერადებს, რომ **დიდიე დეშამის** შეგირდებმა ჩემპიონთა ლიგის 1/4-ფინალში გააღწიეს და საფრანგეთის ლიგის თასზე იმარჯვეს. სეზონის განმავლობაში 43 წლის სპეციალისტის გათავისუფლებაზე ბევრს წერდნენ. პოპულარულია თემა ლიგა 1-ის დასრულების შემდეგაც. "მომდევნო სეზონში "მარსელის" მთავარი მწვრთნელი დიდი ალბათობით ისევ მე ვიქნები. ახლა ისლა დამრჩენია კუთვნილი შვებულებით ვისარგებლო. "ველოდრომზე" 2 ივლისს დავბრუნდები," – განუცხადა დეშამმა ჟურნალისტებს.

## სოშოს ლიდერები ტოვებენ

ლიგა 1-დან გავარდნას ძლივს გადარჩენილი "სოშოდან" ლიდერები გარბიან. **მარვენ მარტენს** ჯერ კიდევ სეზონის დაწყებამდე სურდა ამბიციურ კლუბში წასვლა, მაგრამ პრეზიდენტმა **ალექსანდრ ლაკომბმა** არც მას და არც **მოდიბო მაიგას** ამის უფლება არ მისცა. მათ გარდა სოშოელთაგან დიდი მოთხოვნით სარგებლობს **რიად ბუდებუზიც**. სად განაგრძობენ ფეხბურთის თამაშს ფეხბურთელები, ჯერჯერობით უცნობია. მარტენს თავის დროზე პსჟ, "მარსელი" და "არსენალი" ინვევდნენ.

## საა რჩება



33 წლის თავდამსხმელმა **ლუის საამ** "ევერტონიდან" "ტოტენჰემს" იანვარში იჯარით მიაშურა და საკუთარი გადაწყვეტილებით უაღრესად კმაყოფილი დარჩა – ამის შესახებ ფეხბურთელმა თავად განაცხადა. ის "უაით ჰართ ლეინზე" დარჩენას აპირებს. *"ჰარი რედნაპი ძალიან დამეხმარა. რითია ის ასეთი კარგი? თავისი ხასიათით, ტაქტიკით და ფეხბურთელებისადმი დამოკიდებულებით,"* – განაცხადა საამ "ფრანს ფუტბოლთან" საუბრისას.

## ბოლტონმა ტანსაცმელი გამოიცვალა

პრემიერლიგიდან დაქვეითებულმა "ბოლტონმა" ტექნიკური სპონსორი შეიცვალა. ან უკვე ჩემპიონშიპის გუნდს "რიბოკის" ნაცვლად "ადიდასი" შემოსავს. აღსანიშნავია, რომ ამით წერტილი დაესვა ყველაზე ხანგრძლივ თანამშრომლობას ბრიტანულ კლუბსა და სპორტული ტანსაცმლის მწარმოებელ ფირმას შორის. "ბოლტონს" ბრიტანული ფირმის პროდუქცია 1990 წლიდან ეცვა. გაყრის მიზეზი საფეხბურთო კლუბი არ ყოფილა. "რიბოკმა" თავად გადაწყვიტა, გაეცალოს საფეხბურთო სამყაროს და აქცენტი ფიტნესზე გადაიტანოს.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

სერია A. სეზონის შეჯამება. ნაწილი პირველი

# იუვეს სრული ტრიუმფი

## და სხვები გემოვნებით



ჯორჯო კიელინი და ანდრეა ბარცალი: "იუვემ" სეზონში მხოლოდ 20 გოლი გაუშვა

**სერია A-ს განვლილი სეზონის შედეგებს იტალიაში ჯერ კიდევ აჯამებენ და ეს მიუხედავად იმისა, რომ ნელნელა, წინა პლანზე მოახლოებული ევროპის ჩემპიონატი და შესაბამისად, სანაკრებო ფეხბურთი მოდის. ჩვენც, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ განვლილი ბატალიები, საუკეთესო ფეხბურთელები და რაც ასევე საინტერესოა, გავეცნოთ სტატისტიკურ მონაცემებს. სერია A-ს 2011/2012 წლების გათამაშების შეჯამება ორ ნაწილად.**

### ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრები

**ბუფონი** (იუვენტუსი) – **კამპანიარო** (ნაპოლი), **ბარცალი** (იუვენტუსი), **კიელინი** (იუვენტუსი), **არმერო** (უდინეზე) – **პირლო** (იუვენტუსი), **ვიდალი** (იუვენტუსი), **ნოჩერინო** (მილანი) – **დი ნატალე** (უდინეზე), **იბრაჰიმოვიჩი** (მილანი), **მილიტო** (ინტერი).

### მეკარე და დაცვა

ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებში "იუვენტუსის" ფეხბურთელები ჭარბობენ და ეს არცაა გასაკვირი, რადგან ტურინული გრანდი ჩემპიონი გახდა. თანაც, ჩემპიონობაცაა და ჩემპიონობაც – **ანტონიო კონტეს** შეგირდებმა 38 მატჩი ისე გამართეს, რომ მარცხი არ უგემიათ. მოკლედ, ტურინელებზე ყველაფერი ალალია, მათ შორის სიმბოლური ნაკრებიც. მეკარე და ცენტრალური მცველები რომ "იუვენტინოები" არიან, ეს ყველაზე უფრო ლოგიკურია – "ვეკია სენიორამ" მთელ ჩემპიონატში მხოლოდ 20 გოლი გაუშვა და პირველ რიგში, ეს სწორედ **ჯიჯი ბუფონის**, **ანდრეა ბარცალის** და **ჯორჯო კიელინის** დამსახურებაა. დაცვის მარჯვენა ფრთაზე **უგო კამპანიარო** უნდა გამოვარჩიოთ, რომელიც მთელი სეზონის განმავლობაში საიმედო იყო და სტატისტიკის მიხედვით, ძირითადად იმ შეხვედრებში აგებდა ნეაპოლური გუნდი, როდესაც მოედანზე არგენტინელი უკანახაზელი არ იყო. ამ მაჩვენებლით, კამპანიარომ თანამემამულე **ესეკილ ლავეცისაც** კი აჯობა. მარცხენა ფრთაზე უდინელი **პაბლო არმეროა** საუკეთესო, რომელმაც შესანიშნავი სეზონი ჩაატარა და დიდი წვლილი შეიტანა "უდინეზეს" წარმატებაში. შემთხვევითი არაა, რომ კოლუმბიელ მცველზე ევროპული ფეხბურთის გრანდებს ნადირობა აქვთ გამოცხადებული.

### ნახევარდაცვა

ნახევარდაცვაში ისეთ სამეულს ვხედავთ, საკამათო რომ არ დარჩება არაფერი... **ანდრეა პირლომ** საოცარი სეზონი ჩაატარა, "იუვენტუსში" ახლიდან გაიხსნა და კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ფეხბურთელია. ძალიან ნაყოფიერი იყო **არტურო ვიდალიც**, 33 შეხვედრა ჩაატარა და 7 გოლი გაიტანა, რაც ნახევარმცველისთვის ნამდვილად შესანიშნავი შედეგია. იგივე შეიძლება ითქვას **ანტონიო ნოჩერინოზე**, რომელმაც 35 შეხვედრა გამართა "მილანის" შემადგენლობაში და 10 გოლი გაიტანა – ცნობისთვის, ნოჩერინოზე მეტი გოლი "როსონერიში" მხოლოდ **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** შეაგდო.



ანდრეა პირლოს ანგარიშზე 3 გოლი და 13 საგოლე გადაცემაა

### თავდასხმა

თავდასხმაზე ბევრი არაფერია სათქმელი, რადგან რიცხვები ყველაფერზე ნათლად მეტყველებენ – ზლატან იბრაჰიმოვიჩმა 28 გოლი გაიტანა, ბომბარდირი გახდა და ბუნებრივია, რომ სიმბოლურ ნაკრებში მას ადგილი გარანტირებული აქვს. აქვეა **ანტონიო დი ნატალე**, რომელმაც კიდევ ერთხელ მოუტანა "უდინეზეს" ჩემპიონთა ლიგის საგზური და უკან ისეთი გუნდები მოიტოვა, როგორებიც "ლაციო", "ინტერი", "ნაპოლი" და "რომა" არიან. რაც შეეხება **დიეგო მილიტოს**, მას მეორე ახალგაზრდობა გაეხსნა და ფაქტობრივად მარტო იბრძოდა "ინტერის" პრესტიჟისთვის; შედეგად, მასაც ხვდა პატივი შესულიყო ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებში.

### ჩემპიონატის გმირი

ჩემპიონატის გმირი, ანუ საუკეთესო ფეხბურთელი ანდრეა პირლო გახლავთ, მოთამაშე, რომელიც "იუვენტუსის" ლიდერად ჩამოყალიბდა და ლომის წილი დაიდო ტურინული გრანდის გაჩემპიონებაში. პირლომ 37 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, 3 გოლი გაიტანა და 13 საგოლე გადაცემა მიითვალა აქტივში. ამასთან, მთელი სეზონის განმავლობაში დირიჟორობდა "იუვეს" შეტევებს და არც მეტოქის იერიშების ჩაშლისას გახლდათ სტატისტის როლში. ერთი სიტყვით, პირლომ უდიდესი წვლილი შეიტანა იმაში, რომ "იუვემ" "მილანს" საჩემპიონო რბოლა მოუგო და ეს იმ "მილანს", რომელიც ანდრეამ სეზონის წინ დატოვა... თანაც, დატოვა არა თავისი ინიციატივით, არამედ ლომბარდიელთა მთავარი მწვრთნელის, **მასიმილიანო ალეგრის** მოთხოვნით; ალბათ, ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო, რომ პირლომ სეზონი განსაკუთრებული ენთუზიაზმით ჩაატარა, 33 წლის ასაკში აბსოლუტურად ყველაფერს ასწრებდა მოედანზე და სწორედ ამიტომ, ის ჩემპიონატის გმირი, საუკეთესო ფეხბურთელია.

### საუკეთესო მწვრთნელი

ქებათა ქება **ფრანჩესკო გვიდოლინს**, რომელმაც "უდინეზეს" კიდევ ერთხელ მოუტანა ჩემპიონთა ლიგის საგზური, მაგრამ ჩემპიონატის საუკეთესო მწვრთნელად მაინც **ანტონიო კონტე** უნდა დავასახელოთ. 42 წლის სპეციალისტმა ტურინული გრანდი გასულ ზაფხულს ჩაიბარა და პირველივე სეზონში გუნდი ჩემპიონობამდე მიიყვანა. თანაც, როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, მის გუნდს 38 შეხვედრიდან არც ერთი არ წაუგია. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, თუ რა მდგომარეობაში ჩაიბარა კონტემ "იუვენტუსი" – აბსოლუტურად დემორალიზებული გუნდი, რომელსაც ბოლო ორი სეზონი მეშვიდე ადგილზე ჰქონდა დასრულებული. ანტინიომ ახალი ენერგია შთაბერა "იუვეს", ახალი მოტივაციაა გააჩინა ფეხბურთელებში და იმ შედეგს მიაღწია, რომელსაც შესაძლოა თავადაც არ ელოდა. "ბიანკონერის" ტაქტიკა-სტრატეგიაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს და სხვა დროისთვის გადავდოთ, აქ კი მხოლოდ ერთს დავამატებთ: ბრავო კონტე...

#### გლობალური სტატისტიკა

**საუკეთესო დასწრება:** XVIII ტური მილანი-ინტერი, 80 000 გულშემატკივარი.

**ყველაზე დაბალი დასწრება:** XVII ტური კალიარი-ჯენოა, XVIII კიევო-პალერმო, XIX კალიარი-ფიორენტინა, XXII ლეჩე-ბოლონია, XXIII კალიარი-პალერმო, XXV კალიარი-ლეჩე, 6 000 გულშემატკივარი.

**ყველაზე დიდი საშინაო გამარჯვება:** ნაპოლი-ჯენოა 6:1 (I ტური), ინტერი-პარმა 5:0 (XVII).

**ყველაზე დიდი საგარეო გამარჯვება:** ფიორენტინა-იუვენტუსი 0:5 (XXVIII ტური).

**ყველაზე უხვგოლიანი თამაში:** ნაპოლი-კალიარი 6:3 (XXVII), ინტერი-ჯენოა 5:4 (XXX).

#### გუნდური სტატისტიკა

**საუკეთესო თავდასხმა: 74 გოლი - მილანი; 68 – იუვენტუსი; 66 - ნაპოლი.**

**საუკეთესო დაცვა: 20 გაშვებული - იუვენტუსი; 33 – მილანი; 35 – უდინეზე.**

**უარესი თავდასხმა: 24 გოლი - ჩეზენა; 35 – კიევო, ნოვარა.**

**უარესი დაცვა: 69 გაშვებული - ჯენოა, 65 – ნოვარა; 62 – პალერმო.**

**ზუსტი გადაცემები: 20646 - იუვენტუსი; 20633 – მილანი; 19648 - რომა.**

**კარის მიმართულებით დარტყმები: 726 - იუვენტუსი; 620 – რომა; 601 – ინტერი.**

**კარში დარტყმები: 261 - იუვენტუსი; 222 - მილანი; 203 - რომა.**

#### ინდივიდუალური სტატისტიკა

**ბომბარდირები:** 28 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 24 – დიეგო მილიტო (ინტერი); 23 – ედინსონ კავანი (ნაპოლი), ანტონიო დი ნატალე (უდინეზე); 19 – როდრიგო პალასიო (ჯენოა); 16 - ხერმან დენისი (ატალანტა), ფაბრიციო მიკოლი (პალერმო); 15 – სებასტიან ჯოვინკო (პარმა); 14 – სტევან იოვეტიჩი (ფიორენტინა); 13 – მიროსლავ კლოზე (ლაციო).

**ასისტენტები:** 13 – ანდრეა პირლო (იუვენტუსი); 12 - ფაბრიციო მიკოლი (პალერმო); 10 - სებასტიან ჯოვინკო (პარმა), პაბლო არმერო (უდინეზე), ანტონიო კასანო (მილანი); 9 - რობინიო (მილანი), მარეკ ჰამშიკი (ნაპოლი); 8 - მირკო ვუჩინიჩი (იუვენტუსი), მირალემ პიანიჩი (რომა); 7 - ხუან მანუელ ვარგასი (ფიორენტინა), სერჯო პელისიერი (კიევო).

**ზუსტი პასები:** 3195 - ანდრეა პირლო (იუვენტუსი); 2365 - კრისტიან ლედესმა (ლაციო); 2226 – ჯორჯო კიელინი (იუვენტუსი); 2121 – დანიელე დე როსი (რომა); 2101 – ფრანჩესკო ლოდი (კატანია); 1968 – რიკარდო მონტოლივო (ფიორენტინა); 1940 – ლუკა ჩიგარინი (ატალანტა); 1882 - არტურო ვიდალი (იუვენტუსი);

**კარის მიმართულებით დარტყმები:** 167 - ანტონიო დი ნატალე (უდინეზე); 141 – ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მილანი), სებასტიან ჯოვინკო (პარმა); 123 – ედინსონ კავანი (ნაპოლი); 122 – სტევან იოვეტიჩი (ფიორენტინა); 111 – ფაბრიციო მიკოლი (პალერმო); 102 – მირკო ვუჩინიჩი (იუვენტუსი); 100 – ფრანჩესკო ტოტი (რომა).

**კარში დარტყმები:** 70 - ანტონიო დი ნატალე (უდინეზე); 67 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 51 – ედინსონ კავანი (ნაპოლი); 46 - სტევან იოვეტიჩი (ფიორენტინა), სებასტიან ჯოვინკო (პარმა); 45 - ფაბრიციო მიკოლი (პალერმო); 41 - ხერმან დენისი (ატალანტა); 39 – მარკო რიგონი (ნოვარა).

**ჯარიმები:** 93 – მატია დესტრო (სიენა); 83 – გაბი მუდინგაი (ბოლონია); 81 – ფილიპო პორკარი (ნოვარა); 79 - ლუკა ჩიგარინი (ატალანტა), ვალონ ბერამი (ფიორენტინა); 75 – დანიელე კონტი (კალიარი); 74 – პერპარიმ ჰეტემაი (კიევო), გონსალო ბერგესიო (კატანია).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 38 | 23 | 15 | 0 | 68-20 | 84 |
| 2. მილანი | 38 | 24 | 8 | 6 | 74-33 | 80 |
| 3. უდინეზე | 38 | 18 | 10 | 10 | 52-35 | 64 |
| 4. ლაციო | 38 | 18 | 8 | 12 | 56-47 | 62 |
| 5. ნაპოლი | 38 | 16 | 13 | 9 | 66-46 | 61 |
| 6. ინტერი | 38 | 17 | 7 | 14 | 58-55 | 58 |
| 7. პარმა | 38 | 15 | 11 | 12 | 54-53 | 56 |
| 8. რომა | 38 | 16 | 8 | 14 | 60-54 | 53 |
| 9. ბოლონია | 38 | 13 | 12 | 13 | 41-43 | 51 |
| 10. კიევო | 38 | 12 | 13 | 13 | 35-45 | 49 |
| 11. კატანია | 38 | 11 | 15 | 12 | 47-52 | 48 |
| 12. ატალანტა | 38 | 13 | 13 | 12 | 41-43 | 46 |
| 13. ფიორენტინა | 38 | 11 | 13 | 14 | 37-43 | 46 |
| 14. სიენა | 38 | 11 | 11 | 16 | 45-46 | 44 |
| 15. კალიარი | 38 | 10 | 13 | 15 | 37-46 | 43 |
| 16. პალერმო | 38 | 11 | 10 | 17 | 52-62 | 43 |
| 17. ჯენოა | 38 | 11 | 9 | 18 | 50-69 | 42 |
| 18. ლეჩე | 38 | 8 | 12 | 18 | 40-56 | 36 |
| 19. ნოვარა | 38 | 7 | 11 | 20 | 35-65 | 32 |
| 20. ჩეზენა | 38 | 4 | 10 | 24 | 24-60 | 22 |

*შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა*

**ლაშა წიკლაური**

სერბეთის ნაკრები

# სინიშა მიხაილოვიჩი სამშობლოს სამსახურში

სერბეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად **სინიშა მიხაილოვიჩი** დაინიშნა. ფედერაციის წარმომადგენელთა მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მთავარი რაზეც შეთანხმება გაჭირდა, ეს მწვრთნელის ხელფასი იყო. ბოლოს 43 წლის სპეციალისტი წელიწადში 300 ათას ევროს დათანხმდა. მიხაილოვიჩმა დანიშვნის დღესვე გამოაქვეყნა ფეხბურთელების ვინაობა, ვინც ესპანეთთან (26 მაისი), საფრანგეთთან (31 მაისი) და შვედეთთან (5 ივნისი) შეხვედრებისთვის იხმო ეროვნულ გუნდში. სიაში 31 ფეხბურთელი მოხვდა.

**მეკარეები:** ბრკიჩი (სიენა), კახრიმანი (ტავრია), ალეკშიჩი (სპარტაკი)

**მცველები:** რაიკოვიჩი (ჰამბურგი), ბიშევაცი (პსჟ), ივანოვიჩი (ჩელსი), სუბოტიჩი (დორტმუნდი), მაქსიმოვიჩი, დ. ტოშიჩი, მლადენოვიჩი (ორივე ცრვენა ზვეზდა), ლუკოვიჩი (ზენიტი), ობრადოვიჩი (სარაგოსა), ნინკოვი (ტულუზი), ბასტა (უდინეზე), კოლაროვი (მანჩესტერ სიტი)

**ნახევარმცველები:** რადოვანოვიჩი (ატალანტა), ფეისა (ოლიმპიაკოსი), ტომიჩი (პარტიზანი), მიაილოვიჩი, საზოვიჩი (ორივე ცრვენა ზვეზდა), მატიჩი (ბენფიკა), იგნიოვსკი (ვერდერი), პეტროვიჩი (ბლექბერნი), იანკოვიჩი (ჯენოა), დურიჩიჩი (ჰერენვენი), ტადიჩი (ტვენტე), ზ. ტოშიჩი (ცსკა)

**თავდამსხმელები:** ლიაიჩი (ფიორენტინა), მარკოვიჩი (პარტიზანი), სკეპოვიჩი (ჰაპოელი), ლეკიჩი (უსასუნა).

**ლევან ბიბილაშვილი**




ფიორენტინას მერე მიხაილოვიჩი სამუშაოდ სამშობლოში დაბრუნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუვენტუსი

# კონტეს ახალი კონტრაქტი

## ვადა: 2015 წლამდე! ხელფასი: 3 მილიონი წელიწადში!



იუვეს ბოსებმა ანტონიო კონტეს კონტრაქტი გაუგრძელეს და ხელფასი გაუორმაგეს

ცხადი იყო, რომ იტალიის ჩემპიონატის მოგების შემდეგ „იუვენტუსის" ხელმძღვანელები მთავარ მწვრთნელ **ანტონიო კონტეს** ახალ კონტრაქტს გაუფორმებდნენ და ასეც მოხდა: 42 წლის სპეციალისტმა ტურინულ გრანდთან ახალი ხელშეკრულება გააფორმა, რომელსაც ვადა 2015 წლამდე ექნება. „გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, „ბებერი ქალბატონის" ბოსმა ანდრეა ანიელიმ კონტეს ხელფასი გაუორმაგა – ამიერიდან ანტონიო წელიწადში მილიონნახევრის ნაცვლად, სამ მილიონ ევროს მიიღებს.

გარდა აბსოლუტური ნდობის გამოცხადებისა, „იუვეს" ხელმძღვანელების ეს ჟესტი იმასაც ნიშნავს, რომ „ბებერი ქალბატონი" კონტეს, რომელიც აქტიური სპორტული კარიერის დროს, 1992-დან 2004 წლამდე სწორედ „იუვენტუსის" ღირსებას იცავდა, ასი პროცენტით მხარში უდგას. შეგახსენებთ, რომ კონტე ტურინულ გრანდამდე „სიენას" წვრთნიდა, ეს კლუბი კი მანიპულირებული მატჩების სკანდალშია გახვეული და ამას წინათ „სიენას" ყოფილმა ფეხბურთელმა **ფილიპო კარობიომ** ერთ-ერთ ჩვენებაში კონტეც დაადანაშაულა. ამ უკანასკნელის თქმით, კონტე აქტიურად მონაწილეობდა „სიენას" შემდეგი მატჩების ჩაწყობაში: „ნოვარასთან" 2:2 და „ალბინოლეფესთან" 0:1. თავად ანტონიომ ბრალდებები, რა თქმა უნდა, უარყო.

კონტესთვის ახალი ხელშეკრულების გაფორმება აბსოლუტურად ლოგიკური ნაბიჯია, რადგან „იუვე" ხანგრძლივი შესვენების შემდეგ იტალიის ჩემპიონი სწორედ ანტონიოს ხელმძღვანელობით გახდა. ტურინელებმა სერია A-ში წაუგებლად იასპარეზეს და ზოგადად, მთელ სეზონში მხოლოდ ერთი თამაში წააგეს – იტალიის თასის ფინალი „ნაპოლისთან" (0:2).

### იუვემ ვან პერსიზე ხელი ჩაიქნია

ამასობაში ინგლისური გაზეთი „დეილი მეილი" წერს, რომ ტურინული კლუბის ხელმძღვანელებმა „არსენალის" გოლეადორ **რობინ ვან პერსიზე** ხელი ჩაიქნიეს, რადგან ფიქრობენ, რომ ჰოლანდიელის ბედი უკვე გადაწყვეტილია. შესაბამისად, ინგლისური და იტალიური პრესის მტკიცებით, „იუვემ" მიზანი სხვა თავდამსხმელებისკენ მიმართა. დაუდასტურებელი ინფორმაციით, ტურინელთა სასურველი ცენტრფორვარდები **ედინსონ კავანი** (ნაპოლი), **გონსალო იგუაინი** (რეალი) და **ედინ ჯეკო** (მანჩესტერ სიტი) არიან. „ტუტოსპორტის" ინფორმაციით, კონტეს ამ სამეულიდან ყველაზე მეტად კავანი მოსწონს.

**გოტფრიდ ლენცი**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# სნეიდერს მილანში უნდა!

## ინტერი 25 მილიონს მოითხოვს

**ვესლი სნეიდერი** „ინტერიდან" აბარგებაზე რომ ფიქრობდა, ძველი ამბავია. ახალი ის არის, რომ იტალიური მედიის ინფორმაციით, ჰოლანდიელმა გამთამაშებელმა „ნერაძურის" დატოვება საბოლოოდ გადაწყვიტა და „მილანში" გადასვლა უნდა! როგორც ირკვევა, „როსონერისთან" პირველი მოლაპარაკება უკვე შედგა.

„კორიერე დელო სპორტის" ინფორმაციით, სნეიდერის მრჩეველი **სიორენ ლერბი** „მილანის" ბოს **ადრიანო გალიანის** დაუკავშირდა და სნეიდერის სურვილის შესახებ უთხრა. სნეიდერს „ინტერთან" კონტრაქტი 2015 წლამდე აქვს გაფორმებული და ჩვენი იტალიელი კოლეგების ცნობით, „ინტერი" მის სანაცვლოდ მინიმუმ 25 მილიონ ევროს მოითხოვს. შეგახსენებთ, რომ ჰოლანდიელი შარშან ძალიან ახლოს იყო „მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლასთან, მაგრამ ტრანსფერი არ შედგა, რადგან კლუბები თანხაზე ვერ შეთანხმდნენ. „ინტერის" ხელმძღვანელებს არ მოეწონებათ ის, რომ სნეიდერს „მილანში" გადასვლა უნდა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სურვილის ოფიციალურად დადასტურების შემთხვევაში სერიოზულ წინააღმდეგობას ვერ გაუწევენ.



ვესლი სნეიდერს ინტერში დარჩენა არ უნდა

27 წლის სნეიდერს ჰოლანდიის ნაკრებში 81 მატჩი აქვს ჩატარებული (23 გოლი). ვესლი ამსტერდამის „აიაქსის" აღზრდილია, საიდანაც მადრიდის „რეალში" გადაბარგდა. „ინტერმა" ჰოლანდიის ნაკრების ლიდერი 2009 წელს 15 მილიონ ევროდ შეიძინა და სნეიდერმა „ნერაძურიში" იმედები ასი პროცენტით გაამართლა: „ინტერმა" 2010 წელს ჰეტთრიკი რომ შეასრულა, ეს წარმატება ფეხბურთელთაგან პირველ რიგში სწორედ სნეიდერის დამსახურება გახლდათ.

**გოტფრიდ ლენცი**

ჰოლანდიის ნაკრები

# კრუიფმა რობენი დაიცვა

## ჰოლანდიას საუკეთესო ფორმაში მყოფი არიენი სჭირდება

საფეხბურთო ჰოლანდია **არიენ რობენის** გამო ნერვიულობს. ფანები და ექსპერტები ფიქრობენ, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაცუდებული თერთმეტმეტრიანი 28 წლის გარემარბზე დამთრგუნველად იმოქმედებს და რობენს ევროპის ჩემპიონატზეც მოაკლდება თავდაჯერება. არიენის გარშემო გაჩაღებულ დისკუსიას გუშინ ჰოლანდიური ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა **იოჰან კრუიფი** გამოეხმაურა.

*„სამწუხაროა, რომ რობენმა მოკლე დროში ორი უმნიშვნელოვანესი პენალტი ვერ გაიტანა,* - წერს „დიდი იოჰანი" „ტელეგრაფის" ფურცლებზე გამოქვეყნებულ სვეტში, - *არიენი ბრწყინვალე ფეხბურთელია და პირადად მე მის შესაძლებლობებში ეჭვი არ მეპარება. იმედია, ამის გამო თავდაჯერებას არ დაკარგავს და ევროპის ჩემპიონატზე ჩვეულად ითამაშებს. ჰოლანდიის ნაკრებს საუკეთესო ფორმაში მყოფი რობენი სჭირდება."*

კრუიფის აზრით, დორტმუნდის „ბორუსიასთან" და „ჩელსისთან" გაცუდებულმა მართლაც უმნიშვნელოვანესმა თერთმეტმეტრიანებმა მხოლოდ ის ცხადყო, რომ რობენი პენალტების სპეციალისტი არ არის.

*„ამის გამო დეპრესიაში არ უნდა ჩავარდეს. პენალტს ყველა კარგად ვერ დაარტყამს. აი, ნეესკენსი და კუმანი იდეალურად ურტყამდნენ და 30-დან მხოლოდ ერთს თუ გააფუჭებდნენ, რობენი კი ასეთი არ არის და ეს სულაც არაა კატასტროფა. სამაგიეროდ, არიენი ბრწყინვალედ ასრულებს საჯარიმო დარტყმებს,* - მიიჩნევს კრუიფი, რომელიც ფიქრობს, რომ „ჩელსისთან" *არიენმა პენალტი მხოლოდ იმიტომ შეასრულა, რომ „ბაიერნს" თერთმეტმეტრიანების სპეციალისტი არ ჰყავს, - ასეთ დროს ვილაცამ ხომ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა და რობენმაც სწორედ ეს გააკეთა. შესაბამისად, არიენს ვერავინ ვერაფერში დაადანაშაულებს."*

**გოტფრიდ ლენცი**



არიენ რობენმა ჩემპიონთა ლიგის ფინალში უმნიშვნელოვანესი პენალტი ვერ გაიტანა

საფრანგეთის ნაკრები



ლორან ბლანი

# ბლანი დარწმუნებულია

საფრანგეთის ნაკრების 46 წლის მთავარმა მწვრთნელმა **ლორან ბლანმა** განაცხადა, რომ მას წამითაც კი არ ეპარება ეჭვი "ბაიერნის" ექიმების დასკვნაში, რომლის თანახმად რეკორდმაისტერის ნახევარმცველის **ფრანკ რიბერის** ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობას საფრთხე არ ემუქრება. შეგახსენებთ, რომ 29 წლის ფეხბურთელმა კოჭი 19 მაისს ჩემპიონთა ლიგის ფინალში 97-ე წუთზე **დიდიე დროგბასთან** შეტაკებისას დაიშავა. უარეს შემთხვევაში ფრანკს "სამფეროვნების" მხოლოდ ერთი ამხანაგური მატჩის გამოტოვება ემუქრება. *"ბუნებრივია, რიბერი ძალიან იმედგაცრუებულია და ამ მდგომარეობიდან გამოსვლა ძალიან გაუჭირდება. არ ვიცი, როდის შეძლებს ის სრულფასოვნად ვარჯიშს, მაგრამ თუკი 26-მდე შემოგვიერთდება, შესაძლოა, ისლანდიასთან ამხანაგურ მატჩში ითამაშოს კიდეც. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი იქნება მისი ფიზიკური კონდიციები,"* – განაცხადა ბლანმა.

ტრავმის გამო ჯერ კიდევ საეჭვოა უკრაინა-პოლონეთში "მარსელის" 24 წლის თავდამსხმელის **ლოკ რემის** წასვლა. მას ბარძაყის კუნთი აქვს ნატკენი. თავდაპირველად ისიც კი ითქვა, რომ სრული რეაბილიტაციისთვის ფეხბურთელს 3-4 კვირა დასჭირდებოდა, მაგრამ ბლანმა ის შეკრებაზე მაინც დატოვა.

"ნიუკასლისა" და საფრანგეთის ნაკრების 26 წლის საყრდენი ნახევარმცველის **იოან კაბაის** თქმით, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით "მამლებისთვის" გადამწყვეტი თამაში ინგლისთან შედგება. *"ჩვენი მთავარი მიზანი ჯგუფიდან გასვლა უნდა იყოს. სწორედ ამიტომ ექნება ინგლისთან მატჩს განსაკუთრებული ფასი. აუცილებელია, რომ ტურნირი მაღალ დონეზე დავიწყოთ, რათა ჩვენში საკუთარი ძალების რწმენა გაღვივდეს. ჯერ 1/4-ფინალში გავიდეთ და მერე ყველაფერი შეიძლება გამოგვივიდეს,"* – აცხადებს კაბაი.

**ლევან ბიბილაშვილი**

პარი სენ-ჟერმენი

# სამი სამიზნე ანჩელოტისთვის



კარლო ანჩელოტი

"პარი სენ-ჟერმენის" მთავარი მწვრთნელი **კარლო ანჩელოტი** სატრანსფერო ფანჯრის გახსნის შემდეგ "პარკ დე პრენსზე" სამი ახალი ფეხბურთელის გადაბირებას აპირებს. სამი ფეხბურთელი არ ნიშნავს ამდენ სუპერვარსკვლავს. სამკარისი იქნება მაღალი დონის შემსრულებელიო, თქვა იტალიელმა. კლუბის ყატარელი მესაკუთრეები ალბათ კიდევ ერთხელ გაისვამენ ჯიბეზე ხელს და გუნდში მწვრთნელისთვის სასურველ ფეხბურთელებს მოიყვანენ. ანჩელოტის გუნდს გაძლიერება კიდევ უფრო მეტად სჭირდება, რადგან ლიგა 1-ის პარალელურად "ლურჯ-წითლებს" ჩემპიონთა ლიგაში თამაშიც მოუწევთ, რაც მათგან ძალიან დიდ ენერგიას მოითხოვს. აი, რას ამბობს ანჩელოტი: *"არავითარი საკადრო რევოლუცია არ იქნება, რადგან გუნდის დასაყრდენი ძირითადი ძალა ყველა ხაზში გამოკვეთილია – იქნება ეს დაცვა, შუა ხაზი თუ თავდასხმა. ჩვენ არ ვეძებთ სუპერვარსკვლავებს, რადგან უბრალოდ კარგი შემსრულებელიც საკმარისი იქნება. ფეხბურთელი ჩვენს გუნდს რომ შეერწყას, დაჯილდოებული უნდა იყოს ტექნიკით და ტაქტიკურადაც განსწავლული გახლდეთ. უპირატესობას ისეთ ფეხბურთელებს მივანიჭებთ, რომელთაც საერთაშორისო მატჩებში თამაშის გამოცდილება ექნებათ. პსჟ-ს დიდი სახელი აქვს და დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენთან თამაშს ბევრი დათანხმდება".*

ერთია, რას ლაპარაკობს კარლო ანჩელოტი და მეორეა რას წერს პარიზელების გეგმებზე ფრანგული პრესა. მათ **გონსალო იგუაინის, კაკას** (ორივე რეალი), **სამუელ ეტოოს** (ანჟი), **ესეკიელ ლავეცისა** (ნაპოლი) და **დანი ალვეშის** (ბარსელონა) მიმართ ინტერესს მიაწერენ. ბუნებრივია, აღნიშნული ფეხბურთელებისთვის ბრძოლაში პარიზელები მარტოები არ არიან.

გაირკვა პარიზული კლუბის საზაფხულო მზადების განრიგი. ფეხბურთელები ივლისის დასაწყისში ადგილზე შეიკრიბებიან (გარდა იმათი, ვინც ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს). შუა რიცხვებში კი ამერიკასა და შემდგომ კანადას მიაშურებენ. ტურნეს მიმდინარეობისას ჯერჯერობით ორი მატჩია დაგეგმილი. 22 ივლისს ნიუ იორკის "იანკის სტედიუმზე" პსჟ "ჩელსის" შეხვდება, 31 ივლისს კი მონრეალში "იუვენტუსს" შეერკინება.

**ლევან ბიბილაშვილი**

რეალი


ჟოზე მოურინიო რეალში 2016 წლამდე რჩება

# ვაუ, მოუ 2016!

გუშინ მადრიდის „რეალის“ ოფიციალურმა საიტმა სენსაციური ცნობა გამოაქვეყნა - **ჟოზე მოურინიომ** კლუბთან კონტრაქტი 2016 წლამდე გააგრძელა! პორტუგალიელი თავკაცი „რეალში“ 2010 წლის 31 მაისს წარადგინეს. მას მერე ორ სეზონში მან „სამეფო კლუბს“ სამეფო თასი და ლა ლიგა მოაგებინა. პირველი ბოლო 18 წლის შემდეგ პირველად, მეორე კი - „ბარსელონას“ 3-წლიანი ზეობის დამხობის შემდეგ, თანაც რეკორდული 100 ქულით. მოურინიოს თავკაცობით „თეთრებმა“ 117 ოფიციალურ მატჩში 322 გოლი გაიტანეს. პორტუგალიელის კონტრაქტი 2014 წლის ზაფხულში სრულდებოდა. ასე რომ, პირველ 4-წლიან ხელშეკრულებას ორი დაემატა.

გუშინვე goal.com-ის მკითხველთა ვერსიით ლა ლიგის საუკეთესო ფეხბურთელის ვინაობა შემოგთავაზეთ (**ლიონელ მესი**), დღეს საუკეთესო მწვრთნელის ჯერია - ამ შემთხვევაში გამარჯვებულმა კონკურენტი დიდი უპირატესობით დაამარცხა. „რეალის“ პორტუგალიელმა თავკაცმა **ჟოზე მოურინიომ** ხმების 65,60% მოაგროვა. მეორე ადგილზე **ხოსეპ გვარდიოლა** გავიდა 21,32%-ით. მესამეზეა „ატლეტიკოს“ თავკაცი **დიეგო სიმეონე** - 6,27. შემდეგ მოდიან: **ხუან იგნასიო მარტინესი** (ლევანტე) - 5,63% და **მანოლო ხიმენესი** (სარაგოსა) - 1,19%.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ოქროს ბუცი

# მესი, უკვე ოფიციალურად

**ლიონელ მესი** 2011/12 წლების სეზონის „ოქროს ბუცის“ მფლობელი ოფიციალურად გახდა. შეგახსენებთ, რომ მესიმ 50 გოლი გაიტანა, რაც ლა ლიგის ყველა დროის რეკორდია. მან **კრიშტიანო რონალდოს** შარშანდელი შედეგი 10 გოლით გააუმჯობესა. აღსანიშნავია, რომ თავისივე რეკორდი პორტუგალიელმაც დაამხო, მაგრამ „მხოლოდ“ 6 გოლით. „პიჩიჩისთვის“ ბრძოლა მესიმ ბოლო 4 ტურში მოიგო, როცა 9 გოლი გაიტანა. ეჭვს არ იწვევდა, რომ მათ შორის გადაწყდებოდა, ვინ მოიგებდა „ოქროს ბურთსაც“. მესამე ადგილზე **რობინ ვან პერსი** გავიდა. „არსენალის“ ჰოლანდიელმა ფორვარდმა პრემიერლიგაში 30 გოლი გაიტანა და **ტიერი ანრის** რეკორდი გაიმეორა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ლიონელ მესი ევროპის გოლეადორია

| ფეხბურთელი | გუნდი | ლიგა | კოეფიც. | გოლი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიონელ მესი | ბარსელონა | ლა ლიგა | 2 | 50 | 100 |
| 2. კრიშტიანო რონალდო | რეალი | ლა ლიგა | 2 | 46 | 92 |
| 3. რობინ ვან პერსი | არსენალი | პრემიერლიგა | 2 | 30 | 60 |
| 4. კლაას-იან ჰუნტელაარი | შალკე | ბუნდესლიგა | 2 | 29 | 58 |
| 5. ზლატან იბრაჰიმოვიჩი | მილანი | სერია | 2 | 28 | 56 |
| 6. უეინ რუნი | იუნაიტედი | პრემიერლიგა | 2 | 27 | 54 |
| 7. მარიო გომესი | ბაიერნი | ბუნდესლიგა | 2 | 26 | 52 |
| 8. ბურაკ ილმაზი | ტრაბზონი | თურქეთი | 1,5 | 32 | 48 |
| 8. ბას დოსტი | ჰეერენვენი | ჰოლანდია | 1,5 | 32 | 48 |
| 8. რადამელ ფალკაო | ატლეტიკო | ლა ლიგა | 2 | 24 | 48 |
| 8. დიეგო მილიტო | ინტერი | სერია | 2 | 24 | 48 |

ინტერვიუ. კრიშტიანო რონალდო

# ძალიან თავმდაბალი კაცი

## კრიშტიანო საკუთარ თავს 10-იანს უწერს, რეალს - 9-იანს

ახლახან შემოგთავაზეთ CNN-ის ინტერვიუ კრიშტიანო რონალდოსთან. „რეალის“ პორტუგალიელ მეგავარსკვლავს goal.com-იც დაუკავშირდა. ბუნებრივია, კიდევ ერთ ინტერვიუს აღარ შემოგთავაზებთ. უბრალოდ, პორტუგალიელის რამდენიმე ფრაზას გამოვყოფთ


კრიშტიანო რონალდო

**- საკუთარ თამაშზე**

- „ინდივიდუალურად, ჩემთვის სეზონი ბრწყინვალე იყო - უნაკლო ათიანი. მაგრამ გუნდის თამაშის გათვალისწინებით, 9-იანს ვიკმარებდი - მეტი ტიტული რომ მოგვეგო, უკეთესი იქნებოდა. მაგალითისთვის, ჩემპიონთა ლიგა“.

**- მიზანი**

- „მომავალ სეზონში ამაზე კარგად უნდა ვითამაშო და ამაზე მეტი გოლი გავიტანო. ვიცი, რომ 46 გოლზე მეტის გატანა ლა ლიგაში ძნელია, მაგრამ ნამდვილად მჯერა, რომ ამასაც შევძლებ“.

**- გვარდიოლაზე**

- „მან დიდებული სამუშაო გასწია. მოიგო ბევრი ტიტული, შექმნა სუპერგუნდი. მე მას დიდ პატივს ვცემ და ვუსურვებ ყველაფერ კარგს მომავალშიც“.

**- ევრო 2012-ზე**

- „ესპანეთს გამარჯვების კარგი შანსი აქვს. ასევე გერმანიასა და ჰოლანდიას. შემდეგ მოდის იტალია და პორტუგალია. დიახ, პორტუგალია, რატომაც არა“?

**- მოურინიოზე**

- „დღეისათვის ის მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელია. განა დარჩა კითხვები“?

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ევრო 2012


გუშინდელ პრესკონფერენციაზე

# ევროზე მოხვედრა ყველას შეგვიძლია

ავსტრიაში გაფრენის წინ ესპანურ მედიას ეროვნული გუნდის 3 წევრი წარუდგა: **რაულ ალბიოლი** (რეალი), **ბენატ ეჩებარია** (ბეტისი) და **ხავი გარსია** (ბენფიკა). ალბიოლის გარდა ორი „ფურია როხას“ დებიუტანტია და არც ალბიოლი მიიჩნევა ეროვნული გუნდის ძირითად ფეხბურთელად.

**- მიგაჩნიათ თუ არა, რომ ავსტრიაში გასამართავი ორი ამხანაგური მატჩი თქვენი შანსია, დელ ბოსკეს თავი მოაწონოთ და ევრო 2012-ის საბოლოო განაცხადში მოხვდეთ?**

**ალბიოლი:** *ჩვენ ყველანი ძალიან გახარებულები ვართ და ენთუზიაზმით ალსავსე. ნაკრებში თავს ისე ვგრძნობთ, როგორც სახლში. თითოეული ჩვენთაგანი შეიძლება მოხვდეს საბოლოო სიაში.*

**ხავი გარსია:** *სეზონის ბრწყინვალე დასასრულია. მე ამბიციური ვარ და ორი თამაში მაქვს თავის გამოჩენისთვის.*

**ბენატი:** *ჩემთვის ახლა, აქ ყოფნაც დიდი პრიზია, რომელიც კარგი თამაშისთვის დავიმსახურე.*

**- უფრო იოლია წარმატებას სხვა კლუბში მიაღწიო თუ „რეალში“ ძირითადისთვის ბრძოლა სჯობს და რამდენად ძნელია ლეგიონერობა?**

(კითხვა მხოლოდ ხავი გარსიას ეხებოდა)

**ხავი გარსია:** *„რეალში“ დამკვიდრება ძალიან ძნელია. მე ჯერ კიდევ ვიმედოვნებ, რომ ერთხელაც დავბრუნდები და პირველ გუნდში ვითამაშებ. „ბენფიკაში“ თამაში რთული არაა, ეს სხვა პლანეტა კი არაა. „ბენფიკა“ დაახლოებით ესპანური გუნდების სტილში თამაშობს“.*

**- რა გითხრათ დელ ბოსკემ?**

**ალბიოლი:** *დელ ბოსკე კარგა ხანს გვესაუბრა და ყველას აგვიხსნა რა უნდა ვაკეთოთ უახლოესი დღეების განმავლობაში.*

**ხავი გარსია:** *ნაკრებში ისეთი სიტუაციაა შექმნილი მწვრთნელების მიერ, რომ რაც შეიძლება მეტად ინდომებ და შრომობ ვარჯიშებზე.*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ბარსელონა

# ბარსელონა აჭრელდა

გუშინ „ბარსელონამ“ თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში 2012/13 წლების სეზონის საშინაო და საგარეო ფორმები წარადგინა. განსაკუთრებით გამორჩეულია საგარეო ფორმა, ის ერთობ „ფერადია“ (ყვითელი ფორთოხლისფერში გადადის), ამბობენ, ეს გუნდის სათამაშო სტილს უსვამს ხაზსო. საშინაო ფორმის დიზაინი, შემქმნელების აზრით, კლუბის პოლიტიკის (რომელიც აკადემიაში აღზრდილ ფეხბურთელებს თავის გამოჩენის შანსს აძლევს) მეტაფორაა. „ყატარ ფაუნდეიშნ“ ისევ მაისურების წინა მხარეს აწერია, „იუნისეფი“ - ზურგზე, ნომრების ქვემოთ.

„ნაიკის“ ახალ ფორმას რაც ახასიათებს და რაც ყველაზე მეტად თვალშისაცემია, დაიკარგა ვერტიკალური ზოლები. ლურჯსა და ბროწეულისფერს შორის საზღვარი არ არის მკვეთრი (სწორედ ამას მიიჩნევენ აკადემიის ფეხბურთელების დიდ გუნდში იოლად შერწყმის სიმბოლოდ).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ახალი, საშინაო და საგარეო ფორმები

ამბები

## ვან დერ ვილი რეალისთვის მზადაა

ყოველ შემთხვევაში, ასე აცხადებს 24 წლის ჰოლანდიელი მცველის აგენტი **ჰაკიმ სლიმანი**. შეგახსენებთ, რომ ესპანური მედია სულ უფრო ხშირად წერს, თითქოს, „რეალი“ „აიაქსის“ მცველით **გრეგორი ვან დერ ვილით** დაინტერესდა, რომელიც შარშან კინაღამ „ვალენსიაში“ გადავიდა. ყველაფერი კი ევრო 2012-ის დასრულების შემდეგ გაირკვევა. „რეალის“ და „ვალენსიას“ გარდა ვან დერ ვილი კიდევ 8 ევროპულ კლუბს სურსო, ამბობს სლიმანი.

## სევილია ექვსს იყიდის

„სევილიაში“ კვლავ მწვრთნელის პოსტზე დამტკიცებულმა **მიჩელმა** სატრანსფერო საკითხების მოგვარებაზე დაიწყო ზრუნვა. მწვრთნელი მიიჩნევს, რომ გუნდს 6 ახალი მოთამაშე ესაჭიროება: მეკარე, ორი ცენტრალური მცველი, მარჯვენა მცველი და ორი ნახევარმცველი. შეგახსენებთ, რომ „სევილია“ მეცხრე ადგილზეა და ევროთასების საგზურის გარეშე დარჩა.

ერთ-ერთი ახალწვეული უეჭველი ჩილელი **ბრაიან რობელიოა**. „კოლო-კოლოს“ 17 წლის ნახევარმცველი ცალი ფეხით „სევილიაშია“. ბრუნდება „კორდობაში“ განათხოვრებული **ხავი ერვასიც**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ნეიმარი იუვესაც სურს!

„სანტოსის“ პრეზიდენტმა **ლუის ალვარო რიბეირომ** ოფიციალურად დაადასტურა, რომ **ნეიმარის** მსურველ კლუბებს შორის ტურინის „იუვენტუსიცაა“ და რომ ტურინელები ბოლო დროს ძალიან გააქტიურდნენ. ამრიგად, უკვე თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ 20 წლის ბრაზილიელი ვარსკვლავის მსურველ გრანდებს („რეალი“, „ბარსელონა“, „ჩელსი“) იტალიის ჩემპიონიც შეუერთდა.

*„იუვენტუსი“ ერთ-ერთია იმ კლუბებიდან, რომელსაც ნეიმარის გადაბირება უნდა. ტურინელები ბოლო დროს გააქტიურდნენ,“* - განუცხადა რიბეირომ „ტუტოსპორტს“.

ფაქტია, რომ თუ ტურინელებს ნეიმარის გადაბირება უნდათ, „სანტოსს“ ძალიან დიდი თანხა უნდა შესთავაზონ. ჯერ კიდევ 2010 წელს „ჩელსიმ“ „სანტოსს“ 30 მილიონი ევრო შესთავაზა, მაგრამ ბრაზილიური გუნდის ბოსებმა ლონდონურ გრანდს უარი შეუთვალეს.

**გოტფრიდ ლენცი**



ნეიმარი

● ბაიერნი. მოსალოდნელი ტრანსფერები

# მიუნხენში დიდ ტრანსფერებს გეგმავენ

## კანდიდატები: პისარო, ჯეკო, ხავი მარტინესი, პიოვედესი



ხავი მარტინესი

**მეორე ადგილი ბუნდესლიგაში და წაგებული ფინალები გერმანიის თასსა და ჩემპიონთა ლიგაში – „ბაიერნს“ ამ სეზონში „ლევერკუზენი 2002“ დაემართა. შესაბამისად, ლოგიკურია ის, რაც მიუნხენური გრანდის პრეზიდენტმა ული ჰიონესმა „ჩელსისთან“ მარცხის შემდეგ თქვა – ზაფხულში გუნდი მაგრად უნდა გავაძლიეროთო. ამის თქმა და მოქმედების დაწყება ერთი იყო: „ბაიერნის“ ხელმძღვანელები ტრანსფერებზე მუშაობას შეუდგნენ.**

რეკორდმაისტერისთვის ყველაზე პრიორიტეტული თავდასხმის გაძლიერებაა. პირველ რიგში იმიტომ, რომ **ივიცა ოლიჩი** „ვოლფსბურგში“ მიდის და შესაბამისად, **მარიო გომესს** შემცვლელი სჭირდება, რადგან რამე რომ მოხდეს, ბავარიელები გამოუცდელი **ნილს პეტერსენის** იმედად ვერ იქნებიან და თანაც, მიუნხენიდან წასვლა ამ უკანასკნელსაც უნდა (პეტერსენს „ვერდერი“ ეპატიჟება). ამ სეზონმა გამოაჩინა, რომ გომესს არა მარტო ხეირიანი შემცვლელი, არამედ ძლიერი კონკურენტიც სჭირდება, რათა თავი მშვიდად არ იგრძნოს.

### ჟირუს ნაცვლად მაინც პისარო?

„კიკერის“ ინფორმაციით, რეკორდმაისტერის ხელძღვანელები „მონპელიეს“ 25 წლის გოლეადორ **ოლივიე ჟირუზე** სერიოზულად აღარ ფიქრობენ, რადგან საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი იმდენად არ მოეწონათ, რომ მასში დიდი თანხა გადაიხადონ. შესაბამისად, „ბაიერნში“ აქტუალური გახდა „ვერდერის“ 33 წლის თავდამსხმელის, **კლაუდიო პისაროს** საკითხი, რომლის გადაბირება „შალკესაც“ (**რაულის** შემცვლელად) სურს. აღსანიშნავია, რომ თავად პისარო უპირატესობას „ბაიერნს“ ანიჭებს და მეტიც: ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, რომ პერუელის მიუნხენში დაბრუნება ფაქტობრივად გადაწყვეტილია.

### სიტიმ ბაიერნს ჯეკო შესთავაზა

პისარო გომესის შემცვლელად გამოდგება, მის კონკურენტად კი – არა! ანუ, კლაუდიოს „ბაიერნში“ ისეთივე როლი ელის, რაც ოლიჩს ჰქონდა. სწორედ ამიტომ, ჩვენი გერმანელი კოლეგები არ გამორიცხავენ, რომ მიუნხენელებმა კიდევ ერთი ახალი სუპერ-ფორვარდი შეიძინონ.

„ზუდდოიჩე ცაიტუნგის“ ინფორმაციით, „მანჩესტერ სიტის“ ხელმძღვანელებმა „ბაიერნს“ **ედინ ჯეკო** შესთავაზეს. 26 წლის ბოსნიელი თავდამსხმელი ინგლისის ჩემპიონში იშვიათად თამაშობდა და როგორც ირკვევა, „სიტის“ მისი თავიდან მოშორება უნდა. ჩვენი გერმანელი კოლეგები ირწმუნებიან, **რობერტო მანჩინიმ** თვალი **რობინ ვან პერსის** დაადგა, ჯეკოს კი დღესვე სიამოვნებით გაყიდდაო. ხსენებული გაზეთი წერს, რომ „სიტის“ ხელმძღვანელები მიუნხენელ კოლეგებს დაუკავშირდნენ და ჯეკო შესთავაზეს, რაც ნამდვილად არ არის შემთხვევითი, რადგან ორი წლის წინ „ბაიერნს“ ბოსნიელი გოლეადორის გადაბირება ძალიან უნდოდა. „ზუდდოიჩეს“ ინფორმაციით, „სიტიმ“ ჯეკო დორტმუნდის „ბორუსიასაც“ შესთავაზა, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ გერმანიის ჩემპიონმა და თასის მფლობელმა ედინის სანაცვლოდ 30 მილიონი ევრო გადაიხადოს - ერთ ფეხბურთელში ამდენი ფულის გადახდა „ბორუსიას“ პოლიტიკას და კონცეფციას ხომ სასტიკად ეწინააღმდეგება. „ბაიერნის“ ბოსები კი ჯეკოზე სერიოზულად დაფიქრებულან.

### ფიქრები ხავი მარტინესზე

უახლესი ინფორმაციით, „ბაიერნის“ ხელმძღვანელები სერიოზულად დაფიქრდნენ ბილბაოს „ატლეტიკის“ ლიდერ **ხავი მარტინესზე**, რომელიც სიმაღლეში 1.90 მეტრია და არაერთ პოზიციაზე შეუძლია თამაში. 23 წლის მარტინესი ნომინალურად საყრდენი ნახევარმცველია, მაგრამ ძალიან კარგად გამოიყურება დაცვის ცენტრშიც და ამავდროულად, ეხერხება გოლების გატანაც. ყველა ეს ფაქტორი და ახალგაზრდული ასაკი „ბილბაოს“ ფეხბურთელს ერთ-ერთ უძვირფასეს მოთამაშედ აქცევს – ბასკები მას 40 მილიონ ევროზე ნაკლებად არ გაყიდიან.

„კიკერის“ ცნობით, „ბაიერნის“ სკაუტები ხავი მარტინესს (შვიდი მატჩი ესპანეთის ნაკრებში) არაერთხელ დააკვირდნენ და მისი თამაშით აღფრთოვანებულები არიან. პრიმერადივიზიონში მას 201 მატჩში 23 გოლი აქვს გატანილი, გასულ სეზონში კი 31 შეხვედრაში 4 გოლი გაიტანა. „ბილბაომ“ მარტინესი 2006 წელს „ოსასუნადან“ 6 მილიონ ევროდ იყიდა – მაშინ ხავი 18 წლის იყო და მას მერე „ატლეტიკის“ ძირითადი შემადგენლობის წევრია.

### ახალი შეტევა პიოვედესზე

ჰიონესი და ვიცე-პრეზიდენტი **რუმენიგე** ხვდებიან, რომ გაძლიერება დაცვის ხაზსაც სჭირდება. ჩემპიონთა ლიგის ფინალში **ჰოლგერ ბადშტუბერი** დისკვალიფიცირებული იყო, **დანიელ ვან ბუიტენი** კი ტრავმირებული და რეკორდმაისტერის მთავარი მწვრთნელი **იუპ ჰაინკესი** იძულებული გახდა, დაცვის ცენტრში ნახევარმცველი **ანატოლი ტიმოშჩუკი** გაემწესებინა.

„ბილდის“ ინფორმაციით, ბავარიელები ზაფხულში კიდევ ერთხელ შეეცდებიან „შალკეს“ უკანახაზელის, **ბენედიქტ ჰიოვედესის** (24 წლის, კონტრაქტი 2014 წლამდე) გადაბირებას. „ბილდი“ წერს, „ბაიერნი“ მზადაა, „შალკეს“ 5 მილიონი ევრო გადაუხადოს და თან მარჯვენა მცველი **რაფინია** დაუთმოსო. ფაქტია, რომ მიუნხენურ გრანდს ბრაზილიელი არ გამოადგა – „ბაიერნმა“ რაფინია შარშან „ჯენოადან“ 5.3 მილიონად იყიდა. „ბილდის“ ცნობით, „შალკეს“ ხელმძღვანელები ამ ვარიანტზე ფიქრობენ, მაგრამ მენეჯერ **ჰორსტ ჰელდტს** ექსშალკელი რაფინია არ მოსწონს. ცნობილია, რომ „ბაიერნს“ ჰიოვედესის გადაბირება შარშან და შარშანწინაც სურდა.

შეგახსენებთ, რომ მიუნხენურმა კლუბმა მომავალი სეზონისთვის უკვე დაიბევა შემდეგი ფეხბურთელები: ნახევარმცველი **ჯერდან შაჩირი** (20 წლის, ბაზელიდან), მცველი **დანტე** (28/გლადბახიდან) და მეკარე **ტომ შტარკე** (31/ჰოფენჰაიმიდან).

### ბრენო, პრანიჩი და უსამიც წავიდნენ

გუშინ, ჰოლანდიის ნაკრებთან ტესტმატჩის შემდეგ რეკორდმაისტერი ექვს ფეხბურთელს დაემშვიდობა. **როუვენ ზატელმაიერის, ჰანს იორგ ბუტის** (კარიერა დაამთავრეს) და ოლიჩის (ვოლფსბურგში მიდის) წასვლა ადრევე გადაწყდა, გუშინ კი საბოლოოდ დადასტურდა, რომ „ბაიერნიდან“ **ბრენო, დანიელ პრანიჩი** და **ტაკაში უსამიც** მიდიან.

ბრენოს და პრანიჩს კონტრაქტები დაუმთავრდათ და მათი მომავალი ჯერ კიდევ გაურკვეველია, უსამის კი გაანათხოვრებენ. ბრენოს წასვლით „ბაიერნში“ „დიდი გაუგებრობა“ მთავრდება – როგორც იცით, რეკორდმაისტერმა დღესდღეობით 22 წლის ბრაზილიელ მცველში თავის დროზე 12 მილიონი ევრო გადაიხადა და ბრენოს მიუნხენში ამ თანხიდან ერთი ცენტის საქმეც არ გაუკეთებია. აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ ბრენო საკუთარი ვილის გადაწვაშია ბრალდებული და გამორიცხული არაა, რომ მალე თავი ციხეში ამოყოს.



ედინ ჯეკო

● იტალიის ნაკრები



დანიელე დე როსი, დემეტრიო ალბერტინი, ჩეზარე პრანდელი და პადრე მასიმილიანო გაბრიჩი


ეროვნული ბიბლიოთეკა


# სკუადრა აძურა დონ მასიმილიანომ დალოცა

## პრანდელი: ფავორიტები არ ვართ, მაგრამ ვიცით, როგორ მოვახდინოთ სენსაცია!

იტალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ჩეზარე პრანდელიმ** გუშინ გაკეთებული განცხადებებით „სკუადრა აძურას“ ფანებს გული დასწყვიტა. მართალია, იტალიას ევროპის ჩემპიონატის ფავორიტად ისედაც არავინ მიიჩნევდა, მაგრამ აპენინებზე „აძურის“ თავკაცისგან მაინც არ ელოდნენ იმას, რაც პრანდელიმ ხაზგასმით თქვა: ფავორიტები არ ვართ და ევროპის ჩემპიონატს ალბათ ვერ მოვიგებთ, 2010 წლის მუნდიალის შემდეგ გუნდში დიდი რეორგანიზაცია დაიწყო და ჯერ არ ვართ იმ დონეზე, რომ მიზნად ასეთი რანგის ტურნირის მოგება დავისახოთო.

*„ევროპის ჩემპიონატს სავარაუდოდ ვერ მოვიგებთ, რადგან ფაქტია, რომ ჩემი გუნდი ჯერ არ დგას სათანადო სიმაღლეზე, - უთხრა პრანდელიმ ჩვენს იტალიელ კოლეგებს, - ჩვენი უპირველესი და რეალური მიზანი 2010 წელს, სამხრეთ აფრიკაში შელახული იმიჯის აღდგენა უნდა იყოს. მაშინ იტალიის ნაკრებმა ჯგუფური ეტაპი ვერ გადალახა, რის შემდეგაც ამ თანამდებობაზე დავინიშნე და გუნდში დიდი რეორგანიზაცია დავიწყე. მინდა, ევროპის ჩემპიონატზე ყველას დავუმტკიცოთ, რომ ამ ორი წლის განმავლობაში ძალიან კარგად ვიმუშავეთ.“*

თუმცა „აძურის“ თავკაცმა იქვე დასძინა: *„არ მინდა, ფანებს იმედი ბოლომდე გადავუწურო და საამისოდ იმას ვიტყვი, რომ ყველაზე კარგად სწორედ იტალიელებმა ვიცით, როგორ უნდა მოვახდინოთ სენსაცია.“*

პრანდელი ხვდება, რომ გამორიცხული არაა, იტალიას ჯგუფური ეტაპის გადალახვა ამჯერადაც გაუჭირდეს, რადგან ჯგუფში ისეთ მეტოქეებთან მოუწევს ბრძოლა, როგორებიც ესპანეთის, ირლანდიისა და ხორვატიის ნაკრები გუნდებია.

გუშინვე, კოვერჩანოში, სადაც „აძური“ ევრო 2012-ისთვის ემზადება, იტალიის ნაკრები პასტორმა **დონ მასიმილიანო გაბრიჩიმ** დალოცა. *„პრანდელისა და მისი რამდენიმე შეგირდის ახლო მეგობარი ვარ. ის ფეხბურთელებიც დავლოცე, რომლებიც კათოლიკეები არ არიან,“* - განაცხადა პასტორმა გაბრიჩიმ, რომელიც ადრე საფეხბურთო კლუბ „კათოლიკა ვირტუსის“ მენეჯერი გახლდათ – კლუბისა, სადაც ლეგენდარული **პაოლო როსიც** თამაშობდა. აღსანიშნავია, რომ გაბრიჩი „ფიორენტინას“ გულშემატკივარია, მაგრამ ფლორენციული კლუბის მოსისხლე მტრის, „იუვენტუსის“ მცველ **ჯორჯო კიელინისთანაც** მეგობრობს...

### ბალოტელი: იტალიას ჩემი იმედი ჰქონდეს!

იტალიელი ექსპერტების საკმაოდ დიდი ნაწილი გაოცებას ვერ მალავდა, როცა პრანდელიმ გაფართოებულ სიაში ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური ფეხბურთელი **მარიო ბალოტელი** შეიყვანა. მის ნიჭში ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ „მანჩესტერ სიტის“ თავდამსხმელი უკიდურესად აღვირახსნილი ტიპია, რომელსაც მუდამ თან სდევს სკანდალები. იტალიელები შიშობენ, რომ ბალოტელი ევროპის ჩემპიონატზეც ჩვეულად „აიჭრება“, მაგრამ თავად ფეხბურთელი ირწმუნება (ვინ მოთვლის, მერამდენედ), დავჭკვიანდი და იტალიას თამამად უნდა ჰქონდეს ჩემი იმედიო.

*„ევროპის ჩემპიონატზე პრობლემას არავის შევუქმნი. აი, ნახავთ, ევრო 2012-ზე სულ სხვა ბალოტელი ვიქნები, - აცხადებს მარიო „კორიერე დელო სპორტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში, - მადლობა ჯერ რობერტო მანჩინის, რომელიც მიუხედავად არაერთი სკანდალისა, მაინც მენდობა და რა თქმა უნდა, მადლობას ვუხდი პრანდელისაც, რომელმაც ამ ყველაფრის ფონზე ევროპის ჩემპიონატზე თამაშის იმედი მომცა. პირობას ვდებ, რომ საკუთარ თავს კონტროლს გავუწევ.“*



ბალოტელიმ, პრანდელის ნდობას გავამართლებო

### ძირითადში კასანოსთან ერთად?

ხსენებულ ინტერვიუში 21 წლის ბალოტელიმ ისაუბრა **ანტონიო კასანოზეც**, რომელიც ადრე მარიოზე არანაკლებ სკანდალური ტიპი იყო, ბოლო დროს კი აშკარად დაჭკვიანდა.

*„ანტონიო და მე მეგობრები ვართ. ხშირად ვხუმრობთ ხოლმე და ერთმანეთს როგორც მოედანზე, ისე მოედანს მიღმა ძალიან კარგად ვუგებთ. თუ პრანდელი ნდობას გამომიცხადებს და ძირითად შემადგენლობაში კასანოსთან ერთად მათამაშებს, უბედნიერესი ადამიანი ვიქნები, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ კასანოსთან ერთად იდეალურ ტანდემს შევქმნი,“* - ამბობს მარიო.

მისი აზრით, ესპანეთის ნაკრები მსოფლიოში უძლიერესი გუნდია, მაგრამ „ფურია როხას“ დამარცხებაც შეიძლება. პრანდელისგან განსხვავებით, ბალოტელი ფიქრობს, რომ იტალიას ევროპის ჩემპიონატის მოგება შეუძლია.


გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვილდოსნობა. ევროპის ჩემპიონატი

# ესებუა ევროპაზე მესამეა



ქრისტინე ესებუა

**გუშინ ამსტერდამში მშვილდოსანთა ევროპის ჩემპიონატი დაიწყო, რომელშიც წარმატებით ჩაებნენ ჩვენი სპორტსმენები - ქალთა შორის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა ქრისტინე ესებუამ 647 ქულით საკვალიფიკაციო ეტაპი მესამე ადგილზე დაასრულა (მეორეზე მყოფ რუს ქსენია პეროვას მხოლოდ დამატებითი მაჩვენებლებით ჩამორჩა). ხათუნა ნარიმანიძე 636 ქულით მე-14 ადგილზეა, ასმათ დიასამიძე 618-ით - 37-ე. გუნდურ ჩათვლაში ჩვენებმა 1742 ქულა დააგროვეს, რაც მესამე მაჩვენებელი აღმოჩნდა რუსეთისა (1786) და ბრიტანეთის (1753) შემდეგ.**

ამსტერდამში ვაჟებმაც გაგვახარეს - ბოლო წლებში პირველად, მათ ადრინდელზე ბევრად უკეთესი შედეგი აჩვენეს და გარკვეული იმედებიც გაგვიჩინეს. ეს განსაკუთრებით **ლაშა ფხაკაძეზე** ითქმის, რომელიც ერთხანს 24-ე ადგილამდეც კი ალზევდა, საბოლოოდ კი 639 ქულით 107 მონაწილეს შორის 35-ე ადგილზე გავიდა. **ირაკლი ქვლივიძე** 603 ქულით 82-ეა, **თორნიკე რიჟამაძე** კი 546 ქულით ბოლო ადგილზეა. როგორც საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **არტემ სანიშვილმა** გვითხრა, რიჟამაძის ასეთი ცუდი გამოსვლა იარაღის მორგების პროცესითაა გამოწვეული - მწვრთნელმა მორიგი ექსპერიმენტი ჩაუტარა, რაც ივნისში გასამართი სალიცენზიო ტურნირისთვის უკეთ მომზადებას ისახავს მიზნად. სანიშვილისავე თქმით, მწვრთნელმა ფხაკაძესა და ქვლივიძეს უკვე მოარგო იარაღი, რაც შედეგსაც დაეტყო. აქვე შეგახსენებთ, რომ ვაჟთა გუნდის სამივე წევრი ასაკით ბევრად პატარაა - ჯერ კიდევ ახალგაზრდულ ნაკრებში გამოდიან და უფროსებში წლეულს პირველად ისვრიან.

სალიცენზიო რეიტინგში, ანუ უსაგზუროდ მყოფთა შორის ფხაკაძე მე-20 ადგილზეა, ქვლივიძე - 63-ზე, რიჟამაძე - 84-ზე.

გუნდურში ჩვენი ვაჟები 1788 ქულით 28-ეზე გავიდნენ და პლეი ოფში ვერ მოხვდნენ. შერეულ წყვილთა შორის ესებუა-ფხაკაძის დუეტი 1286 ქულით მე-9 ადგილზეა.

ესებუა ქალთა პირადი პირველობის საკვალიფიკაციო ეტაპის უმეტეს ნაწილს ლიდერობდა და სერიების უმეტესობა პირველ-მეორე ადგილზე ჩაამთავრა. მას ნარიმანიძემაც კარგად აუბა მხარი - დამთავრებამდე სამი სერიით ადრე მუდმივად მოწინავე 8 საუკეთესოს შორის შედიოდა, ამ პერიოდში მხოლოდ ორჯერ გამოვარდა ათეულიდან, თუმცა დასკვნით ნაწილში შედარებით გააუარესა შედეგი და მე-14 ადგილზე დამკვიდრდა. დიასამიძემ თავიდან ცოტა სუსტად დაიწყო, მაგრამ მერე მოუმატა და სტაბილურად ისროდა საკუთარი შედეგის ფარგლებში. ქალთა ასეთი გამოსვლა გუნდურ შედეგებსაც დაეტყო - მუდმივად სამეულში შედიოდნენ.

პირად პირველობაში პლეი ოფის შეხვედრები დღეს გაიმართება და სამი წრის შეხვედრები ჩატარდება ანუ 1-16-ფინალში გასულები გამოვლინდებიან, ასპარეზობა კი ხვალ დასრულდება. ქალთა შორის პირველ წრეში სამივე ჩვენებური თავისუფალია, თუმცა ესებუას არც მეორე წრეში ეყოლება მეტოქე და პირდაპირ 1/16-ფინალშია გასული, იქ კი უკრაინელ **კატერინა პალეხასა** და ფრანგ **სირილე სოტრის** შორის გამარჯვებულს შეხვდება. ნარიმანიძე 1/24-ფინალში თურქ **დამლა ერგინსა** და უნგრელ **ვაის კისს ტიმეას** შორის მოგებულს გაეჯიბრება, დიასამიძე - გერმანელ **კარინა ვინტერს**.

გუნდურის პლეი ოფიც ხვალ მოეწყობა და ჩვენი ქალები პირველ წრეში შვეიცარიელებს გაეჯიბრებიან, მათთან მოგების შემთხვევაში კი შვედებსა და ფრანგებს შორის გამარჯვებულს შეხვდებიან. საბედნიეროდ, მოვლენები ისე განვითარდა, რუსები, მსოფლიოს ჩემპიონი იტალიელები და უკრაინელები ბადის მეორე მხარეს მოხვდნენ, პოლონელები კი პლეი ოფში ვერ გავიდნენ. აქ მხოლოდ ფინალური შეხვედრაა დანიშნული 26 მაისისთვის, თორემ სხვა ორთაბრძოლები ხვალვე მომთავრდება.

ვაჟთაგან პლეი ოფში ფხაკაძე და ქვლივიძე შევიდნენ. ფხაკაძის პირველი მეტოქე რუმინელი **რაზვან მარკუა**, ქვლივიძისა - რუსი **ალექსანდრ კოზინი**. შერეულ წყვილებში ჩვენები **ფლორიან ფლოტოსა** და **ელენე რიხტერის** გერმანულ დუეტს შეხვდებიან. რაც შეეხება შერეულ წყვილთა პაექრობებს, ესეც დღეს ჩატარდება, თუმცა ჩვენთვის ალბათ, განსაკუთრებით საინტერესო 25 მაისია, როცა სალიცენზიო ტურნირი უნდა გაიმართოს. შეგახსენებთ, რომ მასში მონაწილეობა ჩვენგან მხოლოდ ვაჟებს შეუძლიათ, რადგან ქალებს ერთი საგზური უკვე აქვთ.

**ირაკლი თავაძე**

ძიუდო

# ზესტაფონშიც გაიხსნება

2012 წლის ბოლოს ქ. ზესტაფონში ახალი თანამედროვე სპორტული კომპლექსი გაიხსნება. მანამდე კი სპორტული ცხოვრება ამ ქალაქში ჩვეული რიტმით გრძელდება. ძველი სპორტდარბაზი კვლავ მასპინძლობს რაიონულ თუ ქვეყნის მასშტაბით გამართულ შეჯიბრებებს...

ცნობილი ძიუდოისტის **შოთა მაჭავარიანის** მემორიალურ ტურნირზე 1997-1998 წლებში დაბადებულ ძიუდოისტთა შორის ზესტაფონში 12 რაიონისა და ქალაქის სპორტსმენები შეიკრიბნენ საასპარეზოდ.

ზესტაფონის სპორტის სამსახურის და სპორტსკოლის თავკაცები **დავით ლაბაძე** და **დავით ხუსკივაძე** ძიუდოისტებს შეჰპირდნენ, რომ მომდევნო ტურნირს უკვე ახალი არენა უმასპინძლებს.

საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა **ანზორ მარტყოფლიშვილმა** ტურნირის შედეგებიდან გამომდინარე განსაკუთრებით შეაქო მწვრთნელები: **ფირუზ ტყეშელაშვილი** (ქუთაისი), **ჯურხა დეკანოიძე** (საჩხერე) და **რამინ ჯოხაძე** (ქობულეთი).

**კვარცხლბეკი**

**40 კგ.** 1. ნიკა ალხაზიშვილი (ქუთაისი), 2. გიორგი დვალი (საჩხერე), 3. ავთანდილ კუტალაძე (სამტრედია), 3. ალექსანდრე ბოლქვაძე (ქობულეთი).

**45 კგ.** 1. გოდერძი მახვილაძე, 2. დემურ შარვაშიძე (ორივე - ქუთაისი), 3. გაგა ბოყოველი (ჭიათურა), 3. დავით კოსტანოვი (ქუთაისი).

**50 კგ.** 1. ჯაბა ქურდიანი, 2. რუბენ ძოწენიძე (ორივე - ქუთაისი), 3. ენვერ ლაცაბიძე (საჩხერე), 3. დავით ტაბატაძე (ზესტაფონი).

**55 კგ.** 1. ივერი ნასიძე, 2. საბა ნემსიწვერიძე (ორივე - ქუთაისი), 3. გენო ბახტიძე, 3 ირაკლი ჯანიაშვილი (ორივე - ზესტაფონი).

**60 კგ.** 1. გიორგი გოგოლაძე (საჩხერე), 2. ნიკოლოზ ჭუმბაძე (ზესტაფონი), 3. ავთანდილ მინდელი, 3. ჭაბუკა სვანიძე (ორივე - ქუთაისი).

**66 კგ.** 1. რეზო ჯიაძე (ქუთაისი), 2. ბეჟან სალაძე (ზესტაფონი), 3. მერაბ ჭარბაძე (ქუთაისი), 3. ბიძინა კამლაძე (ზესტაფონი).

**73 კგ.** 1. ანრი წამიჭეიშვილი, 2. ბექა ლომინაშვილი (ორივე - ქუთაისი), 3. გიო გოგოლიძე (ზესტაფონი), 3. ნიკა დავაძე (საჩხერე).

**+73 კგ.** 1. ლევან ხინიკაძე (ქობულეთი), 2. ჯაბა ონიანი (ქუთაისი), 3. ოთარ გოგისვანიძე (სამტრედია), 3. ილია მაჭარაშვილი (საჩხერე).

**გაბრიელ ბარჯაძე**

# პირველი სარეიტინგო

დღეს დიღომში, ძიუდოს აკადემიაში ვაჟთა შორის პირველი შიდა სარეიტინგო ტურნირი ჩატარდება. ძიუდოს ფედერაციამ ეროვნული რეიტინგები და ამ მიზნით საგანგებო შეჯიბრებები რომ შემოიღო, უკვე გაცნობეთ. მათი შედეგების მიხედვით შედგება რეიტინგი, რაც განსაზღვრავს ძალთა განლაგებას ყოველ წონაში და თავად სპორტსმენთა ფინანსური ანაზღაურებაც ამაზე იქნება დამოკიდებული.

ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში უკვე გაიმართა ასეთი საგანგებო ტურნირები, უფროსებში კი ჯერ არ მოწყობილა. მართალია, რეიტინგში საქართველოს პირველობაზე მოპოვებული ქულებიც შედის, მაგრამ ის შეჯიბრება ნებისმიერ ვარიანტში გაიმართებოდა, საგანგებოდ სალიცენზიო სტატუსისა კი პირველად ტარდება. ეს კარგი სატურნირო პრაქტიკაა იმ ფალავნებისთვის, რომლებიც ეროვნულ ნაკრებში ვერ ხვდებიან. ეს ასევე კარგი სკოლაა მსაჯებისთვის, რომლებიც ასევე მიიღებენ ქულებს ანუ პროფესიული წინსვლისთვის, რაც მათ ხელფასზეც აისახება, მშვენიერი შანსია.

შეჯიბრება ძიუდოს აკადემიაში ორი დღეს გასტანს. მასში მონაწილეობას არ მიიღებს ეროვნული ნაკრების ელიტა - ლიცენზირებული 10 სპორტსმენი. ისინი ლონდონის ოლიმპიადისთვის ემზადებიან და ამჟამად იაპონია-კორეაში არიან შეკრებაზე. მიზეზთა გამო, არც ულიცენზიოდ დარჩენილი რამდენიმე ლიდერი იქნება, თუმცა ტურნირში ნაკრების სათადარიგო წევრები ბლომად გამოვლენ. ასევე იქნებიან ახალგაზრდული ნაკრების წევრებიც.

დღეს 60, 66 და 73 კილოგრამი წონების წარმომადგენლები იჭიდავებენ, დანარჩენები - ხვალ. შეხვედრები დილით 11 საათზე დაიწყება. შეგახსენებთ, რომ სალიცენზიო შეჯიბრებებში გამარჯვებული 300 ქულას მიიღებს, ვერცხლის მედალოსანი - 200-ს, მესამეზე გასულს 120 ქულა დაეწერება, მეხუთე ადგილი 80 ქულადაა შეფასებული, მეშვიდე - 60-ად, X-XVI ადგილებზე გასულებს კი 40 ქულა დაეწერებათ.

**ირაკლი თავაძე**



მეკლდეურობა



# ღვაწლის არდავიწყება

ქართული ალპინიზმის ისტორიაში ბევრ ჩვენებურს ჩაუწერია სასახელო ფურცლები. ერთ-ერთი იყო საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი **გრიგოლ გულბანი**. 1951 წელს მან **ალექსანდრე ნემსიწვერიძესთან**, **რამინ კვიციანთან** და **ლევან ახვლედიანთან** ერთად უშბის ორივე მწვერვალზე სარეკორდო ასვლა განახორციელა. იმავე წელს აილამას ცენტრალური ბასტიონი დაიპყრო. 1952 წელს კავკასიონის ქედის დიდი ტრავერსისთვის საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ოქროს მედალი დაიმსახურა. ორი წლის შემდეგ საბჭოთა ექსპედიციამ, რომლის შემადგენლობაში ქართველები, მათ შორის — გრიგოლ გულბანიც შედიოდა, პამირის მთიანეთში ორი 7000-იანი მწვერვალი დაიპყრო, მერე გულბანმა, ნემსიწვერიძემ, **მაქსიმე გვარლიანმა** და **კირილ კუზმინმა** ენგელსის პიკი დალაშქრეს, ხოლო ერთ-ერთ 7000-იან მწვერვალზე პირველასვლით ისარგებლეს და მას საქართველოში ალპინიზმის ფუძემდებლის **გიორგი ნიკოლაძის** სახელი დაარქვეს.

გრიგოლ გულბანის ხელმძღვანელობით **გურამ თიკანაძემ**, **სოზარ** და **ჯოკია გუგავებმა** რამდენიმე ტრავერსი მოაწყვეს კავკასიონის ქედზე, ლენტეხიდან შოვის გავლით თხილამურებით მამისონი განვლეს და ნალჩიკ-ვლადიკავკაზით ყაზბეგში ავიდნენ.

აქტიურ სპორტთან განშორების შემდეგ გრიგოლ გულბანმა მრავალი სპორტსმენი აღუზარდა ქართულ ალპინიზმს. მისმა ჯგუფმა სხვადასხვა მაღალმთიანეთიდან არაერთი დაღუპული მამულიშვილის ცხედარი (მათ შორის - გურამ თიკანაძისა) ჩამოასვენა. მადლიერი შთამომავლობა სახელოვანი ალპინისტის სახელს არ ივიწყებს. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მეკლდეურთა კლუბში მეკლდეურობის ეროვნული ფედერაციის ინიციატივითა და დედაქალაქის მერიის მხარდაჭერით კლდეზე ცოცვაში თბილისის პირველობა გაიმართა გრიგოლ გულბანის თასზე.

რთული ცოცვის კონკურსში პირველი ადგილი 18 წლის **გიორგი გაბულდანმა** დაიკავა, რომელმაც მემორიალური ტურნირის შარშანდელ გამარჯვებულ **გუგა დაბრუნდაშვილს** აჯობა. ეს უკანასკნელი მეორე ადგილზე გავიდა სწრაფ ცოცვაშიც, სადაც ყველას **გიგა ჯანხოთელმა** სძლია. გოგონებში წარმატებით იასპარეზეს **ანა შაქარაშვილმა** და **თამარ მელაძემ**. რთულ ცოცვაში შარშანდელივით პირველი იყო მელაძე, მეორეზე შაქარაშვილი გავიდა, სწრაფში კი მათ ადგილები გაცვალეს.

**ვაჟა დანელია**



ტყვიის სროლა

# მიუნხენში მილანზე უკეთ

დღეს მიუნხენში ტყვიის მსროლელთა შორის მსოფლიოს თასის მეორე ეტაპი იწყება, რომელშიც საქართველოდან მხოლოდ ორი სპორტსმენი გამოვა - ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ნინო სალუქვაძე** და **ლევან ქადაგიძე**. ჩვენი დუეტი დღესვე ჩაებმება სპორტული პისტოლეტიდან ასპარეზობაში. პნევმატურში ქადაგიძე 26-ში ისვრის, სალუქვაძე კი - 27-ში.

შეგახსენებთ, რომ წინა კვირას ჩვენებმა მილანში ისროლეს ასევე მსოფლიოს თასზე და იქ სალუქვაძეს ბრინჯაოს მედლამდე 0.1 ქულა დააკლდა. იმედია, ის მიუნხენში წარმატებით გამოვა და ოლიმპიადას ამაღლებული განწყობით შეხვდება.

**ირაკლი თავაძე**

ტაეკვონდო


თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# მხოლოდ ორ წონაში

გლდანის ოლიმპიური მზადების ცენტრში „უნივერსიადა 2012"-ის პროგრამით გათვალისწინებული პაექრობები გაიმართა ტაეკვონდოში. მონაწილეთა სიმცირის გამო მხოლოდ ორ წონაში გამოვლინდნენ გამარჯვებულები და პრიზიორები. 68 კილოში აგრარული უნივერსიტეტის წარმომადგენელმა **იმედა ნიკლაურმა** გადამწყვეტი ორთაბრძოლა **ნუგზარ მეჩითიშვილს** (სტუ) მოუგო და ოქროს მედალი მოიპოვა. ბრინჯაო **ცოტნე წურწუმიას** (სოხუმის უნივერსიტეტი) ერგო.

80 კილოგრამ წონით კატეგორიაში ყველას **ალექსანდრე გვასალიამ** (თსუ) აჯობა. მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, **შალვა ნიკლაური** (სამედიცინო) და **კონსტანტინე გაბიანი** (სტუ) გავიდნენ.

დღეს სარბიელი სამბისტებს დაეთმობათ.

**ვაჟა დანელია**

სამბო

# იაძე ევროპის ვიცე-პრეზიდენტია

**ოლეგ იაძე** სამბოს ევროპული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს. ეს ამბავი მოსკოვში, სამბისტთა ევროპის პირადი პირველობის პარალელურად გამართულ სამბოს ევროპული ფედერაციის არჩევნებზე მოხდა. პარადოქსულია, მაგრამ იაძის კანდიდატურა აღნიშნულ პოსტზე... ბელარუსმა წარადგინა. ამის შესახებ თავად იაძემ გვაცნობა, რომელიც ასეთი კაზუსს საქართველოში მისდამი დამოკიდებულებით ხსნის.

ოლეგ იაძის ამ თანამდებობაზე არჩევასთან დაკავშირებით სამბოს სამყარო შემოდგომაზე შეთანხმდა. მართალია, ის არ იყო უალტერნატივო, მაგრამ მისი კანდიდატურა საარჩევნო კონკურენციაში ძლიერი ჩანდა, რაც ასრულდა კიდეც. იმის მიუხედავად, რომ სამბო არაა ოლიმპიური სახეობა, საერთაშორისო ფედერაციებში ასეთ მაღალ დონეზე საქართველოს წარმომადგენლობა მაინც მისასალმებელია.

**ირაკლი თავაძე**

## ქართული სპორტი

### ჭადრაკი

# ჩემპიონობას ნახევარი ქულა აშორებს

საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა 71-ე ეროვნული ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტური დარჩა, მაგრამ უკვე შეიძლება ითქვას, რომ ტიტულს მეხუთედ მოიპოვებს ტურნირის რეიტინგფავორიტი **ბაადურ ჯობავა** (2721), რომელიც კარგა ხანია, 2700-იანთა კლუბის წევრია. გუშინ მან თეთრი ფიგურებით პრინციპული შეხვედრა მოუგო 2010 წლის საქართველოს ჩემპიონ **მერაბ გაგუნაშვილს.** საამისოდ მას 61 სვლა დასჭირდა. ახლა იგი უახლოეს მეტოქეებს 1,5-1,5 ქულით უსწრებს და დარჩენილ ორ ტურში ჩემპიონობისთვის ნახევარი ქულაც ჰყოფნის. მე-9 ტურში წარმატებით ითამაშა **კონსტანტინე შანავამაც** - თეთრებით **ზურაბ ჯავახაძეს** 66-ე სვლაზე აჯობა და 6,5 ქულით **ლუკა პაიჭაძესთან** (იგი **დავით არუთინიანს** დაუზავდა) ერთად მეორე-მესამე ადგილებს ინაწილებს. საქართველოს ჩემპიონ **დავით ზარქუას** გათამაშების ცხრილში უბრძოლველად ჩაეწერა ქულა, რადგან, როგორც გაუწყეთ, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო შეჯიბრებას გამოეთიშა **ლევან ფანცულაია.** ისევ წააგო **ივერი ჭილლაძემ** - ამჯერად **დავით ლომსაძესთან,** ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე **ირაკლი ბერაძე** და **გიგა ყუფარაძე** ყაიმზე შეთანხმდნენ.

ცხრა ტურის შემდეგ: ჯობავა - 8, პაიჭაძე, შანავა - 6,5-6,5 , ზარქუა, გაგუნაშვილი - 6-6, არუთინიანი - 4,5, ჯავახაძე, ბერაძე - 4-4, ყუფარაძე, ლომსაძე - 3,5-3,5, ფანცულაია - 1,5, ჭილლაძე - 0 ქულა.

დღეს მე-10 ტურში ითამაშებენ: არუთინიანი - ლომსაძე, ყუფარაძე - ჭილლაძე, ფანცულაია - ბერაძე, ჯავახაძე - ზარქუა, გაგუნაშვილი - შანავა, პაიჭაძე - ჯობავა.

**ვაჟა დანელია**


ბაადურ ჯობავა

### ძიუდო

# პროკურატურის პროგრამით

ამ დღეებში გორის გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის დარბაზმა საქართველოს პროკურატურის მიერ ახალგაზრდებს შორის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის პროგრამის ფარგლებში ძიუდოში გამართულ შეჯიბრებას უმასპინძლა. ტატამზე 1998 - 1999 წწ დაბადებული გორისა და გორის რაიონის ძიუდოს დარბაზების 100-მდე აღსაზრდელი გამოვიდა ექვს წონით კატეგორიაში. გაგაცნობთ გამარჯვებულებს: **ზურაბ კახნიაშვილი** (38 კგ), **თემურ ნოზაძე** (42), **რობინზონ ბეგლარაშვილი** (46), **ნოდარ მშვიდობაძე** (50), **ვანო მახათაძე** (55) და **დავით კოპაძე** (+55). გამარჯვებულებსა და პრიზიორებს მედლები და სიგელები გადაეცათ.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

### ჩოგბურთი


ანა ტატიშვილი

# წვიმა და მარცხი სტრასბურგში

ორშაბათს გამოქვეყნდა ახალი რეიტინგ-ლისტები. გთავაზობთ ქართველ ჩოგბურთელთა მდგომარეობას. ქალები: 72 (-) **ანა ტატიშვილი** - 873 ქულა; 203 (-2) **მაკა ჩახნაშვილი** - 296; 281 (-5) **სოფიო შაფათავა** - 186; 423 (-18) **სოფიო ქვაცაბაია** - 87; 470 (-1) **ეკა გორგოძე** - 73; 491 (-4) **თათია მიქაძე** - 70; 524 (-2) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 60; 712 (-6) **ნათია გეგია** - 30; 1034 (-9) **ანი გოგვაძე** - 10. წყვილთა თანრიგში ანა ტატიშვილი მსოფლიოს 59-ე ჩოგანი გახდა და ეს მისი კარიერის საუკეთესო მაჩვენებელია. ვაჟები: 1 176 (-4) **გიორგი ცივაძე** - 4 ქულა; 1 489 (+5) **ალექსანდრე მეტრეველი** - 2.

ანა ტატიშვილმა მონაწილეობა მიიღო სტრასბურგის საერთაშორისო ტურნირში (220 ათასი დოლარი), თუმცა ჩვენებური პირველივე წრეში დამარცხდა. **ანაბელ მედინასთან** (ესპანეთი) მატჩი ორ დღეზე გაიწელა. 5:7, 4:3-ზე, როცა ჩვენებურის მოწოდება იყო, სტრასბურგში წვიმა წამოვიდა. შეხვედრა დღეს დასრულდა. ანამ მეორე სეტი მოგებამდე კი მიიყვანა (6:4), მაგრამ განადგურდა მესამე სეტში - 1:6.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## კითხვა-პასუხის სვეტი

**შეკითხვა:** გთხოვთ გვიპასუხოთ რომელ წელს გამართა თბილისის „დინამოს" საფეხბურთო კლუბმა პირველი შეხვედრა ევროპის საკლუბო ტურნირებში, ვინ იყო მეტოქე და სად შედგა ეს მატჩი?

**ცოტნე ბაქრაძე**
თბილისის „დინამოს"
ფანკლუბის წევრი

**პასუხი:** პირველი მატჩი თბილისის დინამომ ევროპის საკლუბო ტურნირებში ჩაატარა 1972 წლის 9 სექტემბერს თბილისში, „ლოკომოტივის" სტადიონზე ჰოლანდიის „ტვენტესთან". ეს იყო უეფას თასის 1/32 ფინალის პირველი მატჩი, რომელიც დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით - 3:2.

■ ■ ■

**შეკითხვა:** ვიცი, რომ საბჭოთა პერიოდში იყო სპორტული წოდებები, მაგრამ მინდა ზუსტად მითხრათ, რა იყო და ამჟამად თუ ენიჭებათ წამახალისებელი წოდებები სპორტის სფეროში?

**ტატო ბუჯიაშვილი**
თბილისი

**პასუხი:** საბჭოთა პერიოდში სპორტსმენებს ენიჭებოდათ სპორტული თანრიგები, რაც ჭაბუკთა თანრიგით იწყებოდა და მოზრდილთა I თანრიგით მთავრდებოდა. მერე იყო წოდებები: სპორტის ოსტატის კანდიდატი; სპორტის ოსტატი; სპორტის საპატიო ოსტატი; საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი; სპორტის დამსახურებული ოსტატი. სპორტში მოღვაწეთათვის: დამსახურებული მწვრთნელი; რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, საპატიო მსაჯი; სპორტის დამსახურებული მუშაკი. ზოგიერთი ამ წოდებებიდან და შემდეგ შემოღებულიც, დღესაც ენიჭებათ გამორჩეულთ. სულ მალე კი სპორტის სამინისტრო სპორტში საპატიო წოდებების ახალ დებულებას აამოქმედებს.

■ ■ ■

**შეკითხვა:** თურმე ძველად, პითიურ თამაშებში სპორტის გარდა ლიტერატურასა და მუსიკაშიც ტარდებოდა შეჯიბრებები. რას გვეტყვით ამასთან დაკავშირებით?

**პასუხი: პითიური თამაშები** უძველესი პანელინური კომპლექსური შეჯიბრებაა. იმართებოდა დელფოში ცხრა წელიწადში ერთხელ, ძვ. წ. 582 წლიდან - ოთხ წელიწადში ერთხელ (ოლიმპიადებს შორის). გადმოცემის თანახმად, პითიური თამაშები დააფუძნა აპოლონმა საშინელი გველის, პითონის მოკვლის შემდეგ. თავდაპირველად ტარდებოდა შეჯიბრება მუსიკასა და პოეზიაში (მაგალითად, ღმერთის სადიდებელი ეპიკური ტექსტის აკომპანემენტი ლირაზე). ძვ.წ VI საუკუნიდან თამაშების პროგრამაში შეიტანეს ფლეიტის დაკვრა და ათლეტური შეჯიბრებები ოლიმპიური თამაშების ანალოგიურად. დამატებით ტადებოდა დიაულოსი (სირბილი მოკლე დისტანციაზე - 2 სტადიაზე) და დოლიჰოსი (სირბილი გრძელ დისტანციაზე - უფრო ხშირად, 20 სტადიაზე) ბიჭებისთვის. გამარჯვებულს ამკობდნენ დაფნის გვირგვინით. პითიური თამაშები აკრძალა იმპერატორმა თეოდოსი I-მა 394 წელს, როგორც წარმართული რიტუალი. ასპარეზობა ეძღვნებოდა აპოლონს და მის სადიდებლად იმართებოდა.

■ ■ ■

**შეკითხვა:** გამიგია, რომ ფუნქციონირებს სასკოლო სპორტის საერთაშორისო ფედერაცია. მაინტერესებს რა არის ამ ორგანიზაციის მიზანი და საქმიანობის სფერო?

**მერაბ გენძეხაძე**
ქუთაისი

**პასუხი:** დიახ, არის ასეთი ფედერაცია, რომელიც დაფუძნდა 1971 წელს და სადღეისოდ 40-მდე ქვეყანას აერთიანებს ყველა კონტინენტიდან. ფედერაციის მიზანია მოზარდი თაობის ინტელექტუალური, მორალური, სოციალური და კულტურული განვითარების ხელშეწყობა. ატარებს საერთაშორისო სასკოლო სპორტულ შეჯიბრებებს, კოორდინაციას უწევს ეროვნული ფედერაციების საქმიანობას.

## კალათბურთი

### ლეგიონი

# შენგელიას პირველი ნაბიჯი ფინალისკენ, მარკოიშვილის პირველი საპლეიოფო მარცხი

იტალიის ჩემპიონატის მეოთხედფინალურ სერიაში მესამე მატჩი ჩაატარა **მანუჩარ მარკოიშვილის** „კანტუმ". ამჯერად მასპინძელი „პესარო" იყო და ეს სტატუსი ბოლომდე გამოიყენა - კანტუელები 91:78 დაამარცხა და სერიაში ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა (1:2).

მანუჩარმა 32 წუთი ითამაშა და 11 ქულასთან ერთად 3 შედეგიანი გადაცემა მოაგროვა. მის ანგარიშზე 6-დან 3 სამქულიანი და 4-დან 1 ორქულიანია. **დორონ პერკინსმა** 28 წუთში 10 ქულა ჩააგდო. **გიორგი შერმადინს** ტრავმის გამო არ უთამაშია.

■ ■ ■

ბელგიის ჩემპიონატში კი ნახევარფინალები დაიწყო. რეგულარული ეტაპის ბოლო მატჩში საშინაო წაგება „შარლერუას" მესამე ადგილამდე ჩამოქვეითებად დაუჯდა. შესაბამისად, ნახევარფინალში მოედნის უპირატესობა მისი მეტოქის, „ანტვერპენის" მხარეს იყო. თუმცა სერიის პირველივე მატჩში „შარლერუამ" სტუმრად 72:65 გაიმარჯვა და ფინალისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა.

მოგებულებს **თორნიკე შენგელიამ** 3 ქულა და 1 მოხსნა შეაშველა (13 წუთში).

**ვაჟა სიმონიშვილი**

### საქართველოს ჩემპიონატი. U 16




# კადეტთა ოქრო აკადემიისაა

## კარდინალთა დანავსული 59

**კარდინალი/ორბი-აკადემია 59:62**

11:6, 15:20, 14:22, 19:14

**კარდინალი/ორბი:** სხირტლაძე (2ქ), ფალავა (2ქ), გოგალაძე (6ქ), ლოლიშვილი, გუგეშაშვილი (12ქ, 12მ), ნადარაია (1ქ), ალიევი (13ქ), ვაჭარაძე (3ქ, 4პ), მჭედლიშვილი (6ქ, 7მ, 2დ), ბობილევი (14ქ, 20მ, 2დ).

**აკადემია:** პეტრიაშვილი (6ქ), მგალობლიშვილი (20ქ, 4პ), ცინცაძე (11ქ, 11მ, 7პ, 6ჩ), მასხულია (2ქ, 9მ), ნონიკაშვილი (7ქ, 7მ), შაბაშვილი (12ქ, 11მ), კობახიძე (4ქ).

თბილისის სპორტის სასახლემ 16-წლამდელთა ფინალური სერიის გადამწყვეტ მატჩს უმასპინძლა. „აკადემიამ" „კარდინალი-ორბი" 62:59 დაამარცხა და სერიაში 2:1 იმარჯვა. ამ გუნდების პირველი ფინალური შეხვედრა აკადემიელთა მინიმალური გამარჯვებით დასრულდა - 60:59. „კარდინალი-ორბმა" მეორეშიც 59 ჩააგდო, ხოლო მეტოქეს 38-ზე მეტი ქულის მოგროვების უფლება არ მისცა და ანგარიში გაათანაბრა. მესამე დაპირისპირებაში როგორც გითხარით, კარდინალებმა კვლავ 59 ქულა მოაგროვეს, მაგრამ დამარცხდნენ და ჩემპიონობა „აკადემიას" დარჩა.

მატჩის ძირითადი დროის დასრულებამდე 2:28 წუთით ადრე აკადემია 7-ქულიან უპირატესობას ფლობდა - 58:51, თუმცა „კარდინალის" კალათბურთელებმა სირენამდე 16 წამით ადრე სხვაობა მინიმუმამდე შეამცირეს (59:60). საბოლოო წერტილი **საბა მგალობლიშვილმა** და **ნიკა შაბაშვილმა** საჯარიმოებით დასვეს - 62:59.

„კარდინალის" შემადგენლობაში ორმაგი დუბლი **დიმიტრი ბობილევმა** (14 ქულა, 20 მოხსნა) და **გიორგი გუგეშაშვილმა** (12 ქულა, 12 მოხსნა) შეასრულეს, ხოლო „აკადემიას" 20 ქულა საბა მგალობლიშვილმა მოუტანა. ორმაგი დუბლი **ნიკა ცინცაძისა** და ნიკა შაბაშვილის ანგარიშზეა. პირველმა 11 ქულა და ამდენივე მოხსნა დააგროვა, ხოლო ჭაბაშვილმა - 12 ქულა და 11 მოხსნა.

### ნათქვამი

**ირაკლი ტომარაძე** („აკადემიას" მწვრთნელი):

- სერიის წინა მატჩში დიდი სხვაობით დავმარცხდით, მაგრამ ბიჭებმა შეძლეს რეაბილიტაცია და გამარჯვებისთვის თავი არ დაზოგეს. რაც შეეხება დღევანდელ შეხვედრას, ვფიქრობ, მოგების შანსი ორივე გუნდს ჰქონდა, მაგრამ იღბალი ჩვენს მხარეს იყო.

**ზვიად დიდბარიძე** („კარდინალი-ორბის" მწვრთნელი):

- „აკადემიამ" აშკარად დაიმსახურა ეს გამარჯვება, ჩვენზე გაცილებით მობილიზებულად იასპარეზა. ვეცდებით სამომავლოდ გავითვალისწინოთ და გამოვასწოროთ ჩვენ მიერ დაშვებული შეცდომები.

**ნიკა ცინცაძე** („აკადემია"):

- ამ მიზნის მიღწევისთვის მთელი წელი ვმუშაობდით და დიდი შრომა გავწიეთ. დასახულ მიზანს მივაღწიეთ, რაც მწვრთნელებისა და მთლიანად გუნდის დამსახურებაა.

**გიორგი გუგეშაშვილი** („კარდინალი-ორბი"):

- „აკადემიამ" ძალიან კარგად ჩაატარა თამაში, ჩვენ კი გვქონდა გაკვეული შეცდომები, რამაც მარცხი განაპირობა.

**ვაჟა სიმონიშვილი**



● საქართველოს XXII ჩემპიონატი. ფინალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უილიამ [illegible]

## არმია 2:1 დაწინაურდა

**22 მაისი, თბილისი**

**სპორტის სასახლე**

**ოლიმპი–არმია 52:87**

13:21, 18:23, 10:30, 11:13

*მსაჯები: მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე. დ. ბერეკაშვილი*

| ოლიმპი | წთ | მ-მეტ. | მ-საქ. | მ-სულ | პ | ფ | შ | ჩ | ღ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გამყრელიძე* | 26:29 | 0 | 1 | 1 | 1 | 2 | 5 | 0 | 0 | 4 |
| გულისაშვილაშვილი | 11:14 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 2 | 0 | 0 | 0 |
| ნანიტაშვილი | 05:25 | 0 | 3 | 3 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 |
| თავართქილაძე | 08:57 | 0 | 0 | 0 | 2 | 1 | 2 | 0 | 0 | 5 |
| მილუტინოვიჩი* | 21:15 | 1 | 3 | 4 | 0 | 3 | 1 | 1 | 1 | 11 |
| ბერიშვილი* | 22:25 | 2 | 5 | 7 | 2 | 2 | 3 | 4 | 0 | 4 |
| სლიუკა | 19:52 | 1 | 1 | 2 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 5 |
| ტუტუსი | 22:18 | 0 | 1 | 1 | 1 | 3 | 0 | 1 | 0 | 6 |
| ცინცაძე* | 29:45 | 1 | 2 | 3 | 2 | 3 | 5 | 1 | 0 | 10 |
| ტოდოროვიჩი | 15:37 | 2 | 3 | 5 | 0 | 3 | 2 | 1 | 1 | 3 |
| პოგერი* | 16:43 | 1 | 3 | 4 | 0 | 3 | 1 | 0 | 1 | 4 |
| გუნდი | | 0 | 4 | 4 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| ჯამი | | 8 | 26 | 34 | 9 | 22 | 23 | 9 | 3 | 52 |

| არმია | წთ | მ-მეტ. | მ-საქ. | მ-სულ | პ | ფ | შ | ჩ | ღ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რიჩარდსონი* | 21:34 | 0 | 5 | 5 | 0 | 1 | 0 | 3 | 0 | 16 |
| ბაბიაშვილი | 11:48 | 4 | 2 | 6 | 0 | 2 | 2 | 1 | 0 | 8 |
| ბორისა* | 19:02 | 4 | 1 | 5 | 2 | 4 | 1 | 1 | 0 | 3 |
| მინაშვილი | 05:25 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 |
| უგრეხელიძე | 06:41 | 1 | 0 | 1 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 |
| კვიმსაძე | 15:35 | 0 | 4 | 4 | 3 | 2 | 2 | 0 | 0 | 0 |
| ტომასი* | 26:49 | 2 | 7 | 9 | 0 | 1 | 2 | 1 | 1 | 26 |
| ათანელიშვილი | 03:38 | 0 | 2 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 |
| შელბომი* | 15:03 | 0 | 3 | 3 | 1 | 3 | 2 | 1 | 2 | 3 |
| დიასი | 26:17 | 2 | 1 | 3 | 3 | 2 | 2 | 0 | 1 | 14 |
| ვუდსაიდი* | 28:52 | 0 | 3 | 3 | 4 | 2 | 1 | 1 | 1 | 15 |
| საყვარელიძე | 19:16 | 0 | 0 | 0 | 1 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გუნდი | | 0 | 4 | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ჯამი | | 13 | 32 | 45 | 14 | 22 | 15 | 9 | 6 | 87 |

**სერიას იგებს არმია - 2:1**

**დღეს, 18:00 ოლიმპი–არმია**



ემოციები
*თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო*



ტომასს სკამზე იშვიათად ნახავთ
*ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო*



გამყრელიძე არმიას ფარქვეშ
*თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო*



რიჩარდსონის ეფექტური გდება
*ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო*



ვუდსაიდი (20) VS ცინცაძე
*თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო*



ცინცაძე (21) VS ვუდსაიდი
*ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო*

„ოლიმპის" მთავარმა მწვრთნელმა **გია კაზანჯიანმა** ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა:

*- წინა შეხვედრებისასაც ვთქვი, რომ ენერგიის შენარჩუნება განსაკუთრებით მესამე მატჩისთვის იქნებოდა რთული. გუნდი ძალიან გადაიღალა და ფიზიკურადაც ვერ გაუძლო... მეტოქემ აბსოლუტურად ყველა კომპონენტში გვაჯობა. ვეცდებით, ხვალინდელი მატჩისთვის სათანადოდ მოვემზადოთ და მდგომარეობა გამოვასწოროთ.*

ოლიმპელთა მწვრთნელის სიტყვებიდანაც იოლი წარმოსადგენია მატჩის ხასიათი. „არმიამ" შეხვედრა კარგად დაიწყო და ათქულიანი უპირატესობაც მოიპოვა, მაგრამ პირველ ტაიმში „ოლიმპის" კალათბურთელები მეტ-ნაკლებად მაინც უმკლავდებოდნენ მეტოქეს და **გიორგი ცინცაძისა** და **ნიკოლა ტუტუსის** სამქულიანებით გულშემატკივარს თამაშის შემოტრიალების იმედიც გაუჩინეს, მაგრამ...

მესამე პერიოდში **კოტე ტულუშის** შეგირდებმა დაცვაში თამაში კიდევ უფრო გააუმჯობესეს, ამასთან შეტევას შეტევაზე ზუსტად ასრულებდნენ და სხვაობაც ისევე იზრდებოდა, როგორც „არმია" თამაშობდა - სწრაფად. ოლიმპელებს დაღლილობა აშკარად დაეტყოთ. კულმინაცია მესამე პერიოდის ბოლოსა და მეოთხის დასაწყისში არმიელთა მიერ მოწყობილი 16:0 გაქცევა იყო, რომლის შემდეგ ძალოვნები 85:41 დაწინაურდნენ.

მეოთხე პერიოდის დასაწყისში „ოლიმპის" მწვრთნელმა თამაშში კვლავ ჩართო დამრტყმელი ძალა - **გამყრელიძე-ცინცაძის** დუეტი, მაგრამ მალევე შეცვალა, რათა მომდევნო მატჩისთვის დაესვენებინა. შეხვედრა ორივე გუნდის სათადარიგოებმა ჩაამთავრეს.

■ ■ ■

როცა დაღლილობაზე ვლაპარაკობთ, უნდა გავითვალისწინოთ ერთი ფაქტი: საწყის ორ მატჩში „ოლიმპელთა" მთავარი შეტევითი იარაღი გიორგი ცინცაძე იყო, რომელმაც ორივე შემთხვევაში 24 ქულა ჩააგდო. როცა გუნდის საერთო მონაგარი 69 ქულას არ აღემატება, 24 ქულა მეტად ღირებულია. მესამე მატჩში კი ცინცაძის ანგარიშზე 10 ქულა იყო. იგი ტრავმის შემდეგ ფორმას ნელ-ნელა კრეფს, მაგრამ როგორც ჩანს, ფიზიკური კონდიციები ბოლომდე ვერ აღიდგინა. ოთხ დღეში სამი ურთულესი თამაში როგორი ჩასატარებელია?! მესამე მატჩში მას ბომბარდირობაში ვერავინ შეენაცვლა. ლაშა გამყრელიძე ენერგიულად შედიოდა ფარქვეშ, მაგრამ მხოლოდ 2 ორქულიანი ისროლა, იგი პასის გასაცემად ფარქვეშ დამხმარეს ეძებდა, მაგრამ სამწამიან ზონაში „არმია" ბატონობდა.

თავად განსაჯეთ: **დავით უგრეხელიძემ** არმიელთა შემადგენლობაში მხოლოდ 7 წუთი ითამაშა, მისი გუნდი კი ამ დროში 18 ქულით გაიქრა წინ. მატჩის საუკეთესო კალათბურთელი **უილიამ ტომასი** იყო, რომელმაც 27 წუთში 26 ქულა (16-დან 11 ორქულიანი) და 9 მოხსნა მიითვალა. უმთავრესად სწორედ მისი დამსახურებაა „არმიამ" მოხსნებში 45:34 რომ იმარჯვა. ასეთი უპირატესობა წინა მატჩებში არ ჰქონია. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ მეორე შეხვედრაში ტომასის წინააღმდეგ კარგად ითამაშა **ივან ტოდოროვიჩმა**, რომელმაც გუშინ ვერაფერი გააწყო. ამიტომ ივანს მწვრთნელმა სათამაშო დრო წინა შეხვედრასთან შედარებით საგრძნობლად შეუზღუდა. სამაგიეროდ, მეტი ითამაშა **ილიცა მილუტინოვიჩმა**, რომელიც 11 ქულით ოლიმპელთა ბომბარდირი გახდა, თუმცა როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტომასის შეჩერება ვერც მან შეძლო.

შეტევაში მაღალი შედეგიანობით ითამაშეს „არმიას" უკანახაზელებმა (**გილერმო დიასმა, ბენ ვუდსაიდმა, ჯერემი რიჩარდსონმა**), რომლებმაც თითქმის იმდენი სამქულიანი ჩააგდეს, რამდენიც წინა ორ მატჩში ერთად. გუშინ მათ ანგარიშზე 9 ზუსტი სამიანი იყო, მაშინ როცა წინა შეხვედრებში სულ 10 შორეული ტყორცნა გამოიყენეს. დიასმა 3-დან 2 სამიანი მოათავსა კალათში (66.7 პროცენტი), ვუდსაიდმა - 4-დან 3 (75 პროცენტი), ხოლო რიჩარდსონმა - 6-დან 2 (33.3 პროცენტი).

■ ■ ■

გია კაზანჯიანის კომენტარი მიმოხილვის დასაწყისში შემოგთავაზეთ, ბოლოს „არმიას" მწვრთნელ **კოტე ტულუშს** მოვუსმინოთ.

- გამოვასწორეთ წინა თამაშში დაშვებული შეცდომები და დამსახურებული გამარჯვება მოვიპოვეთ. თუმცა ეს არ გვაძლევს მოდუნების უფლებას, რადგან „ოლიმპი" ძლიერი გუნდია. ამიტომ ხვალინდელ თამაშს მაქსიმალურად მობილიზებული უნდა შევხვდეთ.

„არმია" ქართველმა უკანახაზელმა **ანატოლი ბორისამ** აღნიშნა:

- თამაში 20 წუთის წინ დასრულდა და უკვე ხვალინდელ შეხვედრაზე ვფიქრობთ. იმედია, მესამედაც გავიმარჯვებთ და ჩემპიონობას მოვიპოვებთ.

■ ■ ■

სერიის მეოთხე შეხვედრა დღეს, სპორტის სასახლეში გაიმართება. დაახლოებით 19:45 საათისთვის გვეცოდინება პასუხი ორ კითხვაზე: მოასწრებს „ოლიმპი" ძალების აღდგენას? თუ „არმია" ისევე დამაჯერებლად დაასრულებს ჩემპიონატს, როგორც დაიწყო?

**ვაჟა სიმონიშვილი**

გაზაფხულის ტურნირი

# ლოკომოტივს მეტმა ლელომ უშველა


ბურთით ბექა ნიკლაური, მარჯვნივ ირაკლი ყიასაშვილი

**ლელო–ლოკომოტივი 18:28**

ლელო: (15-9) ყიასაშვილი, ზაალიშვილი, თოდუა, ხუციშვილი, ცერცვაძე (გეგენავა 55), ხმალაძე, კაჭარავა. (1-8) გოგიშვილი (სანიკიძე 41), ორაგველიძე (ხიდეშელი 20), სუჯაშვილი, ჭეიშვილი, აზალაძე, კვერნაძე, კოლელიშვილი, ჭყოიძე.
6ს: ყიასაშვილი.
ლოკომოტივი: (15-9) ნიკლაური, ბინაძე, ჭურლულია, გოგიშვილი (კობერიძე 35), ქავთარაძე, კავთაძე, ლვინჯილია. (1-8) გასვიანი, ზარიძე (მენაბდიშვილი 34), ვეფხვიძე, ნიშნიანიძე (გუნიავა 65), გუჯარაიძე, ბერიშვილი, ნადირაძე, ზ.მაისურაძე.
3ლ: ზ.მაისურაძე, ზარიძე, ლვინჯილია. 2გ,3ს: კავთიძე.
მსაჯი: დ. ჩორგოლეიშვილი

გაზაფხულის ტურნირის ნახევარფინალის განმეორებით შეხვედრაში, ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონმა თბილისის „ლოკომოტივმა" „ავჭალის სარაგბო სტადიონზე" თბილისის „ლელოს" ათი ქულის სხვაობით 28:18 მოუგო. რკინიგზელებს პირველი შეხვედრა ამდენივე ქულით ჰქონდათ წაგებული. დებულების თანახმად, ამ შემთხვევაში უპირატესობა იმ გუნდს ენიჭება, ვინც მეტი ლელო გაიტანა. ამ მაჩვენებლით ლოკომოტივმა 4:2 მოიგო და ფინალში გავიდა.

პირველ მატჩში ათი ქულის სხვაობით მოგების შემდეგ „ლელოს" ასეთი სუსტი თამაში ყველასთვის მოულოდნელი იყო. ლელოელებმა მთელი მატჩის განმავლობაში ერთი სალელოვე შეტევაც კი ვერ განახორციელეს და 18 ქულას მხოლოდ საჯარიმოების წყალობით მოუყარეს თავი.

რკინიგზელებმა პირველ მატჩთან შედარებით ორი ცვლილება განახორციელეს. ძირითად შემადგენლობაში არ იყვნენ გუნდის გამოცდილი მორაგბეები, **ბობა კვინიხიძე** და **გიორგი კობერიძე**. სამაგიეროდ, „ლელოს" მთავარმა მწვრთნელმა **ლევან მაისაშვილმა** ხუთი მოთამაშე შეცვალა. ტრავმის მოშუშების შემდეგ გუნდს დაუბრუნდნენ მგეზავი **ლაშა ხმალაძე** და გარემარბი **თორნიკე ცერცვაძე**. თუმცა მათი გამოჩენა გუნდს თითქმის არაფერში დასტყობია.

ლელოელებმა არა მარტო ანგარიშში, არამედ თამაშის თითქმის ყველა კომპონენტში ნააგეს. მათ ვერაფრით შეძლეს მოედნის ცენტრიდან პირველი დარტყმის შემდეგ ბურთის ალება დათმეს, როგორც მეტოქის, ისე საკუთარი დერეფანი. პირველ ნახევარში ვერაფერი მოუხერხეს რკინიგზელთა შერკინებას. შესვენების შემდეგ მდგომარეობა ოდნავ კი გამოასწორეს, მაგრამ შერკინებიდან ბურთი თავისუფლად ვერ გამოჰქონდათ. მეტიც, მეორე ტაიმის დასაწყისში, საკუთარ ხუთმეტრიან ზონასთან დანიშნული შერკინებიდან ისეთი ლელო მიიღეს, რაც ისეთი დონის გუნდს, „ლელო" რომ არის არაფრით ეპატიება.

ყოველივე ეს, ანუ, ის რომ „ლელომ" თამაში ვერაფრით ააწყო, ცხადია, „ლოკომოტივის" დამსახურებაა. რკინიგზელები სათამაშოდ ბევრად უფრო მობილიზებულნი და მოგების წყურვილით შეპყრობილები გამოვიდნენ.

ანგარიში თამაშის მე-5 წუთზე „ლელოს" ფულბეკმა **ირაკლი ყიასაშვილმა** გახსნა 3:3, „ლოკომოტივმა" ხუთ წუთში მგეზავის, **ვახტანგ კავთიძის** საჯარიმოთი გაათანაბრა. აშკარად ჩანდა, რომ მატჩის დებიუტში გუნდები ფრთხილობდნენ. თამაშის მკვეთრად გამწვავებას არ ცდილობდნენ და ერთმანეთის მიერ დაშვებულ შეცდომებს ელოდებოდნენ. მე-14 წუთზე ყიასაშვილმა „ლელო" ისევ საჯარიმოთი დააწინაურა.

„ლოკომოტივმა" პირველი ლელო 26-ე წუთზე გაიტანა, რასაც წინ „ლელოს" მიერ დაშვებული შეცდომების მთელი კალეიდოსკოპი უძღოდა. ლელოელებმა ორი წუთის განმავლობაში ზედიზედ სამი საკუთარი დერეფანი წააგეს. ჯერ მეტოქის ლელოდან ხუთ მეტრში, მერე ოდნავ მოშორებით, დაახლოებით 25 მეტრში. ბოლოს კი საკუთარი ჩათვლის მოედნიდან 20 მეტრში ააგდეს ბურთი უხეიროდ.

იმდენი მოახერხეს, რომ ბოლოს აუტი მეტოქის ნახევარზე „ლოკომოტივმა" მოაწოდა. მორკინალებმა რამდენიმე მოკლე დარტყმა განახორციელეს. აილე-მიეძალეს მეთოდით თამაში რკინიგზელებს შესანიშნავად გამოსდით. ბოლო მიძალება მესამეხაზელმა **ზვიად მაისურაძემ** განახორციელა და ლელო ალამთან ახლოს გაიტანა. კავთიძემ ვერ გაარტყა - 8:6.

„ლელო" ოთხ წუთში ისევ ყიასაშვილმა დააწინაურა - 9:8, თუმცა ტაიმის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე „ლოკომოტივმა" მორიგი ლელო მიითვალა. დერეფანი რკინიგზელებმა მარცხენა ფრთაზე, მეტოქის ლელოდან 22 მეტრში მოიგეს და იქვე შეუტიეს. მორკინალების ორი მოკლე დარტყმის შემდეგ ბურთი მარცხნივ გრძელ ფრთაზე ჩაათამაშეს. „ლელომ" იერიშის შეყოვნება შეძლო, მაგრამ რაკიდან ბურთი მაისურაძემ აიტაცა და თანაგუნდელებთან ერთად მოლის ფორმირება მოახერხა. რამდენიმე ბიძგის შემდეგ მოლს შერკინების კვაჭი ლევან ზარიძე მოსწყდა და ლელოში შეაღწია. კავთიძემ გარდასახვა ზუსტად დაარტყა - 15:9.

ტაიმის დასრულებამდე ორი წუთით ადრე ყიასაშვილმა კიდევ ერთხელ დაარტყა ზუსტად საჯარიმოდან და ანგარიშში სხვაობა სამ ქულამდე შეამცირა - 12:15. ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

ეს ანგარიში, მიუხედავად იმისა, რომ იგებდა „ლოკომოტივს" ხელს არაფრით აძლევდა. მით უფრო, რომ შესვენების შემდეგ „ლელომ" ორ წუთში ყიასაშვილის საჯარიმოთი ანგარიშის გათანაბრება შეძლო - 15:15.

სწორედ ამის შემდეგ, 49-ე წუთზე ლელოელებმა მიუტევებელი შეცდომა დაუშვეს. შერკინება მათ სასარგებლოთ საკუთარი ჩათვლის მოედნიდან ხუთ მეტრში დაინიშნა. ბურთი შერკინებიდან გამოუვარდათ და ლელოში შეგორდა, რომელთანაც ყველაზე სწრაფად რკინიგზელთა ცხრა ნომერი **ირაკლი ლვინჯილია** გაჩნდა. გარდასახვა კავთიძემ გაიტანა - 22:15.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეს შეცდომა საბედისწერო გამოდგა. თამაშის დამთავრებამდე 30 წუთი იყო დარჩენილი, მაგრამ „ლელომ" თამაშში გარდატეხის შეტანა ვარაფრით შეძლო. კავთიძის ორ საჯარიმოს ყიასაშვილმა ერთით უპასუხა და ფინალის საგზური „ლოკომოტივმა" დამსახურებულად მოიპოვა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

*თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო*

# აიამ ნავსი გატეხა, მაგრამ ფინალში არმიაა

**აია–არმია 8:6**

აია: (15-9) ხამაშურიძე, გოშაძე, ძნელაძე (ფრუიძე 65), კუხიანიძე, აბრამიძე, სინაურიძე, გოგია. (1-8) არაბიძე, თხელიძე (მატკავა 43), ტ. ჩხიკვაძე (წაქაძე 65), ჯიმშიტაშვილი, ჩიტეიშვილი, რევიშვილი (ცირეკიძე 69), შალამბერიძე, ყურაშვილი
ლ: რევიშვილი. ს:სინაურიძე
არმია: (15-9) კობახიძე (ნუცუბიძე 76), ტუჩაშვილი, ი.ჩხიკვაძე, ჯიმშელაძე, გაბრომშვილი, ნინიძე, სამხარაძე; (1-8) კაკოვინი (ხოსიტაშვილი 68), მამუკაშვილი (მეკოკიშვილი 45), დონაძე, არჩუაშვილი (ჩიტიძე 45), ცხადაძე (ბინაძე 48), თხილაიშვილი, კალმახელიძე, თავართქილაძე (გაგოშვილი 65)
2ს: კობახიძე
მსაჯი: მ.ჩაჩუა



„აიასა" და „არმიას" მეტოქეობას გასულ სეზონში ჩაეყარა საფუძველი და მათ შორის გამართულ მატჩებს ინტრიგა და დაძაბულობა არასდროს მოჰკლებია. გასულ ჩემპიონატში ამ გუნდების პირველი შეხვედრა ქუთაისელების გამარჯვებით დასრულდა, თუმცა მომდევნო ოთხ დაპირისპირებაში გამარჯვება „არმიას" დარჩა და ჩემპიონის ტიტულიც მან მოიპოვა.

წლეულს პირველი ნახევარფინალური მატჩი არმიელებმა „აიას" 18-ქულიანი სხვაობით 30:12 მოუგო და ფინალისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა, თუმცა, ქუთათურები ბოლომდე საბრძოლველად ემზადებოდნენ და ჩვენც საინტერესო მატჩის მოლოდინში ვიყავით.

სამწუხაროდ, შეხვედრას ცუდი ამინდი დაედარა. მთელი მატჩის განმავლობაში წვიმას არ გადაუღია, ატალახებულ მინდორზე სველი ბურთით თამაში კი ორივე გუნდს უჭირდა. ამიტომაც იყო, ხშირი შეცდომები, მორაგბეებს რიგ ეპიზოდებში ხელიდან სველი ბურთი უცურდებოდათ.

პირველი ტაიმი „აიას" სრული უპირატესობით წარიმართა. **გაგა სინაურიძეს** დასაწყისშივე შეეძლო საკუთარი გუნდის დაწინაურება, მაგრამ ჯარიმა ვერ გამოიყენა. ქუთაისელთა მონდომებას შედეგი მალე მოჰყვა **ირაკლი რევიშვილმა** მეტოქის 22-მეტრიანი ზონის ხაზთან ახლოს არმიელებს ბურთი ჩაუჭრა და ლელო გაიტანა. სინაურიძემ გარდასახვა ვერ გამოიყენა.

ჩამორჩენამ სტუმრები გაახელა. მათ ძნელაძის შეცდომით ისარგებლეს, რომელმაც სველი ბურთი ვერ შეიმაგრა და საჯარიმოს დარტყმის უფლება მოიპოვეს. არმიელთა ფულბეკმა **ბახვა კობახიძემ** ჯარიმა ზუსტად დაარტყა და ანგარიში შეამცირა - 5:3.

პირველი ტაიმის დარჩენილ დროში „აია" მძლავრად უტევდა მეტოქეს. ქუთათურები სამჯერ ახლოს იყვნენ ლელოს მისადგომებთან, მაგრამ ბოლო მომენტში არ უმართლებდათ. მოლითა და ზედახორით რომ ვერ შეძლეს ჩათვლის მოედანში შეღწევა, **ლევან გოგიამ** გრძელ ფრთაზე ფეხით გადაუკიდა ბურთი **გიორგი აბრამიძეს**, რომელიც მარტოდმარტო იყო და რომ დაეჭირა, ლელოსაც გაიტანდა, მაგრამ ბურთი სველი იყო და შემაგრება მანაც ვერ მოახერხა.

მატჩის მეორე ნახევარიც მასპინძლების შეტევებით დაიწყო. სინაურიძემ ზუსტი საჯარიმო დარტყმით გაზარდა ანგარიში - 8:3, მაგრამ კობახიძემ რამდენიმე წუთში ჯარიმითვე სტატუს კვო აღადგინა - 8:6.

ქუთაისელები ვა-ბანკზე წავიდნენ. როგორც ჩანს, მათ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ფინალში გასვლის იმედი დაკარგული. რამდენიმეჯერ საჯარიმოს დარტყმაზე უარი თქვეს და ლელოზე გადაიტანეს აქცენტი. შანსებიც ბევრი ჰქონდათ, მაგრამ არმიელებმა კარგად დაიცვეს თავი და ბოლოს თავადვე შეუტიეს, თუმცა ჩათვლის ხაზთან მისულებმა ბურთი დაკარგეს და გამარჯვების შანსი ხელიდან გაუშვეს.

„აიამ" ნავსი გატეხა და „არმია" მეექვსე ცდაზე დაამარცხა, თუმცა ფინალში გასასვლელად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ამ მატჩში იყო ეპიზოდი, რომელსაც გვერდს ვერ ავუვლით. მეორე ტაიმის შუაში მატჩის არბიტრს **მიხეილ ჩაჩუას** ფეხი დაუცდა და დაშავდა, თუმცა თამაშის გაძღოლა მაინც მოახერხა.

**ნიკოლოზ ჭავჭავაძე**, „არმიას" მწვრთნელი:

*„ველოდებოდი, რომ მძიმე თამაში იქნებოდა. დიდი პატივისცემა მინდა გამოვხატო „აიას" მიმართ. მართლაც კარგი გუნდია, ახალგაზრდა მორაგბეებით არის დაკომპლექტებული და კარგ რაგბის თამაშობენ. ჩვენ უფრო გაშლილი და ლაღი თამაშის მიმდევრები ვართ, რაც დღეს სველ მოედანზე ძნელი შესასრულებელი იყო. დავმარცხდით, მაგრამ, მთავარია, ფინალში გავედით, სადაც ასევე გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ."*

**კობა გიორგაძე**, „აიას" მწვრთნელი:

*„სამწუხაროდ, ისეთი ანგარიშით ვერ მოვიგეთ, რომელიც ფინალში მოხვედრის საშუალებას მოგვცემდა. 18 ქულის გაბათილება ძალიან რთულია. ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს, ცდა არ დააკლეს, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არაა. მიუხედავად იმისა, რომ ფინალში ვერ გავედით, მაინც კმაყოფილები ვართ. ნავსი გავტეხეთ და „არმია" დავამარცხეთ, ბიჭებმა თავიანთი თავის ირწმუნეს და ეს მათ ფსიქოლოგიურად დაეხმარებათ. კმაყოფილები ვარ იმითაც, რომ გაზაფხულის ტურნირი ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად კარგად გამოვიყენეთ. გუნდში ბევრი ახალგაზრდა მორაგბე მოვიწვიეთ, რომლებიც ჩემპიონატისთვის კიდევ უფრო გაიზრდებიან და „აიას" გააძლიერებენ."*

**ფინალი**

**27 მაისი**

**ლოკომოტივი-არმია**

**დავით კოხრეიძე**

ქუთაისიდან

ავტორის ფოტო

კალათბურთი. ახალი ამბები


სტენ ვან განდი

# ჯადოქრები უმწვრთნელოდ დარჩნენ

"ორლანდო მეჯიქის" დამრიგებელი **სტენ ვან განდი** თანამდებობიდან დაითხოვეს. ასევე მიდის კლუბიდან "ორლანდოს" გენერალური მენეჯერი **ოტის სმიტი**.

სტენ ვან განდიმ, რომელიც 2012 წელს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყველაზე არაპოპულარულ მწვრთნელად დაასახელეს, "ორლანდო" 2007 წლის ზაფხულში ჩაიბარა. კლუბის ხელმძღვანელობამ მადლობა გადაუხადა ვან განდის გაწეული სამუშაოსთვის და დაამატა, რომ "მეჯიქს" სამწვრთნელო შტაბში გარდაქმნები ესაჭიროებოდა. მწვრთნელის წასვლის ოფიციალური მიზეზი არ დაუსახელებიათ.

ამერიკული პრესის ინფორმაციით, ვან განდის გათავისუფლების მთავარი მიზეზი გახდა მისი კონფლიქტი გუნდის ლიდერ **დუაიტ ჰოვარდთან**. "ორლანდოს" ცენტრმა არაერთხელ გამოხატა უკმაყოფილება მწვრთნელის მუშაობის გამო და "მეჯიქის" ხელმძღვანელობას ვან განდის გაშვება მოსთხოვა. ჰოვარდი უარს ამბობდა მწვრთნელთან ურთიერთობაზე და სანამ ტრავმას მკურნალობდა, გუნდის თამაშებს არ ესწრებოდა.

ვან განდის წასვლის შემდეგ, "ორლანდოს" მთავარი მწვრთნელის პოსტზე ორი ძირითადი კანდიდატი განიხილება: **შონ ბრაუნი**, რომელიც "ინდიანა პეისერსში" მთავარი მწვრთნელის ასისტენტია და **მაიკლ მელოუნი**, რომელსაც იგივე თანამდებობა აქვს "გოლდენ სტეიტში". იმავე პრესის ცნობით, ამ ორიდან ერთ-ერთის კანდიდატურას დუაიტ ჰოვარდი ითხოვს.

ვან განდის ხელმძღვანელობით "ორლანდო" ხუთჯერ გავიდა პლეი ოფში. 2008-09 წლების სეზონში "ჯადოქრებმა" ფინალში გააღწიეს, სადაც "ლოს ანჯელეს ლეიკერსთან" დამარცხდნენ. წელს "მეჯიქი" პირველივე რაუნდში გამოეთიშა ბრძოლას. სულ სტენმა "ორლანდოს" მთავარი მწვრთნელის რანგში 259 მატჩი მოიგო და 135-ჯერ დამარცხდა.

რაც შეეხება ოტის სმიტს, ის "ორლანდოში" 2006 წლიდან მუშაობდა.

# ოპტიმალური ბრაზილია

ბრაზილიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **რუბენ მანიანომ** ოლიმპიური თამაშებისთვის თავისი გუნდის წინასწარი შემადგენლობა დაასახელა. გაფართოებულ განაცხადში მოხვდა NBA-ში მოთამაშე ოთხი კალათბურთელი – **ანდერსონ ვარეჟაო** ("კლივლენდი"), **ნენე ილარიო** ("ვაშინგტონი"), **ტიაგო სპლიტერი** ("სან ანტონიო") და **ლეანდრო ბარბოზა** ("ინდიანა"),

*"მე რამდენჯერმე ვითამაშე ბრაზილიის ნაკრებში, მაგრამ ოლიმპიადაზე გამოსვლა – განსაკუთრებული გამოცდილებაა. ჩვენ შესანიშნავი გუნდი გვყავს, რომელსაც შეუძლია ოლიმპიადის მედლებისთვის ბრძოლა", - ამბობს ვარეჟაო.*

■ ■ ■

ბრაზილიისგან განსხვავებით ლიტვის ნაკრებს გასავლელი აქვს ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. ლიტველთა დამრიგებელმა **კიასტუტის კემზურამ** 19-კაციანი შემადგენლობა გამოაცხადა, რომელიც შესარჩევი ტურნირისთვის დაიწყებს მზადებას.

პირველ შეკრებაზე შემდეგი კალათბურთელები არიან გამოძახებულნი: **შარუნას იასიკიავიჩიუსი** ("პანათინაიკოსი", საბერძნეთი), **მანტას კალნიეტისი** ("ჟალგირისი"), **ადას იუშკიავიჩიუსი** ("რუდუპისი"), **ტომას დელინინკაიტისი** ("ჟალგირისი"), **რიმანტას კაუკენასი** ("მონტეპასკი", იტალია), **რეინალდას სეიბუტისი** ("ლეტუვოს რიტასი"), **მარტინას პოციუსი** ("რეალი", ესპანეთი), **დეივიდას დულკისი** (NCAA), **სიმას იასაიტისი** ("ტურკ ტელეკომი", თურქეთი), **იონას მაჩიულისი** ("მონტეპასკი", იტალია), **ლინას კლეიზა** ("ტორონტო", NBA), **მინდაუგას კუზმინსკასი** ("ჟალგირისი"), **პაულიუს იანკუნასი** ("ჟალგირისი"), **დარიუს სონგაილა** ("ვალიადოლიდი", ესპანეთი), **ტადას კლიმავიჩიუსი** ("ჟალგირისი"), **დონატას მოტეიუნასი** ("პროკომი", პოლონეთი), **ანტანას კავალიუსკასი** (ვეფ რიგა, ლატვია), **იონას ვალანჩუნასი** ("ლეტუვოს რიტასი"), **რობერტას იავტოკასი** ("ჟალგირისი").


ლინას კლეიზა

NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი

# მოულოდნელი გმირი



მატჩის წინ სტატისტიკოსებმა დააფიქსირეს, რომ "ფილადელფიას" პლეი ოფის მეხუთე მატჩი 2001 წლის შემდეგ არ მოუგია. "სიქსერზმა" ეს უსიამოვნო ტრადიცია ვერც ამჯერად დაარღვია. "კელტებმა" ღირსეულად უპასუხეს მეტოქეს მეოთხე მატჩში ფიასკოს გამო და მეორე ტაიმში გაანადგურეს **დაგ კოლინზის** გუნდი.

"ფილადელფიას" მთელი მატჩის განმავლობაში სტაბილური თამაში უჭირს, მის სნაიპერებს ოთხი მეოთხედი სიზუსტე არ ჰყოფნით... ყველა რთული ორქულიანი, ქულები ბრძოლაში, სამქულიანები, ძალისმიერი გარღვევები მათ პირველ ტაიმში გამოიყენეს, როცა მოედანზე თანაბარი ბრძოლა მიდიოდა. სპურტი არც ერთ გუნდს არ ჰქონია, მაგრამ ""ბოსტონი" მუდმივად 3-5 ქულით ჩამორჩებოდა. შესანიშნავად გამოიყურებოდა **ელტონ ბრენდი**, რომელმაც პირველი ორი მეოთხედი ძველ დონეზე ითამაშა და რამდენჯერმე აშკარად დაჩაგრა **კევინ გარნეტი**, მაგრამ მეორე ნახევარში მას და მთლიანად "ფილადელფიას" აშკარა კრიზისი ჰქონდათ.

პირველ ტაიმში "სელტიქსის" რიგებში არ გამოჩნდა ერთი გამოკვეთილი ლიდერი, რომელიც თავის გუნდს წინ გაუძღვებოდა. წარუმატებელი სასტარტო 12-წუთეულის შემდეგ მეორე მეოთხედში გაილვიძა გარნეტმა, მაგრამ ის ვერ აჩვენებს იმ თამაშს, რომელიც პირველ ორ მატჩში ჰქონდა. საშუალო და შორი მანძილებიდან ისროდა **პირსი**, მაგრამ მისი მონდომება საკმარისი არ იქნებოდა გადამწყვეტი სპურტისთვის. "ბოსტონი" ტრადიციულად აგებდა მოხსნებში, ვერ აგდებდა სამქულიანებს, მაგრამ მასპინძლები თავგანწირვით იცავდნენ თავს და "ფილადელფიამ" ვერც ერთი გაქცევის მოწყობა ვერ შეძლო.

მეორე ნახევარში გამოჩნდა ამ მატჩის გმირი. **ბრენდონ ბასმა** 12 წუთში მისთვის სარეკორდო 18 ქულა დააგროვა. ის "კელტების" პრაქტიკულად ყველა შეტევაში იღებდა მონაწილეობას. **რაჟონ რონდომაც** მომენტალურად იგრძნო სტუმრების რიგებში არეულობა და ბასს პასებით ამარაგებდა. როგორც იქნა კარგად გამოიყენა თავისი სათამაშო დრო **მიკაელ პიეტრუსმა**. ფრანგი შეტევაში დიდად არ გამოირჩეოდა, მაგრამ დაცვას სერიოზულად ამაგრებდა. "ფილადელფიას" დაცვას მთელი ყურადღება პირსისკენ და გარნეტისკენ ჰქონდა გადატანილი, ამასობაში კი **გრეგ სტიმსმამ** 10 ქულა დააგროვა. "სიქსერზს" თამაში აერია. თუ პირველ ტაიმში ბურთი მორჩილად ეშვებოდა "სელტიქსის" კალათში, მეორეში იშვიათად ახარებდა სტუმრებს.

თავიდან "კელტებმა" 10:2 გაქცევა მოაწყვეს, მეოთხე მეოთხედის დასაწყისში კიდევ ერთი სპურტი (16:6) დაუმატეს, რის შემდეგაც მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო. კოლინზმა შემადგენლობის როტაცია სცადა, ამისთვის მას შემსრულებლები არ აკლია, მაგრამ ზედიზედ მეორედ 18-ქულიანი ჩამორჩენის გაბათილება ძალიან რთული საქმე იყო. "სიქსერზის" რიგებში ამჯერად არ აღმოჩნდა გმირი. მით უმეტეს, რომ მასპინძლებმა ფანტასტიკური რიტმი დაიჭირეს. რონდოს მეთაურობით "სელტიქსის" შეტევების სისწრაფე და მრავალფეროვნება სულ სხვა დონისა იყო. საქმის გამარჯვებამდე მიყვანა რთული აღარ ყოფილა.

**ბოსტონი–ფილადელფია 101:85**

**23:27, 24:23, 28:16, 26:19**

**ბ:** ბასი (27+6 მოხსნა+2 დაფარება), გარნეტი (20+6 მოხსნა), პირსი (16+3 პასი), რონდო (13+14 პასი), სტიმსმა (10+3 დაფარება), ალენი (5), პავლოვიჩი (3), პიეტრუსი (3), დენიელსი (2), ჰოლინზი (2).

**ფ:** ბრენდი (19), ალენი (12), ტერნერი (11+10 მოხსნა+3 პასი), ჰეიესი (10+5 მოხსნა+3 პასი), ჰოლიდეი (10+7 პასი), უილიამსი (9), იგუოდალა (8+6 მოხსნა+3 პასი+3 ჩაჭრა), იანგი (6).

**რეალიზაციის პროცენტი:** თამაშიდან (52.2/46.8), სამქულიანები (20/33.3), საჯარიმოები (78.8/62.5).

**სერია: 3-2**

# თავს ზემოთ ძალა არ არის


რასელ უესტბრუკი

ზედიზედ მეორე წელია "ლეიკერსი" უსახელოდ ასრულებს სეზონს. მათ კვლავ ულაპარაკოდ წააგეს პლეი ოფის მეორე რაუნდი. შარშან კალიფორნიელები "მშრალი" ანგარიშით დაამარცხა "დალასმა", ახლა კი ეს როლი "ოკლაჰომამ" შეასრულა.

სერიის მეხუთე მატჩი ძალიან ჰგავდა "ბოსტონისა" და "ფილადელფიას" მეხუთე შეხვედრას. **კობი ბრაიანტი** და მისი გუნდი ორნახევარი მეოთხედი ტოლ-სწორად ებრძოდა "თანდერს", მაგრამ მესამე მეოთხედის ბოლოს მასპინძლები 10:4 გაიქცნენ, ბოლო 12-წუთეულის დასაწყისში კი 10:0 სპურტი მოაწყვეს. "ოკლაჰომამ" ზუსტად დაიჭირა მეტოქის მოდუნების მომენტი და თავისი საფირმო გარღვევებით (30-6) მოუგო "ლეიკერსს". ბრაიანტის გარდა, კალიფორნიელთა რიგებში პასუხის გამცემი არავინ იყო. **გასოლმა** ბევრი ბურთი მოხსნა, მაგრამ მისგან სარგებელი მაინც ძალიან ცოტა იყო. **კენდრიკ პერკინსმა** შესანიშნავად დაიცვა თავი **ბინუმთან** ორთაბრძოლაში და **იბაკასთან** ერთად მასტერ-კლასი მოაწყო მეტოქის ფარზე (14-3). რაც შეეხება კობის, მან პლეი ოფის მატჩებში მეცამეტედ გადალახა 40-ქულიანი ზღვარი. ამ დროს "ლეიკერსმა" 10 მატჩი მოიგო და სამჯერ დამარცხდა, აქედან ორი წაგება ამ სეზონზე მოდის.

საინტერესო სტატისტიკური მონაცემია – "ლეიკერსმა" ოთხიდან სამ წაგებულ შეხვედრაში 12-დან ცხრა მეოთხედი მოიგო, მაგრამ გადამწყვეტი 12-წუთეულები, როცა ახალგაზრდა "თანდერი" ვა-ბანკზე მიდიოდა, პირწმინდად იქნა წაგებული.

"ოკლაჰომა" ზედიზედ მეორედ ითამაშებს კონფერენციის ფინალში. ასეთი რამ 1979-80 წლების შემდეგ პირველად მოხდა. მაშინ ამ გუნდს "სიეტლ სუპერსონიქსი" ერქვა. სწორედ იმ პერიოდში მოიპოვა კლუბმა თავისი არსებობის ისტორიაში ერთადერთი ტიტული. ამ შედეგის გასამეორებლად "ოკლაჰომას" ძალიან რთული გზა აქვს გასავლელი – შემდეგ რაუნდში პლეი ოფში დაუმარცხებელი "სან ანტონიო" ელოდება.

**ოკლაჰომა–ლეიკერსი 106:90**

**26:21, 28:30, 29:26, 23:13**

**ო:** უესტბრუკი (28+4 პასი), დურანტი (25+10 მოხსნა+4 პასი), ჰარდენი (17+8 მოხსნა+4 პასი), იბაკა (8+6 მოხსნა+3 დაფარება), მოჰამედი (7), პერკინსი (6+11 მოხსნა+2 დაფარება), კოლისონი (6+6 მოხსნა), სეფოლოშა (4), ფიშერი (4), აივი (1).

**ლ:** ბრაიანტი (42+5 მოხსნა), გასოლი (14+16 მოხსნა+3 დაფარება), უორლდ პისი (11+5 პასი), ბინუმი (10), სეშენსი (8+5 მოხსნა+3 პასი), იბენქსი (2+2 დაფარება), ჰილი (2), ბლეიკი (1).

**რეალიზაციის პროცენტი:** თამაშიდან (46.7/45.3), სამქულიანები (23.1/18.2), საჯარიმოები (76/76.9).

**სერია: 4-1**

# ბინუმი წასვლას არ გამორიცხავს

## კრის ბოში მეხუთეს და მეექვსეს გამოტოვებს

"ოკლაჰომასთან" სერიის მეხუთე მატჩის შემდეგ, "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ცენტრმა **ენდრიუ ბინუმმა** კალიფორნიული კლუბის დატოვება არ გამორიცხა. 24 წლის კალათბურთელის თქმით, ყველაფერი კლუბის ხელმძღვანელობის სურვილზე იქნება დამოკიდებული.

*"არ ვიცი, გავაგრძელებ თუ არა კარიერას "ლეიკერსში", - ამბობს ბინუმი NBA-ის ოფიციალურ ვებგვერდზე. – და ეს ჩემი გადასაწყვეტი არ არის. რაც უნდა იყოს, მზად ვარ ნებისმიერ გუნდში ვითამაშო. ვნახოთ, ყველაფერი ხელმძღვანელობის სურვილზე იქნება დამოკიდებული. საერთოდ კი სიამოვნებით დავრჩებოდი "ლეიკერსში".*

■ ■ ■

ამასობაში, "მაიამი ჰიტის" ვარსკვლავური ფორვარდი **კრის ბოში**, რომელიც მუცლის კუნთის დაზიანების შემდეგ აღდგენით კურსს გადის, მონაწილეობას ვერ მიიღებს "ინდიანა პეისერსთან" სერიის მეხუთე და მეექვსე მატჩებში. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდების დაპირისპირებაში ანგარიშია – 2:2. ბოშმა ტრავმა ამ სერიის პირველ შეხვედრაში მიიღო.

მეხუთე მატჩი დღეს გაიმართება "მაიამის" მოედანზე, მეექვსე – პარასკევს "ინდიანას" არენაზე.

ჯერჯერობით უცნობია, შეძლებს თუ არა ბოში მეშვიდე თამაშში მონაწილეობას, თუ ამ მატჩის ჩატარება გახდება საჭირო.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჰოკეი. NHL სტენლის თასი. 1/2 ფინალი

# პინგ პონგი გრძელდება

"ნიუ ჯერსიმ" გაათანაბრა ანგარიში აღმოსავლეთი კონფერენციის ფინალურ სერიაში. "რეინჯერსი" არ ღალატობს ტრადიციას და ისევე ანვითარებს ამ დაპირისპირებას, როგორც წინა ორ სერიაში იყო: ნიუიორკელებმა ზედიზედ მესამედ წაიყვანეს ანგარიში 2:1 და ამჯერადაც გაათანაბრებინეს სერია მეტოქეს.

შაბათს, შინ 0:3 წაგების შემდეგ, "ნიუ ჯერსი" მეორე საშინაო შეხვედრაში ძალიან მობილიზებული ჩანდა და თავიდანვე მოიპოვა ინიციატივა. **ჰენრიკ ლუნდკვისტს** ზედიზედ მოუწია **ელიაშის**, **პონიკაროვსკისა** და **კლარკსონის** დარტყმების მოგერიებამ, მაგრამ **ბრიუს სალვადორმა** მაინც გახსნა ანგარიში. მცველებს გაექცათ ჰენრიკი, რომელმაც ვარდნაში არაზუსტად დაარტყა.

მესამე პერიოდის დასაწყისშივე სტუმრები უკანმოუხედავად გაიქცნენ წინ, მაგრამ მათ შეტევებს ბროდო იგერიებდა. შემდეგ კი არასასურველ მომენტში ორწუთიანი ჯარიმა მიიღო ნიუიორკელმა **დერეკ სტეპანმა**. "ეშმაკებმა" შეძლეს რიცხობრივი უპირატესობის გამოყენება. ჰენრიკმა მოიგო ჩაგდება, უკან კოვალჩუკი მონახა, რომლის დარტყმა ლუნდკვისტმა მოიგერია, მაგრამ დამატებაზე პარიზემ დაასწრო ყველას – 3:0.

"რეინჯერსმა" ამ გოლს **მაიკლ რუპის** პროვოკაციით უპასუხა, რამაც გრანდიოზული ჩხუბი გამოიწვია. როცა სიტუაცია დაწყნარდა, **ბიკელი** და **კარ-**



პარიზე მატჩის გმირი იყო

**ტერი** მატჩის ბოლომდე გააძევეს მოედნიდან, "ნიუ ჯერსიმ" კი ოთხწუთიანი რიცხობრივი უპირატესობა მოიპოვა. ამას **ჰაგელინის** გაძევებაც დაემატა და მასპინძლებმა კარგა ხანი ხუთი სამზე ითამაშეს. ასეთ პირობებში "რეინჯერსს" გადარჩენის შანსი არ ჰქონდა. გასაკვირი ის არის, "ნიუ ჯერსიმ" გამანადგურებელი ანგარიშით რომ ვერ მოიგო მატჩი. "ეშმაკების" პასიურობამ **რუსლან ფედოტენკოს** გოლი მოიტანა, თუმცა ამას შეხვედრის საბოლოო ანგარიშზე გავლენა არ მოუხდენია.

"ეშმაკები" მეტოქის ზონაში ისე დადგნენ, თითქოს რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდათ და სალვადორმა მოულოდნელად შორიდან დაარტყა.

"ნიუ ჯერსიმ" ზეწოლა არ შეასუსტა და რამდენიმე წუთში, **მაკდონაჰისა** და **ჰენრიკის** ჩხუბის შემდეგ, წარმატება განავრცო. **ზაკ პარიზე** და **ტრევის ზეიჯაკი** ორნი გავიდნენ ერთ მცველზე და კლასიკური კომბინაცია ზუსტად გაითამაშეს – 2:0.

"დევილზს" შეეძლო საბოლოოდ მოეკლა მატჩში ინტრიგა, მაგრამ რიცხობრივი უპირატესობა ვერ გამოიყენა. ლუნდკვისტი გაუმკლავდა **კოვალჩუკისა** და **ჟიდლიცკის** დარტყმებს. პირველი პერიოდის ბოლოს გააძევეს მასპინძლების მცველი **ვოლჩენკოვი**, მაგრამ "რეინჯერსმა" მხოლოდ დარტყმების სტატისტიკის გამოსწორება შეძლო.

"ეშმაკებმა" აქტიურად დაიწყეს მეორე 20-წუთეული და უკვე დებიუტში ლუნდკისტმა არ გაატანინა კოვალჩუკს, ვოლჩენკოვსა და **ზუბრუსს**. "რეინჯერსმა" მხოლოდ პერიოდის შუაში შეძლო ინიციატივის მოპოვება და **მარტინ ბროდოს** ბევრმა მუშაობამ მოუწია. თუმცა "ნიუ ჯერსი" არ ივიწყებდა კონტრშეტევებს და ერთხელ ნიუიორკელ-

ბოლოსწინა წუთზე პარიზემ საბოლოო ანგარიში დააფიქსირა, როცა ლუნდკვისტის მიერ მიტოვებულ კარში გაიტანა შაიბა – 4:1. გოლის ავტორი მატჩის პირველი ვარსკვლავი გახდა.

სერიის მეხუთე შეხვედრა ნიუ იორკის "მედისონ სკვერ გარდენში" 23 მაისს გაიმართება.

**ნიუ ჯერსი–რეინჯერსი 4:1**

**2:0, 0:0, 2:1**

**გოლები**: 1:0 სალვადორი-3 (პონიკაროვსკი-4, კლარკსონი-7), 2:0 ზეიჯაკი-6 (პარიზე-6, ზუბრუსი-5), 3:0 პარიზე-5 (კოვალჩუკი-8, ჰენრიკი-7), 3:1 ფედოტენკო-1 (ბ. რიჩარდსი-8, დელ ზოტო-8), 4:1 პარიზე-6 (სალვადორი-7, ბროდო-4).

**სერია**: 2-2

## ამბები

**ჰოკეი**

### იხვებმა შვედი მეკარე დაიმატეს

შვედეთის ნაკრებისა და აიკ-ის გოლკიპერმა **ვიქტორ ფასტმა** "ანაჰაიმ დაქსთან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მეკარის ხელფასი ზუსტად ერთი მილიონი დოლარი იქნება, - წერს "იხვების" ოფიციალური ვებგვერდი.

გასულ სეზონში ფასტმა აიკ-ის შემადგენლობაში 46 მატჩი ჩაატარა, საშუალოდ 2.12 შაიბას უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 93.1 პროცენტს იგერიებდა. ის ზედიზედ მეორედ გახდა შვედეთის ჩემპიონატის საუკეთესო მეკარე, 2011 წელს კი მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო გოლკიპერად გაასახელეს.

**ჩოგბურთი**

### პიუიტს არ გარიცხავენ

ჩოგბურთის საერთაშორისო დიდების დარბაზის ხელმძღვანელობამ საკუთარი გამოძიება ჩაატარა და უარი თქვა დიდების დარბაზიდან წყვილებს შორის ლეგენდარული მოთამაშის **ბობ პიუიტის** გარიცხვაზე.

ცოტა ხნის წინ, ბობ პიუიტს 1970-90 წლების პერიოდში დაახლოებით 30 ქალზე სექსუალურ ძალადობაში დასდეს ბრალი, - წერს ამერიკული პრესა.

პიუიტის დიდების დარბაზიდან გარიცხვის პეტიციას 14 ქვეყნის 250-მა ადამიანმა მოაწერა ხელი.

**კრივი**

### ჩემპიონი მღვდელი გახდა

49-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში WBC-ის ჩემპიონი, ტაილანდელი **კომპაიაკ პორპამუკი** ბუდისტი მღვდელი გახდა. ის ნანგსაოს ტაძარში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც უახლოეს ერთ თვეს გაატარებს. მოკრივემ ახალი სახელი დაირქვა - **სუტიკო**.

ტაილანდელმა ჩემპიონის ტიტული 2011 წლის დეკემბერში მოიპოვა, როცა მექსიკელი **ადრიან ერნანდესი** დაამარცხა. 2012 წლის მაისში კი მან WBC-ის საჩემპიონო ქამარი ფილიპინელ **ჯონათან ტაკონინგომთან** ბრძოლაში დაიცვა. ეს შეხვედრა კომპაიაკმა მეხუთე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით მოიგო.

სულ კარიერის განმავლობაში 29 წლის ტაილანდელმა 48 ბრძოლა ჩაატარა, 45 მოიგო (30 – ნოკაუტით) და სამჯერ დამარცხდა.

**მძლეოსნობა**

### ლონდონი ვლასიჩის გარეშე?

სიმაღლეზე ხტომაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა **ბლანკა ვლასიჩმა** განაცხადა, რომ მარცხენა ფეხზე განმეორებითი ოპერაციის გამო, მან, შესაძლოა, ვერ მოასწროს ლონდონის ოლიმპიადისთვის გამოჯანმრთელება.

*"ლონდონში გამოსვლა და მთლიანად სეზონი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. სამწუხაროდ, რეალისტები უნდა ვიყოთ, - განაცხადა ხორვატმა. – უარს არ ვამბობ ლონდონში გამოსვლაზე, მაგრამ რისკზე წასვლას არ ვაპირებ. ბოლო მომენტში მეცოდინება მზად ვარ თუ არა სტარტზე გასასვლელად. არ მინდა თამაშებზე წავიდე და იქ 195 სანტიმეტრზე მაღლა ვერ გადავხტე. არ მაქვს სურვილი ვინერვიულო იმის გამო, მოვხვდები თუ არა ფინალში. ეს კატასტროფა იქნებოდა".*

### დოპინგის გამო ოლიმპიადის მიღმა

ბულგარელი მორბენლის **ინა ეფტიმოვას** დოპინგ-სინჯმა დადებითი შედეგი აჩვენა. ეს სპორტსმენი 100 და 200 მეტრ დისტანციებზე გამოდიოდა.

როგორც ბულგარული პრესა წერს, სპორტსმენის სისხლში აღმოჩნდა ზრდის ჰორმონი – სომატოტროპინი, რომელიც აკრძალულია მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს მიერ. ბულგარეთის მძლეოსნობის ფედერაციამ უკვე ჩამოაშორა ეფტიმოვა ორი წლით საერთაშორისო ტურნირებს, მათ შორის ლონდონის ოლიმპიადას.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| **UNDER 21** | |
| უკრაინა-ალბანეთი | 3:0 |
| ჰოლანდია-მაკედონია | 0:1 |
| **კლუბები** | |
| ნორვიჩი-სელტიკი | 2:0 |
| ბაიერნი-ჰოლანდია | 3:2 |
| **ესპანეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| კორდობა-კარტახენა | 2:0 |
| ხირონა-ვილიარეალი B | 2:1 |
| **ნორვეგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ულ კისა-ტრიომსდალენი | 2:1 |
| **თურქეთი** | |
| **პლეი ოფი** | |
| რიზე-ადანა | 0:1 |
| **რუსეთი** | |
| ნ. ნოვგოროდი-ვოლგა | 0:0 |
| შინიკი-როსტოვი | 0:1 |
| **ესტონეთი** | |
| კურესაარე-ფლორა | 1:3 |
| ვიილანდი-კალიუ | 0:3 |
| კალევი-სილამაე | 1:2 |
| პაიდე-ტრანს ნარვა | 0:0 |
| ლევანდია-ტამეკა | 1:0 |
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| **აზია** | |
| ალ ჯაზირა-ალ აჰლი | 2:2 პენ. 2:4 |
| სეპაჰანი-ესტეგალი | 2:0 |

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| **საბერძნეთი** | |
| კოლოსოსი-პანიონიოსი | 63:73 |
| **ესპანეთი** | |
| ვალენსია-გიპუსკოა | 75:67 |
| **ბულგარეთი** | |
| აკადემიკი-ლევსკი | 87:80 |
| **გერმანია** | |
| ერტლანდი-ბამბერგი | 71:81 |
| **ისრაელი** | |
| მაკაბი (რ)-მაკაბი (ა) | 68:75 |
| მაკაბი (თ-ა)-ჰაპოელი (ჰ) | 102:73 |
| **იტალია** | |
| სკავოლინი-კანტუ | 91:78 |
| ვენეცია-მილანი | 80:82 |
| **თურქეთი** | |
| ბეშიქთაში-გალათასარაი | 84:73 |
| **საფრანგეთი** | |
| ლე მანი-ნანსი | 64:89 |
| ორლეანი-პარიზი | 70:68 |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ATP. ნიცა** | |
| მალისე-ლუ | 7:5, 6:4 |
| ფალა-ისტომინი | 6:7, 6:1, 1:6 |
| სელა-დიმიტროვი | 5:7, 1:6 |
| დავიდენკო-ებდენი | 6:3, 6:3 |
| ლაჩკო-ტომიჩი | 2:6, 3:6 |
| როჟე ვასელენი-პერი | 6:4, 7:6 |
| კუკუშკინი-კუერი | 6:2, 7:5 |
| ვოლანდრი-ო. როხუსი | 4:6, 7:6, 6:2 |
| ფონინი-დარცისი | 6:7, 5:7 |
| ბეიკერი-სტახოვსკი | 6:7, 6:4, 7:5 |
| ბელუჩი-იანგი | 6:7, 6:0, 6:3 |
| ჰაასე-ფერერო | 6:4, 6:7, 6:7 |
| **ATP. დიუსელდორფი** | |
| ფ. მაიერი-დოდიგი | 6:1, 6:1 |
| ტროიცკი-ტურსუნოვი | 6:3, 6:2 |
| ბერდიხი-როდიკი | 6:1, 6:2 |
| ლ. მაიერი-იტო | 6:4, 6:4 |
| ტიპსარევიჩი-ბოგომოლოვი | 6:1, 6:3 |
| შტეპანეკი-ბლეიკი | 6:2, 6:1 |
| **WTA. სტრასბური** | |
| მინელა-ჰრადეცკა | 6:7, 2:6 |
| პანოვა-ბარტელი | 6:3, 7:6 |
| ლარსონი-დევისი | 3:6, 7:6, 7:6 |
| ბაბოში-სევასტოვა | 3:0 უარი |
| მედინა გარიგესი-ტატიშვილი | 7:5, 4:6, 6:1 |
| ერაკოვიჩი-მორიტა | 1:6, 3:6 |
| კადანტუ-სკიავონე | 1:6, 2:6 |
| ლუჩიჩი-კეოტავონგი | 2:6, 7:5, 6:4 |
| რაზანო-მარტინეს სანჩესი | 1:6, 6:2, 7:5 |
| სტივენსი-კირილენკო | 3:6, 7:5 უარი |
| პეერი-ვოზნიაკი | 7:5, 6:0 |
| კორნე-გოვორცოვა | 6:4, 2:6, 6:4 |
| **WTA. ბრიუსელი** | |
| პენგი-არვიდსონი | 5:7, 3:6 |
| არნი-ცურენკო | 1:6, 4:6 |
| ნიკულესკუ-მირზა | 6:1, 7:5 |
| სხეპერსი-პავლიუჩენკოვა | 7:5, 6:2 |
| ჰენდლერი-იოვანოვსკი | 5:7, 5:7 |
| უ. რადვანსკა-ლეპჩენკო | 6:2, 6:2 |
| ფალკონი-კანეპი | 3:6, 2:6 |
| ვიკმაიერი-ჩაკვეტაძე | 3:6, 6:4, 6:1 |
| ჟენგი-რუსი | 5:7, 6:3, 4:6 |

## TV პროგრამა

**23 მაისი. ოთხშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-სენტ ეტიენი.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ჰამბურგი.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-პარმა.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-სოშო.
**18:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XXXVIII ტურის მიმოხილვა.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-სუონსი.
**21:00** ევროპის ლიგა. სეზონის შემაჯამებელი.
**22:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ვილიარეალი.
**00:00** იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-ინტერი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. შოტლანდიის თასი. ფინალი. ჰიბერნიანი-ჰარტსი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. მაიამი-ინდიანა. V მატჩი.
**14:30** სუპერკოლაჟი.
**15:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ფინალი. ატლეტიკო-ბილბაო.
**17:00** ბადმინტონი. თომასისა და უბერის თასი. ჩინეთი.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** პოკერ-რინგი 2.
**21:30** საკალათბურთო მიმოხილვა - ოვერტაიმი.
**22:30** ყოველკვირეული მიმოხილვა - სპორტის სამყარო.
**23:15** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. მაიამი-ინდიანა. V მატჩი.
**04:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. ფილადელფია-ბოსტონი. VI მატჩი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომი. იტალია.
**12:30** სპორტ-NEWS.
**13:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომი. იტალია.
**14:45** კალათბურთი. ევროლიგა. "ოთხთა ფინალი". 1/2 ფინალი. ცსკა-პანათინაიკოსი. სტამბოლი. თურქეთი.
**16:45** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომი. იტალია.
**19:20** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/8 ფინალი. კლიპერსი-მემფისი.
**21:30** საჩოგბურთო მიმოხილვა - მატჩპოინტი.
**22:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომი. იტალია.

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 16 | 29 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 16 | 28 | (მცირე წვიმა) |
| ბათუმი | 16 | 23 | (მცირე წვიმა) |
| ფოთი | 15 | 23 | (მცირე წვიმა) |
| ზუგდიდი | 16 | 25 | (მცირე წვიმა) |
| გორი | 14 | 27 | (მცირე წვიმა) |
| თელავი | 16 | 27 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | 6 | 19 | (მცირე წვიმა) |
| ბორჯომი | 10 | 20 | (მცირე წვიმა) |
| მესტია | 6 | 19 | (მცირე წვიმა) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.0710 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6211 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5649 |
| 100 რუსული რუბლი | 5.2028 |

ფეხბურთი. ევრო 2012


ფემენის აქტივისტები

# თასი ჩამოგდებულია

ფემინისტთა სკანდალურმა ჯგუფმა - "ფემენმა" მორიგი საპროტესტო აქცია გამართა უკრაინაში, რომელიც ამ ქვეყანაში ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ჩატარების წინააღმდეგ იყო მიმართული.

ამჯერად, წელს ზევით შიშველმა უკრაინელმა ფემინისტებმა ევროპის თასს შეუტიეს. ევროპის ჩემპიონატის მთავარი პრიზი ქალაქ დნეპროპეტროვსკში იყო გამოტანილი და მისი ხილვა ნებისმიერ მსურველს შეეძლო. საპროტესტო აქციის მონაწილეებმა მოახერხეს თასის პოდიუმიდან ჩამოგდება.

ამჯერად აქცია საერთაშორისო იყო. ევროპის თასზე იერიში მიიტანეს ფრანგული ჟურნალის "მარი კლერის" ჟურნალისტმა, საფრანგეთის მოქალაქე **ემა აელსმა** და უკრაინელმა აქტივისტმა **ინა შევჩენკომ**.

ორივე თავდამსხმელი მილიციამ დააკავა და მათ ფოტო და ვიდეოაპარატურა ჩამოართვა. ამ წყვილთან ერთად იყვნენ კიდევ ერთი ფრანგი ჟურნალისტი **ვერონიკ დოვიგორი** და პოლონური "ნიუსვიკის" მიმომხილველი **ალექსანდრა გუმოვსკა**.

# უმედლოდ არ დაბრუნდეთ!



ამასობაში, უკრაინის ნაკრების ფეხბურთელთა მეუღლეებმა მშვიდობიანი მიზნით გაიხადეს. ოლესია გუსევამ, ვიქტორია კონოპლიანკამ და ალა სელეზნიოვამ უკრაინის ნაკრების მომავალი გამარჯვებისთვის თამამ ფოტოსესიაში მიიღეს მონაწილეობა.

გოგონებმა მამაკაცების ჟურნალ Maxim-ისთვის გაიხადეს და მესიჯიც გაუგზავნეს მეუღლეებს: "უმედლოდ არ დაბრუნდეთ!"

*"სიმართლე გითხრათ, მეგონა, რომ ჩემი მეუღლე ამგვარი ფოტოების კატეგორიული წინააღმდეგი იქნებოდა, თუმცა, ჩემდა გასაოცრად, მან ძალიან მშვიდად მიიღო ეს ამბავი: დიდად არ გახარებია, მაგრამ არც განაწყენებულა. მხოლოდ მიხთრა: "რაც გინდა, ის გააკეთე!"* – განაცხადა ევგენი სელეზნიოვის მეორე ნახევარმა.

# სპილო, ღორი და თახვი

პოლონეთის ქალაქ კრაკოვის ბინადარი სპილო, სახელად **ჩიტა** ოფიციალურად გახდა ევრო 2012-ის მატჩების შედეგების წინასწარმეტყველი.

33 წლის ცხოველი სახელგანთქმული რვაფეხას - **პაულის** მემკვიდრე გახდა, რომელიც მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე უშეცდომოდ იცნობდა მატჩების შედეგებს.

ჩიტამ წარმატებით გაიარა გამოცდა, რომელიც მას კრაკოვის ზოოპარკის ადმინისტრაციამ და ერთ-ერთმა ადგილობრივმა რადიოსადგურმა მოუწყო. ჩიტას კონკურენტები იყვნენ ორი თუთიყუში და ვირი, რომლებიც ცდილობდნენ შაბათს გამართული ჩემპიონთა ლიგის ფინალის შედეგის გამოცნობას.

ცხოველებსა და ფრინველებს შესთავაზეს ორი თეფშიდან კერძის არჩევა. თეფშებზე გუნდების ემბლემები იყო მიკრული და სპილომ ერთადერთმა გამოიცნო გამარჯვებული – ლონდონის "ჩელსი".

წინასწარმეტყველი ევრო 2012-ის მეორე მასპინძელ ქვეყანაში უკრაინაშიც აირჩიეს – ეს არის ღორი, რომელიც ჩემპიონატის დღეებში, კიევში ოფიციალურ ფან-ზონაში დასახლდება. მატჩების დღეს ცხოველი ისევე შეეცდება შედეგის გამოცნობას, როგორც ამას სპილო ჩიტა აკეთებს – ორი თეფშის დახმარებით.

აღსანიშნავია, რომ ხარკოვში თავიანთი წინასწარმეტყველი ეყოლებათ. ეს ცხოველია თახვი.

ჩოგბურთი

# გაღარიბებული როლან გაროსი

შვედი ჩოგბურთელი **რობინ სიოდერლინგი** ვერ გამოვა საფრანგეთის ღია პირველობაზე, რომელიც კვირას პარიზში დაიწყება. მიზეზი კვლავაც ავადმყოფობაა – მონონუკლეოზის ინფექცია. შეგახსენებთ, რომ სიოდერლინგს ეს დიაგნოზი 2011 წლის ივლისში დაუსვეს და მას შემდეგ მსოფლიოს ყოფილი მეოთხე ჩოგანი კორტზე აღარ გასულა. აღსანიშნავია, რომ 27 წლის სკანდინაველი ორჯერ - 2009 და 2010 წლებში იყო როლან გაროსის ფინალისტი.

*"ხვალ რომც გამოვჯანმრთელდე, გარკვეული დრო დამჭირდებოდა ფორმაში შესასვლელად,* - ამბობს ATP-ის ოფიციალურ ვებგვერდზე სიოდერლინგი. – *მაგრამ მთავარი ის არის, რომ ყოველდღე უკეთ ვგრძნობ თავს. თუმცა სრულფასოვან ვარჯიშებს ჩემი სხეული ჯერ ვერ აიტანს. ექიმები ამბობენ, რომ ადრე თუ გვიან მოვმჯობინდები, მაგრამ ეს როდის მოხდება, ჯერ გაურკვეველია".*

ასევე ცნობილი გახდა, რომ როლან გაროსს გამოაკლდნენ ამერიკელი **მერდი ფიში** და გერმანელი **ანდრეა პეტკოვიჩი**. ფიში დაღლილობის მიზეზით უკვე ერთი თვეა არ თამაშობს,


ფიში და პეტკოვიჩი

პეტკოვიჩი კი ფეხის ტრავმას მკურნალობს. ძირითად ბადეში ამ ჩოგბურთელებს კანადელი **ფრანკ დანჩევიჩი** და უკრაინელი **ლესია ცურენკო** შეცვლიან.

როლან გაროსზე მამაკაცებს შორის ასევე არ ითამაშებენ: **პაბლო კუევასი, პეპე რიბა** და **კეი ნიშიკორი**. ქალებს შორის კიდევ სამი დანაკლისია: **დანიელა ჰანტუხოვა, ტიმეა ბაშჩინსკი** და **აგნეშ შავაი**.


კიმ კლაისტერსი

# კიმმა წასვლა დანიშნა

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, ბელგიელმა **კიმ კლაისტერსმა** გამოაცხადა, რომ საბოლოოდ დაასრულებს კარიერას 2012 წლის აშშ-ის ღია პირველობის შემდეგ, რომელიც 27 აგვისტოს ნიუ იორკში დაიწყება. ეს ინფორმაცია ESPN-ის ვებგვერდზე გავრცელდა.

ადრე კლაისტერსმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ გამოტოვებს როლან გაროსს და ყურადღებას უიმბლდონისთვისა და ოლიმპიური თამაშებისთვის მომზადებაზე გადაიტანს. ბელგიელმა განაცხადა, რომ მას კარიერაში მხოლოდ ოლიმპიური თამაშების ოქროს მედალი აკლია და უნდა ეს ხარვეზი ლონდონში გამოასწოროს.

2007 წელს კლაისტერსმა ფეხმძიმობის გამო ჩოგბურთიდან წასვლის შესახებ ოფიციალურად გამოაცხადა. თუმცა 2009 წელს ბელგიელი დაბრუნდა დიდ სპორტში და იმ სეზონში აშშ-ის ღია პირველობის მოგება შეძლო. 2010 წელს მან ამ ტურნირზე ტიტული დაიცვა, აგრეთვე გაიმარჯვა WTA-ის წლის შემაჯამებელ ჩემპიონატში. 2011 წელს კიმი ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონი გახდა.

2003 და 2011 წლებში კლაისტერსი სათავეში ედგა WTA-ის რეიტინგს, ამჟამად კი ბელგიელი კლასიფიკაციაში 44-ე ადგილზე იმყოფება. სულ მას კარიერაში 41 ტიტული აქვს მოგებული.

ოლიმპიზმი

# რუსებს სმა აუკრძალეს

ზაფხულის მომავალი ოლიმპიადა უალკოჰოლო უნდა გახდეს რუსეთის დელეგაციის ოფიციალური წარმომადგენლებისთვის. ასეთი ბრძანება მიიღო რუსეთის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ქვეყნის მთავრობისგან.

ხელისუფლებას კარგად ახსოვს რუსეთის ოლიმპიური ნაკრების სავალალო გამოსვლა ვანკუვერის 2010 წლის ზამთრის ოლიმპიადაზე, როცა ამ ქვეყნის სპორტსმენებმა დაგეგმილი 30-40 მედლის ნაცვლად 15 მედალი მოიგეს. ამასთან, რუსულმა ნადიმებმა თავისი მასშტაბურობით გააოცა მთელი ვანკუვერი. მაგალითად, რუსული სანავთობო კომპანიის მიერ მოწყობილ ერთ-ერთ საღამოზე მუშაობდა ორი ბუტაფორიული ბენზინგასამართი სადგური, საიდანაც არაყი და ვისკი ისხმებოდა.

■ ■ ■

ბრიტანეთში მესამე დღეა, რაც ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტა მიმდინარეობს, თუმცა უკვე არაერთ კურიოზს ჰქონდა ადგილი. ქალაქ გრეიტ-ტორინგტონში, მარშრუტის ერთ-ერთ მონაკვეთზე ცეცხლი ჩაქრა. ეს იმ დროს მოხდა, როცა ჩირაღდანი მიმაგრებული იყო პარალიმპიელი სპორტსმენის **დევიდ ფოლეტის** ინვალიდის სავარძელზე. საბოლოოდ, თამაშების სიმბოლო სწრაფად შეცვალეს სარეზერვოთი, რომელიც სპეციალურად მიჰქონდათ ოლიმპიური კორტეჟის ერთ-ერთი ავტომობილით, ესტაფეტა კი გაგრძელდა.

*"ასეთი შემთხვევები ხშირად ხდება,* - თავს იმართლებს ლონდონის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის პრესსამსახური. – *ცეცხლი ბევრი მიზეზით შეიძლება ჩაქრეს. მაგალითად, ძლიერი ქარის გამო".*


ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტა

ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტა ბრიტანეთში 19 მაისს დაიწყო. 70 დღის განმავლობაში ესტაფეტის 8000 მონაწილე დაახლოებით 13 ათას კილომეტრს დაფარავს.

ფორმულა 1



# მონაკოში გულის გადასაყოლებლად

ჩემპიონთა ლიგაზე განცდილი მარცხის დასავიწყებლად, მიუნხენის "ბაიერნის" ფეხბურთელები კვირას მონაკოს გრანპრის დაესწრებიან, - ამის შესახებ გამოაცხადა რეკორდმაისტერის მთავარმა მწვრთნელმა **იუპ ჰაინკესმა**.

*"კვირას ერთად დავესწრებით მონაკოს რბოლას. ეს ფეხბურთელებს მოდუნების საშუალებას მისცემს",* - ამბობს ვეტერანი მწვრთნელი.

მონაკოს ეწვევიან "ჩელსის" წარმომადგენლებიც, ოღონდ სხვა განწყობითა და "ზაუბერის" ოფიციალური პარტნიორის სტატუსით.

■ ■ ■

ამასობაში, ქალაქ მონცას პროკურატურა ლეგენდარული ავტოდრომის ხელმძღვანელთა მიმართ წაყენებულ ბრალდებებს იძიებს. მონცას ტრასის შეფები ფინანსურ მაქინაციებში არიან ეჭვმიტანილნი.

გუშინ, ფინანსური უსაფრთხოების სამსახურმა გაჩხრიკა ავტოდრომზე მდებარე ოფისები, აგრეთვე წამყვანი თანამშრომლების (მათ შორისაა ტრასის დირექტორი **ენრიკო ფერარი**) სახლებს ესტუმრა. გამოძიება ეხება 2007-12 წლების პერიოდში დაფიქსირებულ დარღვევებს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი* **გია თვალაბეიშვილი**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**
*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com* ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:15
მისამართი: **ილ'ებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608